

თუ მთა არ მივა ბიზნესთან...

A4



ბენდუქიძემ ენერგეტიკას ახალი რეცეპტი გამოუწერა

A6



პლატინიმ ვერ გვიშველა

B4

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 1 აპრილი, 2005 წელი. №73 (933)

ფასი 50 თეთრი

## პოლიტიკა

### ფინანსთა მინისტრი "მემარჯვენე ოპოზიციის" მარწუხებში



"ეს ჩემთვის ძალიან მძიმე შეხვედრა იქნება," - ჯერ კიდევ მოსმენის დაწყებამდე გული ცუდს უგრძნობდა სამთავრობო გუნდის წარმომადგენელს.

A2

**იურიდიული ოფისი ,,გაპი" და გაზეთი "24 საათი"**

**ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.** A7, B6

**მიიღეთ მონაწილეობა "24 საათის" და მისი პარტნიორი ავიაკომპანია "ბრითიშ ეარვეიზის" ერთობლივ კონკურსში – ვიქტორინა-ლატარიაში და მოიგეთ ორი ბილეთი ლონდონის მიმართულებით!**

**ვიქტორინის შეკითხვები და კონკურსში მონაწილეობის პირობები იხილეთ B5 გვერდზე.**

## ამინდი

| | 1/4 | 2/4 | 3/4 |
|---|---|---|---|
| თბილისი | 11 | 4 | 2 |
| ქუთაისი | 7 | 2 | 1 |
| ბათუმი | 4 | -2 | -2 |
| სოხუმი | 6 | 4 | 1 |
| ფოთი | 3 | -1 | -2 |
| თელავი | 9 | 2 | -1 |
| ზუგდიდი | 7 | 3 | 2 |
| გორი | 4 | -1 | -3 |
| ახმეტა | 11 | 4 | 1 |
| ჭიათურა | 4 | -1 | -3 |
| გაგრა | 7 | 7 | 5 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8340 |
| ევრო | 2.3767 |
| ბირთვანქა სტერლ. | 3.4461 |
| რუბლი | 0.0659 |



| A | | B | |
|---|---|---|---|
| ამბები | A2 | რევიუ | B2 |
| პოლიტიკა | A3 | რევიუ | B3 |
| საზოგადოება | A4 | სპორტი | B4 |
| უცხოეთი | A5 | სპორტი | B5 |
| ეკონომიკა | A6 | ავტომობილი | B6 |
| სამართალი | A7 | TV პროგრამა | B7 |
| პროექტი | A8 | სხვადასხვა | B8 |



# ხელისუფლება იმერეთში კადრებს ცვლის

მაია მეცხვარიშვილი
*ქუთაისიდან*

ბოლო დროს იმერეთში გამწვავებულ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობასა და შექმნილ სახელისუფლებო კრიზისს, როგორც იქნა, ცენტრალური ხელისუფლება გამოეხმაურა. 31 მარტს რეგიონს ერთდროულად ეწვივნენ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი და ქვეყნის პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე. პრემიერ-მინისტრმა სამუშაო ვიზიტის ფარგლებში ორი რაიონი მოინახულა და პარლამენტის სპიკერთან ერთად, იმერეთის დეპუტაციასა და რაიონების გამგებლებს შეხვდა. ნოღაიდელი სამტრედიაში რამდენიმე კეთილმოწყობილი უბნის მონახულებით შემოიფარგლა და წინა დღით სტიქიით დაზარალებული სოფელ ბაშის მოსახლეობასთან შესახვედრად ვერ მოიცალა. დაზარალებულებს ნუგეში და დაპირება პრესის საშუალებით მიაწოდა: **"ადამიანებს, რომლებსაც დაუზიანდათ საცხოვრებელი სახლი იმდაგვარად, რომ იქ არ იცხოვრება, თანხები გამოეყოფათ ცენტრალური ბიუჯეტიდან და, შესაბამისად, იმავე რაიონში ან სხვაგან იქნებიან უზრუნველყოფილი საცხოვრებელი სახლებით."**

იმერეთის საპარლამენტო დეპუტაციასა და გამგებლებს დაევალათ რაიონების პრიორიტეტების გამოკვეთა. საერთო პრობლემები კი, ძირითადად, ორ ნაწილად დაჯგუფდა - მწვავე ენერგოკრიზისი და მოშლილი ინფრასტრუქტურა.

დილიდანვე ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ქვეყნის საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფალთა ვიზიტებით გათვალისწინებული სამუშაო შეხვედრები, იმერეთში პრეზიდენტის რწმუნებულის გია გეწაძის გადადგომის შესანიღბად იყო გაწერილი. არაოფიციალური ინფორმაციით, გეწაძე იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციაში სამუშაო კაბინეტს ორშაბათიდან ოფიციალურად დატოვებს.



*იმერეთს, როგორც იქნა, ცენტრალური ხელისუფლება გამოეხმაურა.*

გაგრძელება A3 გვერდზე

# მუდმივად საჭირო სამოქალაქო საზოგადოება

მაია ჭალაგანიძე

*ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო" 10 წლის ხდება. ვერც ამ ორგანიზაციის ოპონენტები და ვერც მომხრეები უარყოფენ, რომ ამ საზოგადოებამ თავის დროზე დიდი თავსატეხი გაუჩინა არადემოკრატიულ ხელისუფლებას, უდიდესი როლი შეასრულა ოპოზიციისა და სამოქალაქო სექტორის განვითარებაში და დღევანდელ ხელისუფლებასაც მრავალი წევრი აღუზარდა. იქნებ სწორედ იმიტომაც, რომ ხელისუფლებამ კარგად იცის სამოქალაქო აქტივობის ფასი, დღეს ეს სექტორი ერთგვარად ჩრდილშია მოქცეული. ფონდის ხელმძღვანელი დავით დარჩიაშვილი მარტის დასაწყისში იმყოფებოდა ესტონეთში, სადაც გაიმართა სემინარი, რომელიც მთავრობასა და სამოქალაქო სექტორს შორის ურთიერთობების სტრატეგიას ეხებოდა. ღია საზოგადოება, გამჭვირვალე ურთიერთობები ნებისმიერი დემოკრატიული ხელისუფლების სასიცოცხლო ინტერესებს უნდა წარმოადგენდეს. ჩვენი ხელისუფლება, მართალია, არ ეწინააღმდეგება ამ იდეას და სამოქალაქო საზოგადოებასთან პრეზიდენტის რამდენიმე შეხვედრაც შედგა, მაგრამ ამას სტაბილური, ქმედითი და კონკრეტული ხასიათი არ მიეცა. სუსტი მედია და სუსტი სამოქალაქო სექტორი რომ არა, დღეს მოსახლეობა, ალბათ, უფრო გაგებით მოეკიდებოდა შექმნილ სოციალურ თუ სხვა კრიზისებს.*

გაგრძელება B1 გვერდზე



## არეულობა სადახლოში

### "მათ მარნეულ-ბორჩალოში მეორე ჯავახეთის შექმნა სურთ," - ამბობს სადახლოს გამგებელი

მაია მოსიაშვილი

გუშინ დილიდან არეულობა იყო მარნეულის რაიონის სასაზღვრო სოფელ სადახლოში. საზოგადოებრივ-კულტურულ კავშირად წოდებულმა ორგანიზაცია "ოზან"-მა სოფლის ცენტრში მიტინგის ჩატარება იმ დროს სცადა, როცა იქ ხალხი უცხოური ჰუმანიტარული დახმარებისა და პრეზიდენტის ნაჩუქარი დიზელის საწვავის ასაღებად იყო მისული. მომხდარის თაობაზე რაიონის გამგებელმა ამირან შუბითიძემ განაცხადა, რომ განსაკუთრებული

გაგრძელება A2 გვერდზე

## გორის ქუჩები ისევ მოფენილია კონტრაბანდული სიგარეტით

თეა თედლიაშვილი
*გორიდან*

გორსა და გორის რაიონში კონტრაბანდა ისევ ინტენსიურად შემოედინება. კონტრაბანდული სიგარეტის ყიდვა თითქმის ყველა მაღაზიაში შეიძლება. ჩვენ შევძელით, დაუბრკოლებლად შეგვეძინა კონტრაბანდული სიგარეტი გორში არსებულ მაღაზიებში, ბაზარში, სოფელ ხვითსა და კარალეთში. მოსახლეობის დაკვირვებითაც, კონტრაბანდის შემოდინება რეგიონში არ შემცირებულა.

თამაზ მახარაძე: **"მე ისევ დაუბრკოლებლად ვყიდულობ კონტრაბანდულ სიგარეტს, ნამდვილად არ მიგრძვნია, რომ კონტრაბანდა შემცირდა."**

ნანა ლომიძე: **"5 დღის წინ ბაზარში ვიყიდე 3 "ბლოკი" "ტროიკა" და ჩემს შვილს წავუღე ციხეში."**

გაგრძელება A2 გვერდზე

## ჩხუბი გურჯაანის გამგეობის წინ

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

*თუ დღემდე გურჯაანის გამგეობაში მუშტი-კრივი მხოლოდ ოთახებში იმართებოდა, ამჯერად "რინგმა" ქუჩაში გადმოინაცვლა. გუშინ, სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ, რაიონის გამგეობის შენობის წინ "ბრძოლა წესების გარეშე" გაიმართა. ამჯერად ერთმანეთს საორგანიზაციო განყოფილების გამგე და აღნიშნული უწყების იურისტი შეერკინნენ. ჩხუბის მიზეზი კვლავ თანმდებობებია.*

რამდენიმე თვის წინ, გამგეობაში გამართულ ჩხუბს, რაიონის გამგებლის მოადგილის გათავისუფლება მოჰყვა. თუ როგორ განვითარდება მოვლენები გუშინდელი საღამოს შემდეგ, ძნელი სათქმელია, მაგრამ ამბავი, რომელიც წუხელ მოხდა, ოპოზიციური პარტიების განსჯის საგანი ხდება.

საღამოს ექვს საათზე, სამსახურიდან გამოსულ გამგეობის თანამშრომლებს შორის ჩოჩქოლი ატყდა, რაც შემდეგ მუშტი-კრივში გადაიზარდა. სწორედ ჩხუბის დროს გაირკვა, რომ საორგანიზაციო განყოფილების უფროსის თამაზ აბრამიშვილის და ამავე დაწესებულების იურისტის ზვიად ქიტუაშვილის ჩხუბის მიზეზი ის თანამდებობა გახდა, რომელიც ამ უკანასკნელს ერთი თვის წინ ჩამოართვეს. ჩხუბში კი ქიტუაშვილს გარემოსა და ბუნების დაცვის სამსახურის წარმომადგენელი ალექსანდრე ბერიძიშვილი ეხმარებოდა.

გაგრძელება A2 გვერდზე

## ჩხუბი გურჯაანის გამგეობის წინ

პირველი გვერდიდან

ზვიად ქიტუაშვილი, რომელსაც გურჯაანის გამგეობაში საორგანიზაციო განყოფილების უფროსის თანამდებობაზე პრეტენზია აქვს, წლების წინ ამავე უწყების იურისტი იყო. "ვარდების რევოლუციის" შემდეგ კი, იგი აპარატის უფროსად დაინიშნა, ხოლო მას შემდეგ, რაც რეზერვისტთა ბანაკიდან დაბრუნდა, საორგანიზაციო განყოფილების უფროსად გადაიყვანეს. ზუსტად თვენახევრის წინ, ქიტუაშვილი დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლეს და მის ადგილას გამგებლის თანაშემწე საორგანიზაციო საკითხებში, თამაზ აბრამიშვილი დანიშნეს, ქიტუაშვილი კი დააქვეითეს და ძველ თანამდებობაზე - იურისტად დააბრუნეს.

საორგანიზაციო განყოფილების ყოფილი უფროსის გათავისუფლების მიზეზს გამგებლის მოადგილე ზაზა ნაცვლიშვილი იმით ხსნის, რომ მისი მუშაობით გამგებელი იყო უკმაყოფილო. რაც შეეხება ინციდენტს, ამაზე კომენტარს არ აკეთებს.

გურჯაანში ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები რაიონის გამგეობაში გახშირებულ ასეთ ფაქტებს იმით ხსნიან, რომ რაიონს არაპროფესიონალები მართავენ. "**უნდა ითქვას, რომ დღეს საქართველოში უვიცობის დოღია. ამას კი არც გურჯაანის რაიონი ასცდა. საშველი მაშინ დადგება, როცა ეს ხელისუფლება წავა, რადგან ეს მთავრობა რევოლუციის ეიფორიიდან ვერ გამოსულა, რადგან მათთვის შავიც და თეთრიც ერთია,**" - ამბობს "ახალი მემარჯვენეების" წარმომადგენელი გურჯაანში ზურაბ კანდელაკი.

ალიძვრება თუ არა ქიტუაშვილისა და მისი თანამზრახველის მიმართ ხულიგნობის მუხლით საქმე, ეს დღეს გაირკვევა.

## გორის ქუჩები ისევ მოფენილია კონტრაბანდული სიგარეტით

პირველი გვერდიდან

გორის ქუჩებში უხვად არის მიმოფანტული რუსულაქციზიანი სიგარეტის ცარიელი კოლოფები, რაც იმას მიანიშნებს, რომ ამ საქონელს მომხმარებელი დიდი რაოდენობით ჰყავს.

ფინანსური პოლიციის უფროსი სოსო გაბუნია ირწმუნება, რომ კონტრაბანდის შემოდინებამ რეგიონში იკლო. "**ჩვენ ყოველ კვირას ვატარებთ რეიდებს და ვლუქავთ იმ მაღაზიებს, სადაც კონტრაბანდულ საქონელს აღმოვაჩენთ. გორში, კასპში, ქარელში, ტყვიავში, კარალეთში დავხურეთ რიგი მაღაზიები. კონტარბანდული სიგარეტის შემოდინება შემცირდა, რასაც ისიც მოწმობს, რომ გაიზარდა კონტრაბანდული სიგარეტის ფასი,**" - აცხადებს გაბუნია.

ქართული აქციზის ღირებულების ზრდასა და მის უარყოფით შედეგებზე თვით საფინანსო პოლიციაშიც საუბრობენ. თანამშრომლების თქმით, ის, რომ მეზობელ ქვეყნებში აქციზის ღირებულლება 12 თეთრს არ აღემატება, თავისთავად ქმნის ნიადაგს უაქციზო სიგარეტის შემოდინებისთვის.

"**ჩვენ ვცდილობთ მაქსიმალურად გავაკონტროლოთ კონტრაბანდული ტვირთის სარეალიზაციო პუნქტები. ჯერჯერობით, კონტრაბანდას სრულად ვერ აღვკვეთავთ, რადგან ის კონტარბანდული სიგარეტი, რომელსაც ვერ ვიჭერთ, ხვდება მაღაზიებში. რეგიონში რომ შეწყდეს კონტარაბანდა, ამას ძალიან დიდი დრო დასჭირდება. ძნელია ასე დიდი ნაკადის უეცრად შეჩერება, არსებობს უამრავი შემოვლითი გზები, რომლის გაკონტოლებაც დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული,**" – ამბობს პოლიციის შიდა ქართლის სამხარეო სამმართველოს უფროსი ვლადიმერ ჯულელი, - **ვცდილობ დავანგრიო მითი კონტრაბანდისტებისა და მათი მფარველების ხელშეუხებლობის შესახებ. ჩვენ მიერ გაძლიერდა იმ შემოვლითი და ცენტრალური გზების კონტროლი, საიდანაც შემოედინება კონტრაბანდა, დაილუქა საწყობები და კიდევ ვმუშაობთ სხვა საწყობების აღმოსაჩენად.**"

"**როცა ვიღებთ შეტყობინებას, ვუკავშირდებით საფინანსო პოლიციას და ერთობლივად ვატარებთ ღონისძიებას, მაგრამ სარეალიზაციოდ ჩაშვებული კონტრაბანდის ამოღება ჩვენ არ შეგვიძლია,**" – ასეთია საპატრულო პოლიციის უფროსის რამაზ ჩოჩიშვილის კომენტარი.

## არეულობა სადახლოში

პირველი გვერდიდან

არაფერი ხდება და იქ "უბრალო სოფლური დაპირისპირებაა". როგორც თვითმხილველები აცხადებენ, ეს "უბრალო დაპირისპირება" სადახლოში იმდენად გამწვავდა, რომ პოლიციას რაიონიდან დამატებითი ძალების გამოძახება დასჭირდა. მით უფრო, რომ მომიტინგეებს სწორედ პოლიციასთან ჰქონდათ პრეტენზიები და მათი შენობის დარბევით იმუქრებოდნენ.

"**ჩვენ მშვიდობიან მიტინგს ვატარებდით. მის ჩატარებაზე თანხმობა იუსტიციის სამინისტროდან მივიღეთ. პოლიციას და სოფლის გამგებლის შვილებს კი პროვოკაციის მოწყობა უნდათ, მიტინგის ჩატარების საშუალება არ მოგვცეს, სადაც პრეზიდენტ სააკაშვილისადმი მიმართვა უნდა წაგვეკითხა,**" - განუცხადა "24 საათს" "ოზანის" წარმომადგენელმა ქამილ მუსაევმა. მისი მეორე თანამოაზრე, სადახლოს მკვიდრი ვახიდ ბაირამოვი კი ადგილობრივი პოლიციის უფროსის წინააღმდეგ აკეთებს განცხადებებს: "**ჩამოდით აქ და გაჩვენებთ გზას, სადაც პოლიცის უფროსი გოჩა შუბითიძე და მისი ბანდა კონტრაბანდას ატარებენ. ისინი იარაღით ემუქრებიან ხალხს, აშინებენ, ფულს სძალავენ. სოფლიდან 30 ათას დოლარზე მეტი აქვთ აკრეფილი. ვინც არ გადაუხდის, ნარკოტიკებს უდებენ ჯიბეში. ჩვენი მოთხოვნაა, რომ წავიდეს შუბითიძე აქედან.**"

როგორც ნეიტრალურ მხარეს, რადიო "თავისუფლების" მარნეულელ ჟურნალისტს კასუმ აბაშალიევს დავუკავშირდით. მისი ინფორმაციით, სადახლოში ორი ჯგუფი დაუპირისპირდა ერთმანეთს. ერთ მხარეს არიან იქაური მოლა და კავშირი "ოზანი". ისინი ადგილობრივ პოლიციას დისკრიმინაციულ და კორუფციულ ქმედებებში ადანაშაულებდნენ; მეორე მხარეს კი - სოფლის გამგებლის მომხრეები. დაპირისპირებას გაწევ-გამოწევა და არეულობა მოჰყვა.

"**მტკიცებას არ დავიწყებ, თუმცა მე მომეჩვენა, რომ ამ მიტინგის უკან ძველი ძალები დგანან. აქ იყო მოთხოვნები სადახლოს ბაზრობასთან დაკავშირებით და შევამჩნიე ადამიანები, რომლებიც ადრე ბაზრის ყოფილი დირექტორის თამაზ სუპატაშვილის მომხრეები იყვნენ,**" - ამბობს რადიო "თავისუფლების" ჟურნალისტი. შეგახსენებთ, რომ თამაზ სუპატაშვილი "მოქალაქეთა კავშირის" ერთ-ერთი დამფუძნებელი და ლევან მამალაძის გუნდის წევრი, ვარდების რევოლუციამდე მთლიანად განკარგავდა სადახლოს ბაზრობას და, შესაბამისად - საზღვრის ამ მონაკვეთიდან საქართველოში შემოსულ კონტრაბანდას.

სადახლოს ახლად დანიშნული გამგებელი ნიზამი მამედოვი "24 საათთან" საუბარში აცხადებს, რომ ამ მიტინგის მომწყობი ადამიანი მოლა არ არის, ანუ მას ეს რელიგიური სტატუსი არ გააჩნია და "მოლა" მისი "კლიჩკაა".

"**ეს არის ადამიანი, რომელმაც 2001 წელს აზერბაიჯანულ გაზეთ "ზერკალოში" სადახლოს ბაზრის დირექტორს თამაზ სუპატაშვილს სომეხი უწოდა. ამის შემდეგ სუპატაშვილმა მისი შვილი ბაზარში ფულის ამკრეფად დაასაქმა. მე შემიძლია დავამტკიცო, რომ სუპატაშვილი ახლაც ყოველთვიურად 3200 ლარს უხდის ამ ადამიანს, რადგან თავისი ძალაუფლების აღდგენა უნდა. აგენტურულ, ბნელ და ბინძურ ძალებს უნდათ, რომ მარნეულ-ბორჩალოში მეორე ჯავახეთი შექმნან. დღევანდელი პროვოკაციული ფაქტი ამის მაგალითია. მე ერთი თვე და ათი დღეა, გამგებლად ამირჩიეს და პირნათლად ვემსახურები ახლანდელ ხელისუფლებას,**" - ამბობს მამედოვი.

სადახლოს პოლიციის ქვეგანყოფილების უფროსი გოჩა შუბითიძე ბრალდებებს ასე პასუხობს: "**ისინი იმიტომ მიპირისპირდებიან, რომ პოლიციამ მათ არაკანონიერი შემოსავლის წყაროები გადაუკეტა, ზოგიერთის ნათესავი ან ოჯახის წევრი კი დააკავა. ვახიდ ბაირამოვი მიპირისპირდება, რადგან მისი შვილი მანქანის გატაცებისთვის დავაკავე, ბიძა კი - ნარკოტიკებისათვის. მე არ ვაპირებ მათი ცილისწამების მოთმენას, დღესვე შევიტან სასამართლოში სარჩელს და განცხადებით მივმართავ პროკურატურასაც.**"

სადახლოში დაპირისპირებული ხალხის დაშლა პოლიციამ დღის მეორე ნახევარში მოახერხა. იქ მიმდინარე პროცესებზე კომენტარი არ გაუკეთებია პრეზიდენტის რწმუნებულს ქვემო ქართლში ზურაბ მელიქიშვილს.

# ფინანსთა მინისტრი "მემარჯვენე ოპოზიციის" მარწუხებში

გიორგი ასანიშვილი

*უკვე ოთხი დღეა, პარლამენტში გაზრდილი საბიუჯეტო პარამეტრების განხილვა მიმდინარეობს. ფინანსთა მინისტრს, სხვადასხვა კომიტეტებისა და ფრაქციების წინაშე, თითქმის ერთი და იგივე ტექსტით, დღეში რამდენიმეჯერ უწევს გამოსვლა. გუშინ საღამომდე, ვიდრე "მემარჯვენე ოპოზიციას" შეხვდებოდა, ვალერი ჩეჩელაშვილს, როგორც წესი, პარლამენტარებისგან მხოლოდ ქებისა და მადლობების მოსმენა უწევდა. დავით გამყრელიძის პოლიტიკურ გუნდთან შეხვედრის დროს კი ყველაფერი თავდაყირა დადგა.*



მემარჯვენე ოპოზიციამ ფინანსთა მინისტრს მძიმე შეხვედრა მოუწყო.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

"**ეს ჩემთვის ძალიან მძიმე შეხვედრა იქნება,**" - ჯერ კიდევ მოსმენის დაწყებამდე გული ცუდს უგრძნობდა სამთავრობო გუნდის წარმომადგენელს. მართლაც, ოპოზიციური ფრაქციის ლიდერი თავიდანვე შეეცადა, უპირატესობას დაუფლებოდა და ოპონენტი მრისხანე ტირადით დაეთრგუნა. დავით გამყრელიძემ მიზანს, გარკვეულწილად, მიაღწია და ხელისუფლების კრიტიკითა თუ დაცინვით გული იჯერა. მისი "წარმატება" შეიძლება იმითაც აიხსნას, რომ ვინაიდან ვალერი ჩეჩელაშვილი ფინანსთა მინისტრის პოსტზე ახლად დანიშნულია, როგორც ჩანს, ყველა ნიუანსში ბოლომდე ჩახედული არ არის და ოპოზიციასთან გამკლავება უჭირს.

"**ეეჰ, სად არის ბენდუქიძე?..**" - ნატრობდნენ უფრო მწვავე და არსობრივი კამათის მსურველი ჟურნალისტები. ფინანსთა მინისტრი მძიმე მდგომარეობიდან გამოჰყავდათ განხილვაში მონაწილე აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებს, რომელთა პასუხები ნაწილობრივ მაინც ანელებდა "მემარჯვენეების" შეტევას.

როდესაც საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ვალერი ჩეჩელაშვილს პოლიტიკური დებატების პრაქტიკა არ გააჩნია, დავით გამყრელიძემ მთლიანად "აიშვა".

"**შევარდნაძეს ასე რომ ჩაეტარებინა პრივატიზაცია, სულ ცოტა, მისი იმპიჩმენტის პროცედურას მაინც წამოვიწყებდით,**" - ამტკიცებდა "მემარჯვენე ოპოზიციის" ხელმძღვანელი.

არანაკლებ გამაოგნებელი იყო მისი შემდეგი საყვედურიც. "**ხელისუფლება ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განსამტკიცებლად ბიუჯეტის 12 პროცენტის დახარჯვას აპირებს. რა ხდება, მილიტარისტულ სახელმწიფოდ ვყალიბდებით?**" - დაინტერესდა გამყრელიძე, რომელიც სულ ცოტა ხნის წინათ დაჟინებით ითხოვდა, რომ თავდაცვითი მიზნებისთვის მთლიანი შიდა პროდუქტის არანაკლებ 2 პროცენტი გამოყოფილიყო.

გუშინ ოპოზიციამ ლამის ისე წარმოაჩინა საქმე, თითქოს, პროფიციტული ბიუჯეტი ქვეყნისთვის დამღუპველი იქნებოდა. "**ბიუჯეტის გაზრდასთან დაკავშირებით საზოგადოებაში ეიფორიაა შექმნილი,**" - წუხდა დავით გამყრელიძე.

საპარლამენტო ოპოზიციის მთავრობაზე შეტევის ფრონტი საკმაოდ ფართოა. ფრაქციის სხდომაზე "მემარჯვენეები" მინისტრთა კაბინეტის წარმომადგენლებს პასუხს სთხოვდნენ ენერგოკრიზისისთვის, "პრივატიზაციის არაგამჭვირვალედ ჩატარებისთვის," "სოციალური სფეროსადმი არასათანადო ყურადღებისთვის," გლეხებისთვის დარიგებული 20 ლიტრი საწვავისთვის...

"**პრეზიდენტის ფონდში 10 მილიონი ლარი იყო, საწვავის დარიგება კი 13 მილიონი ლარი დაჯდა. ეს როგორი ფოკუსით მოახერხეთ?**" - არ ცხრებოდნენ "მემარჯვენეები".

"**როდესაც ფერმერები საწვავს მიიღებენ, მსგავსი შეკითხვები მათ არ გაუჩნდებათ,**" - ფინანსთა მინისტრის ასეთმა პასუხმა კი ოპოზიციონერები ლამის შოკში ჩააგდო. ბოლოს, ისინი მიხვდნენ, რომ ჩეჩელაშვილის "წვალებით" დიდ ხეირს ვერ ნახავდნენ და ბიუჯეტის პროექტის განხილვამაც სიმწვავე დაკარგა.

"სამშვიდობოზე გასულ" ფინანსთა მინისტრს ამის შემდეგ უკვე "სასიამოვნო პაემანი" ელოდა - ფრაქცია "მემარჯვენე ოპოზიციის" სხდომის დასრულებისთანავე ვალერი ჩეჩელაშვილი საპარლამენტო უმრავლესობის თავყრილობაზე გაეშურა.

# ლაგოდეხელები ფინანსურ პოლიციას უპირისპირდებიან

*30 მარტს, გვიან საღამოს მომხდარმა ფაქტმა ლაგოდეხელები მოთმინებიდან გამოიყვანა. ამავე რაიონის მკვიდრი დავით კოჭლამაზაშვილი, რომელიც აზერბაიჯანიდან ბრუნდებოდა, საქართველოს საზღვრის გადმოკვეთის შემდეგ, ფინანსური პოლიციის ნასვამმა თანამშრომლებმა უმოწყალოდ სცემეს. "თუ ასე გაგრძელდა, მოთმინების ფიალა აგვევსება, რასაც შესაძლოა, მსხვერპლიც მოჰყვეს," - ამბობენ ლაგოდეხელები.*

ზვიად რუაძე
კახეთიდან

გუშინწინ, აზერბაიჯანის საზღვრიდან საქართველოს ტერიტორიაზე გადმოსულ ლაგოდეხის მოქალაქეს დავით კოჭლამაზაშვილს ფინანსური პოლიციის თანამშრომელბი დახვდნენ და უმოწყალოდ სცემეს. დაზარალებული, აღნიშნული უწყების თანამშრომლების ზეწოლის გამო, კომენტარისგან თავს იკავებს, მომხდარის შესახებ კი მედიასთან მხოლოდ მისი ბიძა ვინელი კოჭლამაზაშვილი საუბრობს. "**მე რომ ვნახე ჩემი ძმისშვილი, თავ-პირი დასისხლიანებული ჰქონდა. თურმე, მას ფინანსური პოლიციის ოთხი თანამშრომელი უმოწყალოდ ურტყამდა, იმის ნაცვლად, რომ მადლობა ეთქვათ, რადგან მათვე დაავალეს დათოს გადასვლის დროს დენის მრიცხველის ჩამოტანა,**" - ამბობს დაზარალებულის ბიძა. ჩხუბის მიზეზი კი 20 ლიტრი საწვავი აღმოჩნდა, რომელიც დავით კოჭლამაზაშვილს მანქანის საბარგულში აღმოაჩნდა. საბაჟოზე მომხდარი ინციდენტის დროს კი, როგორც ირკვევა, ფინანსური პოლიციის თანამშრომლები ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ფინანსური პოლიციის თანამშრომლების ნასვამ მდგომარეობაში ხილვა, როგორც ლაგოდეხელები ამბობენ, ხშირად შეიძლება.

მომხდარის შესახებ ლაგოდეხის საბაჟოს თანამშრომლები არაფერს ამბობენ.

ფინანსურ პოლიციასა და რაიონის მოსახლეობას შორის დაპირისპირება, უკვე რამდენიმე თვეა, გრძელდება. ყველაფერი კი მას შემდეგ დაიწყო, როცა აღნიშნულმა უწყებამ ლაგოდეხის საბაჟოს ფუნქცია შეითავსა და სასაზღვრო ზოლიდან ყველანაირი საწვავის გადმოტანა აკრძალა. ფინანსური პოლიციის კახეთის წარმომადგენლობის არსწორი მუშაობის შესახებ, თვით აღნიშნული უწყების სათავე ოფისშიც საუბრობენ, მაგრამ, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც საფინანსოს რეგიონული წარმომადგენლობა თავს იმართლებს. "**მართალია, რაღაც ინციდენტს ჰქონდა ადგილი, მაგრამ აქ საგანგაშო არაფერია. რაც შეეხება კოჭლამაზაშვილს, იგი კონტრაბანდისტია,**" - აღნიშნავს "24 საათთან" საუბარში კახეთში ფინანსური პოლიციის უფროსი ზურაბ ბეჟანიშვილი.

ლაგოდეხის საბაჟოზე საათობით მომლოდინე მოსახლეობა, რომლებსაც აზერბაიჯანში საწვავის ყიდვა 60 თეთრი (ერთ ლიტრზე) უჯდება, ხოლო ერთი ტომარა ფქვილი 20 ლარი, მასობრივი აქციებით იმუქრება. "**ერთი ლიტრი საწვავი რომ გადმოვიტანო, ბუჩქებს ვეფარები და ისე მომაქვს, ეს საქმეა? ფინანსურმა პოლიციამ კი, არც ქალი იცის და არც კაცი. ის მაინც გვითხრან, მეზობელი ქვეყნიდან რისი გადმოტანის უფლება გვაქვს და რისი არა. თუ არ უნდათ, რომ სიტუაციები უმართავი გახდეს, მაშინ გაგვიაფონ საწვავი და ცოცხლად ნუ მოგვკლავენ... ერთ ჰექტარი ვენახი მაქვს, პრეზიდენტის საჩუქარი კი ლამპაში ჩასასხმელად ვიკმარო, თუ ადგილების დასამუშავებლად?**" - კითხულობს ლაგოდეხელი მზია კერესელიძე.




### მოკლედ

## ახალქალაქში სომეხმა მოსახლეობამ მიტინგი მოაწყო

გუშინ ახალქალაქის ცენტრში, კულტურის სახლის წინ, ახალქალაქისა და ნინოწმინდის სომეხმა მოსახლეობამ მიტინგი მოაწყო, რომელსაც ახალგაზრდული ორგანიზაცია "ჯემი" ხელმძღვანელობდა.

მომიტინგეთა მოთხოვნები შვიდ პუნქტადაა ჩამოყალიბებული. აქედან, პირველი პრობლემა, როგორც სამცხე-ჯავახეთში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული გიორგი ხაჩიძე აცხადებს, მოგვარებულია - ახალქალაქში საპასპორტო სამსახური უკვე ერთი კვირის წინ გაიხსნა.

რწმუნებულის განცხადებით, დანარჩენი მოთხოვნები მოგვარებადია. "რაც შეეხება ახალქალაქიდან რუსეთის სამხედრო ბაზის გაყვანას, რასაც ადგილობრივი სომხები აპროტესტებენ, ეს არც ადგილობრივი ხელისუფლების და არც ბაზაზე დასაქმებული მოსახლეობის გადასაწყვეტია," - აღნიშნა ხაჩიძემ. მისივე თქმით, ბაზის გაყვანის შემთხვევაში, იქ მომუშავე სომეხი ეროვნების ადამიანები ალტერნატიულ სამსახურში დასაქმდებიან.

აქციის მონაწილეებმა გუშინ თამამად განაცხადეს, რომ "უფრო მასშტაბური გამოსვლა 24 აპრილს, თურქების მხრიდან სომეხი ერის გენოციდის დღეს გაიმართება." **ინტერ-პრესი**

### ორი სიტყვით

**სოხუმი.** 3-4 აპრილს, მოსკოვში გაიმართება აფხაზეთის, დნესტრისპირეთის, მთიანი ყარაბაღისა და სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა. მხარეები სოხუმში აპრილისთვის დაგეგმილ დე ფაქტო პრეზიდენტების სამიტზე მისაღები მემორანდუმის პრინციპებს შეიმუშავებენ და სამიტის ჩატარების თარიღზეც შეთანხმდებიან. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** 22-24 აპრილს თბილისში "კავკასიური ოთხეულის" პარლამენტების თავმჯდომარეთა მორიგი შეხვედრა გაიმართება. საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთისა და რუსეთის პარლამენტების თავმჯდომარეები თბილისში დაგეგმილ შეხვედრაზე კავკასიის ქვეყნებში არსებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებაზე, რეგიონული და საპარლამენტთაშორისო თანამშრომლობისა და კონფლიქტების მოგვარების საკითხებზე იმსჯელებენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართა საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო, რომელსაც პრეზიდენტის ქვრივი მანანა არჩვაძე-გამსახურდია და კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე დაესწრნენ.

გუშინვე, სახელმწიფო კანცელარიასთან, სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის წარმომადგენლებმა საპროტესტო აქცია გამართეს და ხელისუფლებისაგან გამსახურდიას მკვლელების დასახელება მოითხოვეს. **ინტერ-პრესი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ეკონომიკური თანამშრომლობის პერსპექტივები ყაზახეთთან

*უკვე ორი დღეა, რაც საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, სამთავრობო დელეგაციასთან ერთად, ყაზახეთის რესპუბლიკაში იმყოფება. გუშინ იგი ასტანაში, პრეზიდენტის ახალ რეზიდენციაში ნურსულთან ნაზარბაევს პირისპირ შეხვდა. ყაზახეთში ვიზიტის ძირითადი მიზანი და ორი ქვეყნის პრეზიდენტების შეხვედრის მთავარი განსახილველი საკითხი ეკონომიკური ურთიერთთანამშრომლობა იყო.*

პრეზიდენტ ნურსულთან ნაზარბაევთან გამართული შეხვედრის შემდეგ მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ ორ ქვეყანას შორის უკვე არსებობს ერთობლივი ეკონომიკური პროექტები, რომლებიც, პირველ რიგში, ენერგეტიკისა და ტრანსპორტის სფეროში თანამშრომლობას ითვალისწინებს.

**"ყაზახეთში ყოველთვის სვამდნენ ქართულ ჩაისა და ღვინოს. ეკონომიკური თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება, რადგან არსებობს დიდი დაინტერესება სატრანსპორტო-საკომუნიკაციო სფეროში ერთობლივი პროექტების განხორციელების კუთხით,"** – ამის საპასუხოდ აღნიშნა ნაზარბაევმა და დაამატა, რომ ყაზახეთი ყველანაირად დაეხმარება საქართველოს ეკონომიკას.

პრეზიდენტმა მიუთითა, რომ საქართველო და ყაზახეთი სხვადასხვა სფეროებში თანამშრომლობით არიან დაინტერესებული. **"საქართველოს ყაზახეთის მიმართ ენერგეტიკული ინტერესი აქვს, ყაზახეთს საქართველოს სატრანსპორტო და საკომუნიკაციო შესაძლებლობები აინტერესებს,"** – განმარტა ნაზარბაევმა და არ გამორიცხა, რომ ყაზახეთმა საქართველოში ფორთოხალი შეისყიდოს, რომელიც მაროკოს ციტრუსზე იაფია.

ამასთან, ყაზახეთი საქართველოს ბუნებრივი აირითა და ნავთობით მოამარაგებს.

**"ყაზახური გაზით და ნავთობით საქართველოს მომარაგებაზე ჩვენ დღეს კონკრეტულად ვიმსჯელეთ,"** - განაცხადა ყაზახეთის პრეზიდენტმა.

მისი აზრით, საქართველოსთვის გაზისა და ნავთობის მიწოდება აზერბაიჯანის მეშვეობით უნდა განხორციელდეს. **"აპრილში ამ საკითხზე ჩვენ აზერბაიჯანულ მხარესაც დაველაპარაკებით,"** - განაცხადა ნაზარბაევმა.

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის თქმით კი, საქართველო საპრივატიზაციო პროცესში ყაზახეთის მონაწილეობით არის დაინტერესებული.

მან იმედი გამოთქვა, რომ საქართველოში დაწყებული პრივატიზაციის პროცესი წლობით გაჩერებული საწარმოების ამუშავებას და ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ზრდას შეუწყობს ხელს.

როგორც ცნობილია, საქართველოში ყაზახური კაპიტალი პოსტსაბჭოთა სივრცეში უმსხვილესი ბანკის "ტურან ალემის" მეშვეობით შემოდის: ის თბილისის ცენტრში სასტუმროს მშენებლობაში 100 მილიონ დოლარს ჩადებს.

საქართველოს პრეზიდენტის თქმით, ასტანაში მას ძალიან მოეწონა ერთ-ერთი მაღლივი შენობა, რომელიც ბანკი ეგონა. აღმოჩნდა, რომ ამ შენობაში ტრანსპორტის სამინისტროა განთავსებული. **"სიამოვნებით შევფუთავდი მას და თბილისში წავიღებდი. თუმცა, რადგან ეს შეუძლებელია, ასეთ შენობებს ჩვენ ერთად ავაშენებთ,"** - თქვა მიხეილ სააკაშვილმა.

ამასთან, საქართველოს პრეზიდენტი უცხოურ ინვესტიციებზე პირადი კონტროლის დაწესებას გეგმავს. **"მე ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ნებისმიერი უცხოური ინვესტიცია პირადად პრეზიდენტის პატრონაჟის და დაცვის ქვეშ მოექცეს, რა თქმა უნდა, კანონის უზენაესობის პირობებში,"** - განაცხადა გუშინ ასტანაში გამართულ პრესკონფერენციაზე მიხეილ სააკაშვილმა.

საქართველოსა და ყაზახეთს შორის 3 მემორანდუმი გაფორმდა. პირველი მემორანდუმი, რომელიც მთავრობებს შორის გაფორმდა, ნარკოტიკებისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას ითვალისწინებს და საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანმა გელა ბეჟუაშვილმა და ყაზახეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა მოაწერეს ხელი.

თბილისის მერმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა, თავის ასტანელ კოლეგასთან ერთად, ხელი მოაწერა მემორანდუმს თბილისისა და ასტანის დამეგობრების შესახებ.

გუშინვე, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ორგანიზებით, ქალაქ ასტანაში ქართული ნაწარმის გამოფენა "საქართველო - ღვინის აკვანი" გაიმართა. გამოფენაში 30-მდე ქართული კომპანია იღებდა მონაწილეობას, მათ შორის - ღვინის მწარმოებელი, მინისა და მინერალური წყლების, ფარმაცევტული, გადამზიდავი კომპანიები, ასევე "კანარგო" და "ყაზბეგი". მოგვიანებით, სავაჭრო პალატის ორგანიზებით, ბიზნეს-ფორუმი გაიმართა, რომელშიც ქართულ კომპანიებთან ერთად, 100-მდე ყაზახური კომპანია იღებდა მონაწილეობას. ბიზნეს-ფორუმს მიხეილ სააკაშვილიც დაესწრო.

საქართველოს პრეზიდენტი თბილისში დღეს დაბრუნდება.

*24 საათი*


## ფოტორეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

რადიო „მწვანე ტალღა" თავისუფალი აზრის რადიო
**FM 107.4**
მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ელჩი „მწვანე ტალღის" მსმენელთან ყოველ ხუთშაბათს გადაცემა „ამბასადორი" 11-იდან 12 საათამდე



**ავსტრიის საპატიო კონსული საქართველოში ქალბატონი ევა ბერგერი**

წამყვანები: გაგა გობრონიძე,ქეთევან კორძახია
სტუმარი: ქალბატონი ევა ბერგერი,ავსტრიის საპატიო საქართველოში

ევა ბერგერი: მეჯლისი ვენაში მართლაც უმნიშვნელოვანესი მოვლენაა. მისთვის მზადება რამდენიმე თვით ადრე იწყება. ქალები სამეჯლისო კაბებს იკერავენ,მამაკაცები-სმოკინგებს. თუმცა ბოლო დროს სპეციალური გასაცმლის გაქირავებაც გახშირდა. ნებისმიერი მეჯლისისთვის აუცილებელია ქალბატონები სამკაულებით იყვნენ მორთული. ამგვარ დღესასწაულზე დასწრება თქვენც შეგიძლიათ,"ავსტრიული ავიახაზები" უკვე კვირაში სამჯერ დაფრინავს.


# ქართულ-უკრაინული მისია ყირგიზეთში

*საქართველოსა და უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრები სალომე ზურაბიშვილი და ბორის ტარასიუკი გუშინ დილით ყირგიზეთში გაფრინდნენ, სადაც ორი ქვეყნის პრეზიდენტების მიხეილ სააკაშვილისა და ვიქტორ იუშენკოს გზავნილი წაიღეს.*

**"რევოლუციურმა მოვლენებმა თქვენს ქვეყანაში აჩვენა, რომ არსებობს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები, რომლებისთვისაც მნიშვნელობა არ აქვს გეოგრაფიას, რელიგიას და ეროვნულობას. უკრაინაში, საქართველოსა და ყირგიზეთში არჩევნები მხოლოდ მიზეზი იყო, ბოლო წვეთი, რომელმაც ჩვენი ხალხების მოთმინების ფიალა აავსო,"** - ნათქვამია მიმართვაში, რომელშიც საქართველოს და უკრაინის პრეზიდენტები ყირგიზ ხალხს სრულ სოლიდარობას უცხადებენ და დახმარებას და თანადგომას ჰპირდებიან.

ყირგიზეთის ამჟამინდელ ხელისუფლებასა და ასკარ აკაევს შორის კონტაქტების ხელშეწყობა განიხილებოდა ყირგიზეთის პარლამენტის სპიკერის ომურბეკ ტეკებაევის, საქართველოსა და უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრებთან შეხვედრაზე, სადაც ყირგიზეთის პარლამენტის სპიკერმა "ინტერესი გამოხატა უკრაინისა და საქართველოს გამოცდილების მიმართ კრიზისული ვითარებიდან გამოსვლისა და კომპრომისის ძიებასთან დაკავშირებით."

უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბორის ტარასიუკმა ბიშკეკში აღნიშნა, რომ უკრაინა და საქართველო მზად არიან, ყირგიზეთის ახალ ხელისუფლებას და ასკარ აკაევს შორის შუამავლის როლი იკისრონ. **"ჩვენ აქ იმისთვის ჩამოვედით, რომ ვითარება ადგილზე შეგვესწავლა, შემდეგ კი პრეზიდენტებისათვის ყირგიზეთში შექმნილი ვითარების მოგვარებაში შესაძლო მონაწილეობის დეტალები გვეცნობებინა. მაგალითად, უკრაინა და საქართველო მზად არიან, ოპოზიციას და ბატონ აკაევს შორის კონტაქტების დამყარებას ხელი შეუწყონ,"** – განაცხადა მან.

თავის მხრივ, ყირგიზეთის პარლამენტის სპიკერმა განაცხადა, რომ ყირგიზეთის საზოგადოების რევოლუციურად, რადიკალურად განწყობილი ნაწილი "მსხვერპლს ითხოვს". **"ზოგიერთ პოლიტიკოსს კი ხალხის მოთხოვნის წინააღმდეგ წასვლის ეშინია და უკრაინისა და საქართველოს რჩევები არა ჩვენი, არამედ ჩვენი ხალხის იმაში დარწმუნებას შეძლებდა, რომ საჭიროა მეტი მოთმინება,"** – თქვა ტეკებაევმა. ტარასიუკმა განაცხადა, რომ უკრაინისა და საქართველოს პრეზიდენტები პოზიტიურად არიან განწყობილი კოალიცია - "უკრაინა-საქართველო: დემოკრატიული არჩევანის" - შექმნასთან დაკავშირებით. **"ჩვენ ახლა ამ კოალიციის გაფართოებაზე არ ვსაუბრობთ, მაგრამ თუ ყირგიზეთის მხრიდან სურვილი იქნება, ხელისუფლების ჩამოყალიბების ლეგიტიმური პროცესის შემდეგ, შესაძლოა, მისი შემოერთების საკითხი განვიხილოთ,"** – აღნიშნა მან.

*24 საათი*

# ხელისუფლება იმერეთში კადრებს ცვლის

პირველი გვერდიდან

**"ის, რომ გია გეწაძის თბილისში გადასვლაზეა საუბარი, საიდუმლო ნამდვილად არ არის. ჩვენ გვქონდა პრეზიდენტთან ამაზე საუბარი. პრეზიდენტმა რამდენიმე სავარაუდო კანდიდატურასთან დაკავშირებით მკითხა აზრი და მეც ვუთხარი,** - აცხადებს ნინო ბურჯანაძე "24 საათისთვის" მიცემულ კომენტარში, - **არც ჩემი და არც პრემიერ-მინისტრის კომპეტენცია არ არის პრეზიდენტის რწმუნებულის ადგილზე ყოფნა-არყოფნა. ეს პრეზიდენტის გადასაწყვეტია და, შესაბამისად, გადაწყვეტილებას მიიღებენ გუბერნატორი და პრეზიდენტი."**

მას შემდეგ, რაც უკვე ცხადი გახდა გია გეწაძის იმერეთიდან წასვლა, მის "სამსახურებრივ ცოდვებზე" ხმამაღლა იმერეთის დეპუტაციაშიც ალაპარაკდნენ, [illegible]

რეანიმაციაში დასდო. გავრცელებული ინფორმაციით, ბეჟან ხურციძეს იმერეთის გუბერნატორობის ჟინი ჯერ კიდევ თემურ შაშიაშვილის პერიოდიდან დღემდე უშედეგოდ წვავს.

**"არანაირი სურვილი არ მაქვს, გავხდე იმერეთის გუბერნატორი. მე ჩემს თავს ძალიან სერიოზულ კაცად ვთვლი და ამ საქმეში რომ ჩავყო თავი, მაშინ ზედ უნდა გადავყვე და საქმე გავაკეთო. მე ვხედავ, რომ აქ ძალიან ბევრი ხელისშემშლელი ფაქტორია, სადაც საქმის გაკეთება ძალიან ძნელი იქნება,"** - აცხადებს ბეჟან ხურციძე "24 საათთან" საუბარში.

იმერეთის მომავალ გუბერნატორად ბოლო დროს რამდენიმე პარლამენტარი სახელდება, მათ შორის - დავით კირკიტაძე. მიუხედავად იმისა, რომ თავად კირკიტაძე ამას უარყოფს, ის სპიკერისა და პრემიერის მიერ იმერეთის მაჟორიტარ დეპუტატე- [illegible] **"დავით კირკიტაძე არის "ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთი ლიდერი, სხვათა შორის, წარმოშობით იმერელია და მე შეხვედრას დაესწრო, რათა თავისი ყურით მოესმინა, რა პრობლემებია იმერეთში,"** - განმარტავს პარლამენტარი გოგიტა გეგელაშვილი "24 საათთან" საუბარში.

იმერეთის საპარლამენტო დეპუტაციასთან ბურჯანაძისა და ნოღაიდელის შეხვედრას არ ესწრებოდა თერჯოლის მაჟორიტარი დეპუტატი ბეჟან ბუცხრიკიძე, რომელიც, ასევე, გეწაძის სავარაუდო შემცვლელად მოიაზრება. "24 საათის" ინფორმაციით, ის პრეზიდენტთან ერთად ყაზახეთში იმყოფება.

იმერეთის გუბერნატორის პოსტზე სახელისუფლებო კულუარებში ზურაბ ნოღაიდელის კადრად განიხილება ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის უფროსი დავით ჯავახაძე. თავად ჯავახაძე "24 საათთან" საუბარში ამ ინფორმაციას უარყოფს.

პარლამენტის სპიკერი და იმერე- [illegible] გია გეწაძის თანამდებობიდან გადადგომის შემდეგ ქუთაისში ახლად შექმნილი მერიის კაბინეტის მორიგ ცვლილებასაც წინასწარმეტყველებენ. ამის საფუძველს ქმნის ნინო ბურჯანაძის შემდეგი განცხადება: **"მე ძალიან ვცდილობ, არ ჩავერიო საკადრო პოლიტიკაში, ეს არ არის არც პარლამენტის თავმჯდომარის და არც მაჟორიტარის საქმე, მაგრამ იმის პრეტენზია, რომ აზრი მკითხონ ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, მაქვს. ნებისმიერ შემთხვევაში, მკითხეს თუ არა, ყველაფერს გავაკეთებ, რომ ადგილობრივი ხელისუფლებისადმი ხელშემწყობი რეჟიმი იყოს და დავეხმარები, რომ ქალაქის პრობლემები გადაწყდეს, რადგან ვიცი, სიტუაცია რთულია."**

პარლამენტის თავმჯდომარე და ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატი დახურულ კარს მიღმა, ცალ-ცალკე [illegible]






# დაცვა თუ გაყალბება?

*როგორი ბიუჯეტი ექნება ქვეყანას, თუ ის არაფერში დახარჯავს ფულს? რა თქმა უნდა, პროფიციტური. დღეს ამასთან ახლოს ვართ იმიტომ, რომ ჯანდაცვაში სახელმწიფო პროგრამები შეჩერდა, სახელმწიფო სამსახურებში შტატები ლამის განახევრდა და ა.შ. ჩვენი ხელისუფლება კორუფციას ებრძვის. ყოველ შემთხვევაში, ასე აცხადებს. რას აკეთებს იგი იმისთვის, რომ ქვეყნის ეკონომიკური თუ ბიზნეს სექტორი როგორმე დაემსგავსოს დასავლეთის წარმატებულ მოდელებს? ალბათ, რაღაცას აკეთებს, მაგრამ ფაქტია, რომ ხშირ შემთხვევაში ნაბიჯებს უკუღმა ვდგამთ. უნდა აკონტროლებდეს თუ არა სახელმწიფო დოკუმენტაციას, რომელიც ე.წ. მკაცრი აღრიცხვის ფორმების კატეგორიაში გადის? რა თქმა უნდა, თუმცა, როგორც ჩანს, ფინანსთა სამინისტროს მიერ არცთუ დიდი ხნის წინათ პარლამენტში შეტანილი კანონპროექტის მიხედვით, პერსპექტივაში დოკუმენტების გაყალბების უსაზღვრო შესაძლებლობების დემონსტრირება გველის.*

ოთარ ქირია

როგორი წარმოსადგენია, როცა ქვეყანაში თავისუფლად აყალბებენ, მაგალითად, სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიას. ასეთი რამ, თურმე, შესაძლებელია, ვინაიდან ჩვენში ლიცენზიები ე.წ. ცარცის ქაღალდზე იბეჭდება, რაც ფურცელზე მანიპულაციებს საკმაოდ იოლს ხდის. ან, რამდენად სასიამოვნოა, როცა ერთ მშვენიერ დღეს აღმოაჩენ, რომ კუთვნილი ქონება გაყიდულია. ესეც იოლად არის შესაძლებელი, რამეთუ საქართველოში ნოტარიუსები "პრინტერზე" ამობეჭდილი უბრალო ქაღალდებით სარგებლობენ. დაბადების მოწმობები, პასპორტები, მართვისა და პირადობის მოწმობები... ასევე სხვა სახის დოკუმენტაციის გაყალბებას თავადაც არაერთხელ შევხვედრივართ. რაზეა საუბარი, როცა ფალსიფიკატორები დოლარის და ევროს გაყალბებასაც ისე ახერხებენ, რომ მხოლოდ განსაკუთრებული ანალიზი და აპარატურა თუ მიხვდება ბანკნოტის წარმომავლობას.

ყბადაღებულ და მოსაბეზრებელ თემად იქცა ე.წ. ყვითელი ანგარიშ-ფაქტურების – დამატებული ღირებულების გადასახადის ფორმების – გაყალბება. ყბადაღებულს იმიტომ ვამბობთ, რომ საქართველოში დღგ-ს ფაქტურებზეა დამოკიდებული თითქმის მთელი ბიუჯეტი და ეკონომიკა, რაც, რა თქმა უნდა, თავის მხრივ, მცდარი მიდგომაა. არსებობს მოსაზრება, რომ ასეთი ქაოტური აღრიცხვის მექანიზმი სპეციალურად იქნა შექმნილი, რათა მავანს ამღვრეულ წყალში იოლად შეძლებოდა თევზის დაჭერა. აღრიცხვის სხვა ბერკეტი დღემდე, პრაქტიკულად, არ არსებობს. სტატისტიკის სახელმწიფო სამსახურს ისევ არ ენდობიან. უკანონო ვაჭრობას, კონტრაბანდასა და აღურიცხავ საქონელს კვლავაც მიაქვს ბაზარი. დაბოლოს, მკაცრი აღრიცხვის დღგ-ს ფაქტურა, იგივე ყვითელი ფაქტურა, გაყალბებას ექვემდებარება, თანაც, საკმაოდ იოლად.

რამდენიმე დღის წინათ საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კანონპროექტი მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ. რა წერია კანონში?

მარტივად რომ ვთქვათ, მდგომარეობა ასეთი იყო: მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტების წარმოებისა და გამოყენების შესახებ საკითხებს არეგულირებდა სპეციალური კომისია, რომელიც საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებობდა და სფეროს ბრძანებების საფუძველზე არეგულირებდა. ამჟამად საკითხი საკანონმდებლო დონეზე გადის, თუმცა არ შეცვლილა ძირითადი და ექსპერტების მიერ მანკიერად წოდებული მიდგომა. საქმე ის არის, რომ ზემოხსენებული კომისია განსაზღვრავდა მხოლოდ მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტს, ხოლო დოკუმენტისთვის დამცავი მექანიზმების შერჩევას თავად ის უწყება აკონტროლებდა, რომელსაც ესა თუ ის ფორმა ესაჭიროება. მაგალითად, ფულის ნიშნების, ფულის ჩეკებისა და სხვათა დამცავ მექანიზმებზე მუშაობს ეროვნული ბანკის სპეციალური სამსახური, რომელიც ექსპერტებით არის დაკომპლექტებული და მათი პროფესიული დონისთვის ბანკი წელიწადში ათიათასობით ლარს ხარჯავს. ანუ ეროვნულმა ბანკმა იცის, რა უნდა მოითხოვოს და როგორ გააკონტროლოს სტამბის მიერ შესრულებული შეკვეთა. მაგრამ იცის კი ასეთი, მაგალითად, იუსტიციის სამინისტრომ, ჯანდაცვის სამინისტრომ და სხვებმა? მათ რომ ეს შეეძლოთ, ქვეყანაში ნამდვილად არ იქნებოდა გაყალბებული პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებისა თუ სხვათა სიუხვე. რა თქმა უნდა, არავინ ამბობს, რომ ფულს ვერ აყალბებენ, მაგრამ ეს ცალკე თემაა. ამ თვალსაზრისით, მაღალი პროფესიული დონე ქვეყანაში მხოლოდ ეროვნულ ბანკს გააჩნია (ხვალ რა იქნება, არავინ იცის).

მოკლედ, არცთუ დიდი ხნის წინათ საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ გადაწყვიტა, რომ დღგ-ს ფაქტურას ცხრა დასახელების დამცავი მექანიზმი აღარ სჭირდება და საკმარისია მხოლოდ სამი. შედეგად მივიღეთ ის, რომ ანგარიშფაქტურის ოდნავ ნორმალურ ქსეროქსზე გადაღებაც კი საკმარისია იმისთვის, რათა ხელთ გქონდეთ ქვეყნის ეკონომიკისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი. გაყალბებული ფაქტურის აღმოჩენას საგადასახადო სამსახური მხოლოდ მიღებიდან თვენახევრის შემდეგ შეძლებს. ეს დრო კი სავსებით საკმარისია იმისთვის, რომ გაქრე, დაიკარგო, გაკოტრდე და ა.შ. ვინ იცის, ეს ამბავი ხელოვნურად არის შექმნილი თუ არა.

**"ეს უფრო პოლიგრაფიის წარმომადგენელთა ინტერესია. მათ უნდათ, რომ თავად გადაწყვიტონ, რა დოკუმენტი როგორ დაიცვან. რა თქმა უნდა, მათ ხელს აძლევს, რაც შეიძლება მეტი დამცავი ნიშანი იქნეს დატანილი ფორმაზე, რადგან ამით მეტი შემოსავალი ექნებათ. გაყალბებული და გაუყალბებელი დოკუმენტების გარჩევა პროფესიონალების და საგამოძიებო სამსახურების საქმეა, თუ, რა თქმა უნდა, ასეთი საჭირო გახდა. პატივს ვცემ ექსპერტების აზრს და მივესალმები იმასაც, რომ ადმინისტრირება გამკაცრდეს, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ფაქტურის დამცავი მექანიზმების დამატებით გაიზრდება ფორმის დამზადების ფასი და ეს კისერზე ისევ მომხმარებელს დააწვება,"** – აცხადებს პარლამენტარი ზურაბ ტყემალაძე.

ამ კანონპროექტის განხილვისას ოპოზიციამ არ მოიწონა აზრი იმის შესახებ, რომ შეიქმნას სპეციალური კომისია, რომელიც განსაზღვრავდა, რომელ უწყებას რამდენი და როგორი დამცავი მექანიზმი გამოეყენებინა მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტების წარმოებისას. ოპოზიცია მიიჩნევს, რომ ეს უწყებებმა თავად უნდა გადაწყვიტონ. დამტკიცდა ის ვარიანტი, რომელსაც ოპოზიცია ემხრობოდა, თუმცა ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, რატომ შეიძლება მეწარმეებისგან და ბიზნესმენებისგან შემდგარი ოპოზიცია ემხრობოდეს იმას, რომ არაპროფესიონალი კადრებით დაკომპლექტებულმა სახელმწიფო უწყებებმა თავად მოიგონონ დოკუმენტების დაცვის მექანიზმები. რაც შეეხება მმართველთა რიგებს, მათთან დაკავშირებით არაერთხელ ითქვა, რომ ხშირ შემთხვევაში წარმოდგენაც არა აქვთ, რა თემაზე ისმენენ მოხსენებას. რა თქმა უნდა, უმრავლესობის დიდი ნაწილი იგულისხმება.

**"მე მქონდა წინადადება, რომ შექმნილიყო სპეციალური კომისია ან სამსახური, რომელიც სრულად გააკონტროლებდა და უხელმძღვანელებდა დამცავი მექანიზმების საკითხს. თუმცა, ოპოზიციამ და, ჯამში, დეპუტატთა უმრავლესობამ ეს არ მოიწონა. ვიცნობ ექსპერტების მოსაზრებას, რომლებიც ამბობენ, რომ დღეს არსებული ანგარიშ-ფაქტურები გაყალბებისგან თითქმის არ არის დაცული. მაგრამ პარლამენტმა კანონის მიღება ასე ისურვა. შედეგად, თუ ვინმემ დოკუმენტი გააყალბა და პროკურატურამ მიიჩნია, რომ კრიმინალური ფაქტი ფინანსთა სამინისტროს მიერ დოკუმენტების არასწორმა დაცვამ გამოიწვია, ფინანსთა სამინისტრო ამაზე თავად აგებს პასუხს. ანალოგიური მოხდება ყველა სხვა უწყებასა და მისთვის საჭირო მკაცრი აღრიცხვის ფორმაზეც. მე რომ მინისტრი ვიყო, ნამდვილად ვარჩევდი გაცილებით მეტი დამცავი მექანიზმის გამოყენებას,"** – აცხადებს პარლამენტარი მიხეილ მაჭავარიანი.

გამოცდილების თანახმად, ამ ქვეყანაში არაფერია გასაკვირი. არც ის, რომ საგადასახადო სამსახურებს სრულიად აებნეთ თავგზა და ადმინისტრირება აბსოლუტურად გამოვიდეს კონტროლიდან. როგორც აღვნიშნეთ, ადმინისტრირების ორგანოს მხოლოდ მიღებიდან თვენახევარში შეუძლია გაყალბებული დოკუმენტის აღმოჩენა, ანუ იმ დროს და იმ შემთხვევაში, როცა ანგარიშფაქტურის წყვილს ვერ მოძებნის. დღევანდელი საგადასახადო სამსახურის კადრებით კი, საეჭვოა, საერთოდ იპოვონ ან გაარკვიონ რამე. შესაძლოა, ეს ისევ სპეციალურად ხდება...

**"პოლიგრაფისტების ინტერესამდე დგას სახელმწიფო უწყების ინტერესი. რა თქმა უნდა, ჩემთვის დამატებითი დამცავი მექანიზმები შემოსავალია, მაგრამ რა პოზიციაში აღმოჩნდება სახელმწიფო, როცა გაირკვევა, რომ ერთი თეთრის დაზოგვით (ანგარიშფაქტურების შემთხვევაში) ვიღაცა ათასებს და ასიათასებს დაუმალავს ბიუჯეტს. ხშირად მსმენია ისიც, თითქოს ჩვენ გვინდა ამ სტანდარტებზე მუშაობა. რა თქმა უნდა, არა. მაგრამ თუ იციან ასეთი განცხადების ავტორებმა, რომ საქართველოში ერთეულებია, ვისაც რეალურად შეუძლია დამცავი მექანიზმების გარჩევა. სანამ თქვენ ან ვინმე პროფესიონალურ დონეზე გაყალბებულ დოკუმენტებს ამოიცნობს, ჩაატარებს ექსპერტიზას, ანალიზისთვის პოლიგრაფებთან მიიტანს, გამყალბებელი გაქრება. საერთოდ, ასეთი განათლების მიღება სასწავლებლებში არ ხდება. ნებისმიერი კომპანია ან ორგანიზაცია, რომელიც დაინტერესებულია დაცული დოკუმენტების ბეჭდვის მაღალკვალიფიციური კადრი ჰყავდეს, წელიწადში დაახლოებით 30 ათას დოლარს ხარჯავს, რათა ყველა სპეციალურ კონფერენციას დაესწროს და მოვლენებს არ ჩამორჩეს,"** – აცხადებს "საგამომცემლო პოლიგრაფიული სახლი კაბადონის" კომერციული დირექტორი, პოლიგრაფიის ექსპერტი ლაშა იაშვილი.

ისე კი, საერთაშორისო გამოცდილების თანახმად, ასეთ საქმიანობას ხელმძღვანელობს სპეციალური კომისიები ან სამსახურები, სადაც ჩართულია უშიშროებისა და პოლიციის სამსახურები, დამოუკიდებელი ექსპერტები და პოლიგრაფისტები. ერთი სიტყვით, შესაძლოა, ძალიან მალე იმის შესახებაც შევიტყოთ, რომ საქართველოში გაიხსნა მიწისქვეშა კანტორა, რომელიც ყალბ ანგარიშფაქტურებს ამზადებს და ყიდის გაცილებით იაფად, ვიდრე ორიგინალი ფასობს.

ცნობისათვის, დღეს საქართველო 500 ათას ანგარიშფაქტურას ბეჭდავს.

## თეატრი „ღია ცის ქვეშ“



*გორის თეატრმა, გასული წლის 17 ნოემბერს აკადემიური თეატრის წოდება მიიღო; წელს, 14 იანვარს, როგორც საუკეთესო თეატრს, ოქროს აფიშა გადასცეს, მაგრამ პრობლემები პრობლემებად დარჩა. მალე შეიძლება, თეატრი სახურავის გარეშე დარჩეს. ასეთივე პრობლემაა გორის სამხატვრო სკოლაშიც - იქ ისევე წვიმს, როგორც ქუჩაში.*

თეა თედლიაშვილი
*გორიდან*

გორის გიორგი ერისთავის სახელობის აკადემიურ თეატში სახურავი ინგრევა. წლების მანძილზე დაზიანებული ჭერი 1 თებერვლის ტერაქტის შემდეგ კიდევ უფრო დაზიანდა. სერიოზული საფრთხეა იმისა, რომ ჭერი ჩამოიშალოს. რემონტისათვის 200 ათასი ლარია საჭირო. ეს თანხა ადგილობრივ ხელისუფლებას არ გააჩნია, ამიტომ თეატრის ხელმძღვანელობა ქველმოქმედების იმედადაა დარჩენილი. შეწყვეტილია სპექტაკლების ჩვენება. უკანასკნელ ხანებში გახარებული მაყურებელი ისევ დარჩა მნიშვნელოვანი კულტურული დაწესებულების გარეშე.

**“არა მაქვს გარანტია, რომ დიდ დარბაზში, სპექტაკლის მსვლელობისას, ჭერი არ ჩამოიქცევა. ახლა მცირე დარბაზის რემონტს ვაკეთებთ, რაც 15 ათას ლარს საჭიროებს. ეს თანხები გუბერნიამ და რაიონის გამგეობამ უკვე გამოგვიყო,** -ამბობს თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი რამაზ იოსელიანი, **- თუ თეატრის ჭერი ამ ზაფხულს არ გაკეთდება, მაყურებელი, ალბათ, მერმისსაც ვერ შეძლებს სპექტაკლის დიდ დარბაზში ნახვას."**

გუბერნატორის მოადგილის ზვიად ხმალაძის თქმით, ადგილობრივ ხელისუფლებას არ გააჩნია ისეთი დიდი თანხები, როგორსაც თეატრის რემონტი საჭიროებს.

მართალია, თეატრის ბიუჯეტი 150 ათას ლარს შეადგენს, მაგრამ ეს რომ მთლიანად რემონტზე დაიხარჯოს, სპექტაკლებისთვის თანხა არ დარჩება.

**“ალბათ, უნდა შემცირდეს მსახიობების რაოდენობა, მით უმეტეს, დასი ხანშიშესულია და ახალგაზრდა თაობით ჩანაცვლებას საჭიროებს,”** – ასეთ გამოსავალს ხედავს ზვიად ხმალაძე.

რეჟისორი სოსო ნემსაძე უკვე მუშაობს სპექტაკლზე გაყრა, რომელშიც ახალგაზრდა მსახიობები დაკავდებიან, სწორედ ამ მსახიობების დატოვებას აპირებს თეატრში რამაზ იოსელიანი.

## ჩემი სკოლა ანუ არაჩვეულებრივი გამოფენა

გურიაში სკოლების ერთი ნაწილი ამორტიზებულ შენობებშია განთავსებული, სკამი და მერხები მწყობრიდანაა გამოსული, ახალი სასწავლო წლის დაწყების წინ ჩატარებული იაფფასიანი კოსმეტიკური ღონისძიებები, ფაქტობრივად, სახეს ვერ უცვლის სკოლების შენობებს, რაც დრო მიდის, ვითარება მით უფრო მძიმდება.

ამ დღეებში, ოზურგეთის არასამთავრობო ორგანიზაციამ “ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირმა", რომელიც მერილენდის უნივერსიტეტთან არსებული IRIS ცენტრისა და აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო USAID-ის ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს პროექტს - “მოზარდები თანატოლთა უფლებების სადარაჯოზე", მოზარდთა სამოქალაქო ინტერესების დაცვის მიზნით ჩაატარა აქცია “ჩემი სკოლა ანუ არაჩვეულებრივი გამოფენა". ჯერ კავშირის ბაზაზე არსებული საკვირაო სკოლის ფოტომოყვარულთა და კინოდოკუმენტალისტთა კლუბების მიერ მომზადებული ვიზუალური მასალა იქნა ნაჩვენები, ხოლო შემდეგ აქვე გაიმართა საკმაოდ მძაფრი დისკუსია მხარისა და რაიონების ხელმძღვანელთა, სკოლების დირექტორთა და ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის წევრების მონაწილეობით. ნანახმა ვიზუალურმა მასალამ დამთრგუნველი ზემოქმედება მოახდინა შეკრებილებზე, მაგრამ, როგორც გურიაში საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულმა ჟანი კალანდაძემ აღნიშნა თავის გამოსვლაში, რაც აქ იხილა, მისთვის არ არის ახალი რამ. ჩვენი ეკონომიკის დონე ჯერ კიდევ ვერ ქმნის საიმისო ფონს, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებებს ჯეროვანი რემონტი ჩაუტარდეს, განახლდეს მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რის აუცილებლობაში ყველა დარწმუნებულია. მისი აზრით, ამ ეტაპზე გურიისთვის მნიშვნელოვანი სხვა პრიორიტეტებია, თუმცა რწმუნებულმა გამოთქვა იმედი, რომ 2006 წლის ადგილობრივ და ცენტრალურ ბიუჯეტებში გაიზრდება ის რესურსი, რომელიც სკოლების კეთილმოწყობაზე იქნება გათვალისწინებული და აღნიშნა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ის აუცილებლად შეხვდებოდა “ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის" წარმომადგენლებს.

*თამაზ ხარაიშვილი*
*ოზურგეთიდან*


საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გაცნობებთ, რომ თურქეთის რესპუბლიკის მთავრობამ 2005-2006 სასწავლო წლისათვის საქართველოს გამოუყო:**

- ათი ორთვიანი **თურქული ენისა და კულტურის საზაფხულო სტიპენდია ;**
- ხუთი რვათვიანი **უმაღლესი განათლების შემდგომი "მაძიებლის" სტიპენდია** (სავალდებულოა კანდიდატს არჩეული ჰქონდეს სამუშაო თემა);
- ერთი **უმაღლესი განათლების მიღების სტიპენდია** (სწავლის ხანგრძლივობაა სამი წელი, სავალდებულოა კანდიდატი იყოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კურსდამათავრებული და ფლობდეს უმაღლესი განათლების დიპლომს ბაკალავრი/მაგისტრი);

**"მაძიებლის"** და **"უმაღლესი განათლების მიღების სტიპენდიის"** მოპოვებისათვის უპირატესობა მიენიჭებათ თურქული ენის მცოდნე კანდიდატებს, ხოლო **"თურქული ენისა და კულტურის საზაფხულო კურსის"** გასავლელად უნივერსიტეტის კურსდამათვრებულ ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თურქოლოგიის განყოფილების სტუდენტებს.

**დაწვრილებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საერთაშორისო და საზღვარგარეთის სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის სამმართველოს**
მისამართი: დ უზნაძის 52,
ტელეფონი: 95 70 10

**საბუთების წარდგენის ბოლო ვადაა 14 აპრილი.**


# თუ მთა არ მივა ბიზნესთან...

თამარ მაისურაძე

*ბორჯომი გახდება პატარა შვეიცარია, წყალტუბო ლასვეგასს არ დაუდებს ტოლს, თბილისში პატარა მანჰეტენი გაშენდება, მცხეთა ავსტრიას დაემსგავსება - ასეთია ჩვენი მთავრობის წევრების ჯერ კიდევ აუხდენელი ოცნება. ბოლო “ოცნების” ავტორი მცხეთა-მთიანეთში პრეზიდენტის რწმუნებული ვასილ მაღლაფერიძე გახლავთ, რომელმაც თავისი იდეები მცხეთის და, ზოგადად, ქვეყნის განვითარების შესახებ სააშკარაოზე, ახალ პოსტზე დანიშვნიდან მეოცე დღეს გამოიტანა.*



*ვასილ მაღლაფერიძე: “ამ მხარეს ქვეყანაში ტურიზმის განვითარების დიდი რესურსი აქვს”.*

**”ამ მხარეს ქვეყანაში ტურიზმის განვითარების დიდი რესურსი აქვს,”** – აცხადებს მცხეთა-მთიანეთის ხელმძღვანელი და გამოსავალს გვთავაზობს, რომლის თანახმადაც, ქვეყანამ მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა 2-3 წელიწადში უნდა დაძლიოს. **“დღევანდელი გაჭირვება კვამლივით გაქრება. ვინც ამ საქმეს ტუტუცურად მიუდგება, ის ქვეყნის მტერია,”** – ამბობს ვასილ მაღლაფერიძე.

**“მთა არ მივა ბიზნესთან, ბიზნესი უნდა მივიდეს მთასთან,”** – ასეთია ვასილ მაღლაფერიძის ფრთიანი ფრაზა, რომელიც ბაზალეთის ტბაზე მშენებარე კომლექსის დასრულებას, შემდგომში კი ამ რეგიონში ტურიზმის განვითარებას გულისხმობს.

**“საქართველოს კარგად ვიცნობ და ასეთი მასშტაბების მქონე კომპლექსის მნახველი არსად ვარ. ბაზალეთის კომპლექსი მთლიანად გადაჭრის არა მხოლოდ დუშეთის რაიონის პრობლემებს, არამედ მთელ რეგიონში განვითარდება ტურიზმი, მოხდება ფშავ-ხევსურეთის, თრუსოს ხეობის ათვისება. დასაქმდება 3 ათასადე ადამიანი. ეს იმისთვის კეთდება, რომ ქვეყანა იყოს მდიდარი, რომ გახდეს ავსტრიის ტიპის ქვეყანა, რისი რესურსიც გვაქვს. აქ არის ეკოლოგიურად ყველაზე სუფთა მთის კურორტი. თანამედროვე ევროპაში სწორედ აქედან უნდა გაიჭრას ფანჯარა,”** –გვითხრა რეგიონის ხელმძღვანელმა.

ბაზალეთის მშენებარე ტურისტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი 7 კოტეჯისგან შედგება. სამსამსართულიან სამ კოტეჯში 12 სამოთახიანი ნომერია. ოთხსართულიან კოტეჯში 1 და 2-ოთახიანი ნომრებია. ცალკეა საპრეზიდენტო აპარტამენტები და შენობა კონფერენციების გასამართად. იქვეა გასართობი კორპუსი, სპორტის სხვადასხვა სახეობისთვის განკუთვნილი სტადიონები, მედპუნქტი, კაფეები და რესტორნები. ამ “პატარა ქალაქის” გაყოლებაზე 900 მეტრის სიგრძის ახალი პლაჟია.

როგორც ვასილ მაღლაფერიძე აცხადებს, კომპლექსის მშენებლობა თითქმის დასრულებულია. ბაზალეთზე 20 მილიონი დოლარის ინვესტიციაა ჩადებული, საბოლოო სახის მისაღებად კიდევ 10 მილიონია საჭირო. თუმცა, ამ თანხის პრობლემა არ არის, პრობლემა სხვაგანაა...

კომპლექსის მშენებლობა უცხოელმა ინვესტორმა – ისრაელის კომპანია “ცენტრმა” 1997 წელს დაიწყო. “ცენტრი” ტურისტებს მომსახურების შემდეგ პაკეტს სთავაზობდა: უცხოელი სტუმარი ჯერ თბილისში, კომპანიის სასტუმროში დაბინავდებოდა, შემდეგ კი ბაზალეთის კომპლექსს ესტუმრებოდა.

რამდენიმე წლის წინ, ქალაქის საკრებულოს გადაწყვეტილებით, თბილისში, გრიშაშვილის ქუჩაზე მიმდინარე სასტუმროს მშენებლობა შეჩერდა. ამის მიზეზი გახდა საძირკველის გაჭრისას აღმოჩენილი სამარხები. ამდენად, გრიშაშვილის ქუჩაზე შეწყვეტილი მშენებლობა ბაზალეთის კომპლექსის მშენებლობის დასრულებასთან პირდაპირ კავშირშია.

ამ საკითხში გარკვევა თბილისის საკრებულოს წევრ ომარ აბულაძეს დაევალა. **“9-გვერდიანი დასკვნა მზად არის, რომელსაც ქალაქის მთავრობა უახლოეს დღეებში გაეცნობა, შემდეგ კი საკრებულო განიხილავს,”** – გვითხრა საკრებულოს წევრმა. ეს ადგილი არქეოლოგებს ჯერ არ შეუსწავლიათ, მაგრამ, როგორც ომარ აბულაძისგან შევიტყვეთ, **“საკრებულო მშენებლობის ნებართვას, ალბათ, გასცემს. წინააღმდეგ შემთხვევაში, იმ ზარალის ანაზღაურება მოუწევს, რაც “ცენტრმა” მშენებლობის შეჩერების შედეგად მიიღო.”**

არაოფიციალური ინფორმაციით, უცხოელმა ინვესტორმა რამდენიმე მილიონი დოლარით იზარალა. რაც შეეხება თბილისის საკრებულოს, მას შეჩერებული მშენებლობის გამო ინვესტორისთვის ზარალის გადახდამ ერთხელ უკვე მოუწია.

კომპანია “ცენტრის” წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ბაზალეთის კომპლექსის მფლობელს ილია მოსიაშვილს მთავრობის გვერდში დგომის იმედი აქვს და ცდილობს, ეს საკითხი ყოველგვარი სკანდალისა და დაპირისპირების გარეშე გადაწყდეს. ინვესტორი იმედოვნებს, რომ მთავრობის მიერ გაცხადებული მხარდაჭერა სხვა ინვესტორებისთვის მაგალითი იქნება.

# როგორ ემზადება პოლიციის ქვეითი პატრული

კობა ლიკლიკაძე
*„რადიო თავისუფლება“*

*საპატრულო პოლიცია, საერთო შეფასებით, ახალი ხელისუფლების ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ რეფორმატორულ პროექტად ითვლება. სულ რამდენიმე კვირაში კი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის აკადემიის სასწავლო ცენტრში დამთავრდება კიდევ ერთი - პოლიციის ქვეითი პატრულის მოსამზადებელი პროექტი, რომელმაც ე.წ. უბნის ინსპექტორების მოძველებული ინსტიტუტი უნდა შეცვალოს.*



*საპატრულო პოლიცია ხელისუფლების სიამაყეა.*

გლდანის დასახლებაში, სადაც პოლიციის აკადემიის სასწავლო ცენტრი მდებარეობს, ყოველ დილით, 9 საათზე, პლაცზე მდგარი 530 მსმენელი სახელმწიფო ჰიმნის შესრულებით იწყებს სასწავლო დღეს. თუმცა, ხმების შეწყობაზე მეტად, მომავალ ქვეით პატრულს სამწყობრო სიარული, საცეცხლე მომზადება, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ამტანობა და ხელჩართული ბრძოლის ილეთების ფლობა მოეთხოვება. განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება იარაღისა და ძალის სწორ გამოყენებაზე ბოროტმოქმედის დაკავების პროცესში. ამ საგნის თეორიული კურსი პროექტორის გამოყენებით, სხვადასხვა ფილმების ჩვენებით შეისწავლება.

**“სწრაფად შევაფასოთ სიტუაცია, სწრაფად გადავხარშოთ, თუ რა შეიძლება გამოვიყენოთ იქ ჩვენ. იმ წუთში არ უნდა დავაძროთ იარაღი, ვესროლოთ და მოვკლათ,"** - ამ შეხსენებით იწყება სწავლება იარაღის კლასში.

ძალის სამართლიანი გამოყენება, პრინციპულობა და ჰუმანიზმის გრძნობა, ეს არის მთავარი მოთხოვნა, რაც პოლიციის პატრულის ახალ ნაკადს მოეთხოვება პოლიციის აკადემიაში. საქართველოში ლამის იდეალადაა ქცეული ნოდარ დუმბაძისეული “კუკარაჩა" - უბნის ინსპექტორი, ვისაც შეიძლება ენდო, ვისაც კრიმინალური ავტორიტეტის დანახვაზე არ აკანკალებს და ვისთვისაც სულ ერთი არ არის, თუ რა ხდება მისდამი რწმუნებულ რაიონში.

ასეთი ნდობის ინსტიტუტის ჩამოსაყალიბებლად შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის აკადემიაში გასული წლიდან ამოქმედდა სამთვიანი საბაზისო კურსები პოლიციის პატრულისათვის. განახლდა აკადემიაში არსებული მეთოდოლოგია, დაინერგა პროექტორები, სპეციალური კომპიუტერული პროგრამები და სიმულატორები, თანამდებობიდან გათავისუფლდნენ კორუფციულ გარიგებაში ეჭვმიტანილი პროფესორ-მასწავლებლები, ხოლო მიმღები კომისია, პროფესიონალი პოლიციელების გარდა, სხვადასხვა პროფესიის ადამიანებისაგან დაკომპლექტდა. **“მისაღები გასაუბრების დროს უპირატესობა ენიჭებოდა არა იმას, თუ ვინ რამდენი წელი იმუშავა პოლიციის სისტემაში, არამედ - თუ როგორ ესმის მომავალ პატრულს ახალი მოთხოვნები,”** - ამბობს აკადემიის რექტორი, სამართლის დოქტორი ლევან იზორია, რომელიც ფიქრობს, რომ პოლიციის პატრულის მიმართ არსებული ნდობა ბევრწილად სწორედ აკადემიის კედლებში გატარებული სამი თვის დამსახურებაა.

**“რომ არა კანდიდატების მიუკერძოებელი სელექცია, ეს სამსახური იქნებოდა ისეთივე კორუმპირებული, როგორც საგზაო პოლიცია. უბრალოდ, ამ ხალხს ინვესტიცია არ ჩაუდია არსად და არ უზრუნია იმისთვის, რომ ფული უკან ამოეღო,"** - ლევან იზორია.

ქვეითი პატრულის პირველი გამოშვება მთლიანად საქართველოს რეგიონებიდან ჩამოსული მსმენელებით დაკომპლექტდა. მათ შორის არის ლენტეხის რაიონის მკვიდრი ნინო კონდრატიევა. სანამ პოლიციის აკადემიის კურსებზე მოხვდებოდა, ნინომ უნივერსიტეტიც დაამთვარა და ლენტეხში უბნის ინსპექტორის პოსტზე მუშაობაც მოასწრო. თანაკურსელი ქალების მსგავსად, მათი რიცხვი კი დაახლოებით 40-ს აღწევს, ისიც ჩვეულებრივ გადის ყველა იმ საგანს, რაც სასწავლო ცენტრში ისწავლება. ნინოს თავიდან ძალიან გაუჭირდა ფიზიკური ვარჯიშები და მკაცრ სამხედრო რეჟიმთან შეგუება, მაგრამ ახლა უკვე ამ სიძნელეებზე მხოლოდ წარსულში ლაპარაკობს.

**“პირველი ორი დღე ძნელი იყო - უცხო გარემო, რეჟიმი. მაგრამ ახლა ყოველი დღის გათენება მიხარია, რომ მოვიდე აქ... თავად სწავლის პროცესი, დამოკიდებულება ძალიან უშუალოა და არა ისეთი, როგორიც მოსწავლესა და მასწავლებელს შორის. რა ვიცი, მზადა ვარ ვემსახურო საქართველოს,"** - ამბობს ნინო კონდრატიევა. მან უკვე იცის, რომ როდესაც სამთვიან მოსამზადებელ პროგრამას დაასრულებს, იგი სამსახურს სწორედ ლენტეხის რაიონში გააგრძელებს. მომავალ ქვეით პტრულს ის სიძნელეები და პრობლემებიც მოეხსენება, რისი გადაჭრაც მას მომავალში დაეკისრება: **“ბავშვები სკოლას ამთავრებენ, სამუშაო არა აქვთ, დგანან ბირჟაზე და ხულიგნობენ. იქ კომერციული ჯიხურები ტყდება, არის კიდევ დავები მეზობლებს შორის. ამიტომ უბნის ინსპექტორის მუშაობა პრიორიტეტია ლენტეხის რაიონისათვის."**

10 აპრილს ქვეითი პატრულის პირველი კურსდამთავრებულები, სერტიფიკატთან ერთად, პოლიციის ფორმას და სპეციალურ სამკერდე ნიშანსაც მიიღებენ. მათი კარიერა დღევანდელ საქართველოში არ იქნება იოლი, მაგრამ ისინი ნულიდანაც არ იწყებენ. უკვე არსებობს საგზაო და სატრანსპორტო პოლიციის პატრული, რომელმაც შეძლო, გარკვეული ავტორიტეტი შეეძინა პოლიციელის მუნდირისათვის.

# სანამ ონკანს მოუშვებდეთ...

*გუშინ ჯანდაცვის სამინისტროს სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციის ხელმძღვანელმა დავით მესხიშვილმა საგანგებო ბრიფინგი გამართა. მესხიშვილის განცხადებით, წყალსაკანალიზაციო სისტემა საქართველოს თითქმის ყველა რაიონში მწყობრიდანაა გამოსული, რამაც შესაძლოა სასმელი წყლით მოწამვლის ფაქტები გამოიწვიოს. განსაკუთრებით მწვავე ვითარებაა ახალციხისა და გორის რაიონებში.*

თამარ დვალი

უკვე რამდენიმე დღეა, რაც საქართველოს რიგ რაიონებში მოსახლეობას უვარგისი სასმელი წყალი მიეწოდება. ქალაქ გორში ამის მიზეზად მდინარე ჭარებულას ადიდების ფაქტი სახელდება. წყალდიდობის გამო სასმელი წყლის ორი სათავე ნაგებობა დატბორილია, რის შედეგადაც, ონკანებში ამღვრეული წყალი მოდის. გორის სანიტარიული სამსახური გადადუღებული წყლის გამოყენებას ურჩევს მოსახლეობას.

როგორც საინტარიული ინსპექციის უფროსი დავით მაყაშვილი აცხადებს, ამ ეტაპზე რაიმე დაავადების გავრცელების საფრთხე არ არსებობს. ამჟამად გორში სასმელი წყლის ქიმიური და ბაქტერიოლოგიური ექსპერტიზა ტარდება. თუკი ლაბორატორიას ელექტროენერგია უწყვეტად მიეწოდება, ექსპერტიზის პასუხი ოთხი დღის შემდეგ გახდება ცნობილი.

რაც შეეხება დატბორილ ტერიტორიებს, ამოშრობის სამუშაოები ღამის განმავლობაშიც მიმდინარეობს.

როგორც გუშინ საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე მესხიშვილმა განაცხადა, წყალსაკანალიზაციო სისტემა საქართველოს თითქმის ყველა რაიონში მწყობრიდანაა გამოსული.

**"დღეისათვის საგანგაშო მდგომარეობა არ არის, თუმცა, წყალდიდობების შედეგად, გამორიცხული არ არის, სასმელი წყლით მოწამვლის შემთხვევებიც დაფიქსირდეს,"** - აღნიშნა დავით მესხიშვილმა. მისივე თქმით, მიმდინარე წლის დასაწყისიდან დღემდე, ქუთაისსა და ახალციხეში ნაწლავური ინფექციით დასნებოვნების 17 შემთხვევა დაფიქსირდა, რომელთა წარმოშობის კონკრეტული წყარო უცნობია. ეს კი, მესხიშვილის აზრით, განგაშის საფუძველს იძლევა, რადგან ინფექციის კონკრეტული წყარო დაზუსტებული არ არის. სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციის ხელმძღვანელი წყალსაკანალიზაციო სისტემაში არსებული სიტუაციის შესახებ ანგარიშს ორშაბათს ჯანდაცვის მინისტრს წარუდგენს.

იმისათვის, რომ ნაწლავური ინფექციები თავიდან იქნეს აცილებული, სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია მოსახლეობას შემდეგ რჩევებს სთავაზობს:

1. არ მიიღონ სასმელად ისეთი წყალი, რომლის სუნი, ფერი და გემო ეჭვს იწვევს;

. სისტემატურად დაუკვირდით სასმელ წყალში შეუიარაღებელი თვალით შესამჩნევ წყლის ორგანიზმებსა და დამდგარ წყალზე ზედაპირული აპკის არსებობას;

სასმელი წყლის შეფერხებით მიწოდების შემთხვევაში რეკომენდებულია, წყალი სასმელად 20-30 წუთის დინების შემდეგ გამოიყენონ;

წყლის შეფერხებით მიწოდებით შემთხვევაში ან მის ხარისხზე ეჭვის არსებობისას მიიღონ მხოლოდ გადადუღებული წყალი;

სასმელ წყალში ქლორის ძლიერი სუნის არსებობისას წყალი სასმელად გამოიყენონ მხოლოდ დაყოვნების შემდეგ;

წყლის ხარისხზე ეჭვის მიტანის შემთხვევაში დაუყოვნებლივ შეატყობინონ ადგილობრივ სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციას;

წყალსადენის ქსელში დაზიანების აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ შეატყობინონ ადგილობრივ სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციას.

როგორც სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელმა განაცხადა, მისი მითითებით შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელიც ნაწლავური ინფექციის გამომწვევ მიზეზს დაადგენს. მანამდე კი მოსახლეობამ აუცილებლად უნდა დაიცვას ზემოთ ჩამოთვლილი წესები. აუცილებლობის შემთხვევაში კი, დარეკონ ინსპექციის ცხელ ხაზზე: 39 52 47; 899 30 32 82.

თბილისის სანიტარიულ ინსპექციაში აცხადებენ, რომ თბილისის მასშტაბით სასმელი წყლის ვარგისიანობა ეჭვს არ იწვევს. თუმცა, იმ უბნებში, სადაც წყალი გრაფიკით მიეწოდებათ, უმჯობესია, თუკი მოსახლეობა წყალს გადადუღების შემდეგ მიიღებს.

# ზიმბაბვეს საპარლამენტო არჩევნები და საარჩევნო სიებში აღმოჩენილი „მკვდარი სულები"



31 მარტს ზიმბაბვეში საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა. გასულ წელს გატარებული საარჩევნო რეფორმების შემდეგ გუშინდელი არჩევნები საერთაშორისო სტანდარტებთან მისი შესაბამისობის შესახებ ერთგვარი ტესტი იქნება. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საარჩევნო კანონში ცვლილებების შეტანის მიუხედავად, საარჩევნო პროცესის თავისუფლებისა და სამართლიანობისადმი ოპოზიციონერები თავიდანვე სკეპტიკურად იყვნენ განწყობილნი. მათი თქმით, სახელმწიფო მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით სარგებლობა მათთვის მხოლოდ სიმბოლურ ხასიათს ატარებდა და მხოლოდ დემოკრატიულ პირობებში ჩატარებული საარჩევნო კამპანიის ოფიციალურ სახეს ქმნიდა; მეტიც, დემოკრატიული ცვლილებების მოძრაობის (ოპოზიციური მოძრაობა) წევრები იმასაც აღნიშნავდნენ, რომ ხელისუფლებამ მკაცრად გააფრთხილა მათი მომხრეები, ხმა არ მიეცათ თავიანთი ფავორიტებისათვის - წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი სამუდამოდ გამოეთხოვებოდნენ იმ დახმარებას, რასაც მათ ხელისუფლება მეწარმეობის განვითარებისთვის აძლევდა.

ასეა თუ ისე, ბევრი რამაა დამოკიდებული ამ არჩევნების შედეგებზე. იმ შემთხვევაში, თუ მმართველი პარტია "ზანკ-პფ" (ზიმბაბვეს აფრიკული ნაციონალური კავშირი - პატრიოტული ფრონტი) პარლამენტში მანდატების ორ მესამედს მოიპოვებს, მას ექნება შესაძლებლობა, ცვლილებები შეიტანოს კონსტიტუციაში. ცვლილებები კი, ძირითადად, საპროცედურო საკითხებს შეეხება, რომლებიც დაკავშირებული იქნება პრეზიდენტის გადაყენებისა თუ თანამდებობაზე ყოფნის დროს მისი გარდაცვალების შემთხვევასთან. მმართველ პარტიაში საკმაოდ ბევრი მხარდამჭერი ჰყავს იმ იდეას, რომ პოსტზე ყოფნისას პრეზიდენტის გარდაცვალების შემთხვევაში, მმართველმა პარტიამ დანიშნოს მოვალეობის შემსრულებელი ადამიანი ორი წლით, რის შემდეგაც გამოცხადდება საპრეზიდენტო არჩევნები. მოვალეობის შემსრულებელ ადამიანს კი, რასაკვირველია, არჩევნებში გარკვეული უპირატესობა ექნება სხვა კანდიდატებთან შედარებით.

ანალიტიკოსთა აზრით კი, თუ საკანონმდებლო ორგანოში მმართველი პარტია უმრავლესობით მოვა, "ზანკ-პფ"-ის ზოგიერთი წევრი შეეცდება პრეზიდენტ რობერტ მუგაბეს აქტიური პოლიტიკიდან ჩამოცილებას. არაა გამორიცხული, კონსტიტუციაში შეიტანონ ცვლილებები, რომელთა თანახმად, რეალური ძალაუფლება პრემიერ-მინისტრს გადაეცემა.

რაც შეეხება პარლამენტში ოპოზიციონერთა უმრავლესობით მოსვლის ალბათობას, ასეთ შემთხვევაში, ალბათ, დემოკრატიული ცვლილებების მოძრაობა მუგაბესთვის იმპიჩმენტის მოწყობას შეეცდება.

თუმცა, აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მმართველ "ზანკ-პფ"-ს უკვე აქვს უპირატესობა ოპოზიციურ "დემოკრატიული ცვლილებების მოძრაობასთან" შედარებით, რადგან 150-ადგილიან პარლამენტში 30 დეპუტატს პრეზიდენტი რობერტ მუგაბე ნიშნავს. წინა საპარლამენტო არჩევნებშიც ხომ ასე მოხდა - დემოკრატიული ცვლილებების მოძრაობამ მმართველი პარტიის თანაბარი მანდატები მოიპოვა, მაგრამ, სწორედ პრეზიდენტის მიერ დანიშნულ დეპუტატთა გამოისობით, უმცირესობაში მოექცა.

ახლაც რობერტ მუგაბე, რომელიც ქვეყანას უკვე 25 წელია, რაც მართავს, საკუთარ პარტიას უპირობო გამარჯვებას უწინასწარმეტყველებს. ოპოზიციონერები კი, მუგაბეს აზრით, გამყიდველები და ყოფილ კოლონიალისტთან - ბრიტანეთთან შეკრული მოღალატეები არიან.

31 მარტის საპარლამენტო არჩევნებს მცირე რაოდენობით უცხოელი დამკვირვებლები ესწრებოდნენ, ბევრი კი, უბრალოდ, არ დაუშვეს საარჩევნო პროცესზე, იმ მიზეზით, რომ მათ წინა არჩევნებში ზიმბაბვეს ხელისუფლება გააკრიტიკეს.

რაც შეეხება საარჩევნო პროცესის საეჭვო თავისუფლებასა და სამართლიანობას, დემონსტრირებისთვის ისიც საკმარისია, რომ დამოუკიდებელი ანალიტიკოსები საარჩევნო სიებში "მკვდარი სულების" არსებობაზე საუბრობენ. როგორც ჩანს, არჩევნების გაყალბების "საერთაშორისო პრაქტიკა" არც აფრიკის კონტინენტისთვისაა უცნობი.

*24 საათი*

# დაბრუნდება თუ არა ტერორი რამალაში

*წლის დასაწყისში ჩასახული იმედი, რომ პალესტინის ახლად არჩეული მმართველი, მშვიდობის გარდა, პალესტინელთა კონსოლიდაციასაც შეძლებდა, როგორც ჩანს, ნელ-ნელა კითხვის ქვეშ დგება. ოთხშაბათს ღამით პალესტინის ადმინისტრაციულ ცენტრ რამალაში შეიარაღებულმა პირებმა პალესტინის ავტონომიის მეთაურის რეზიდენცია დაცხრილეს. სააგენტოები იტყობინებიან, რომ, მართალია, გარდაცვლილი იასირ არაფატის მემკვიდრე მაჰმუდ აბასი ამ დროს რეზიდენციაში იმყოფებოდა, მაგრამ არ დაშავებულა. თავდამსხმელები კი, როგორც ჩანს, "არაფატის ბრიგადის" წევრები იყვნენ.*

ნიკა თარაშვილი

ცოტა ხნის წინ "არაფატის ბრიგადა" სხვა სახელით იყო ცნობილი. "ალ-აქსას წამებულთა ბრიგადა" მოძრაობა ფათჰის გასამხედროებულ, ყველაზე რადიკალურ ფრთას წარმოადგენდა და არაერთხელ ყოფილა ისრაელის სამიზნეებზე ტერაქტების მოწყობაში დადანაშაულებული.

მაჰმუდ აბასის "მუკათას" რეზიდენციაზე ამჟამინდელი თავდასხმა სახელშეცვლილი ორგანიზაციის პირველი ხმაურიანი აქციაა.

რეზიდენციაზე იერიშის დასრულებისთანავე 15-მდე შეიარაღებული პალესტინელი ქალაქის ქუჩებს მოედო და მშვიდობიან მოსახლეობას ნამდვილი ტერორი მოუწყო. რესტორნებმა და მაღაზიებმა დროებით მუშაობა შეწყვიტეს.

საინტერესოა, რომ რადიკალთა აქციის მოტივაცია არა პოლიტიკურ უთანხმოებას ეფუძნება, არამედ ერთი შეხედვით ბანალურ საკითხს. საქმე ისაა, რომ წინა დღეებში დაჯგუფების 6 წევრს, რომლებიც მანამდე სახელმწიფო რეზიდენცია "მუქათას" აფარებდნენ თავს, იქ ცხოვრება აუკრძალეს. უნდა ითქვას, რომ "ბოევიკთა" რეზიდენციაში ცხოვრება იასირ არაფატის მმაართველობის პერიოდში დამკვიდრებული ტრადიციაა. ინტიფადის დაწყებიდან ისრაელის ძალოვანების დევნას "მუკათას" ათეულობით პალესტინელი მებრძოლი აფარებდა თავს.

არაფატის გარდაცვალებისა და სათავეში მაჰმუდ აბასის მოსვლის შემდეგ შეიარაღებული პირები დამკვიდრებული ტრადიციის დარღვევას არ აპირებდნენ და რეზიდენციის დატოვების კატეგორიულად წინააღმდეგნი იყვნენ. თუმცა, აბასმა ისრაელთან პირველივე მოლაპარაკებებისას პირობა დადო, რომ ტერორისტთა მხარდაჭერაზე უარს იტყოდა. ასე რომ, ექსტრემისტული ორგანიზაციის წევრების მის სამყოფელში დარჩენა ისრაელისთვის მიცემული პირობის დარღვევა იქნებოდა - ანუ პალესტინის ახალ მეთაურს აუცილებლად უნდა მიეღო რაიმე ზომა და, შესაბამისად, მანაც მოსთხოვა "ბოევიკებს" იარაღის დაყრა ან "მუკატას" დატოვება. სწორედ ეს მოთხოვნა გახდა "არაფატის ბრიგადის" მებრძოლების "განაწყენების" მიზეზი.

გუშინ პალესტინის ადმინისტრაციის მეთაურმა თავის განკარგულებაში მყოფ უსაფრთხოების ძალებს მეამბოხე "ბოევიკთა" წინააღმდეგ მკაცრი ზომების გატარება დაავალა.

გაზეთ "ჯერუზალემ პოსტ"-ს პალესტინის უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლის სიტყვები მოჰყავს: "ისინი ზღვარს გადავიდნენ, თავს დაესხნენ პალესტინის ავტონომიის მეთაურის რეზიდენციას. ჩვენ იძულებულნი ვართ, მკაცრი ზომები მივიღოთ, სხვაგვარად ისინი უფრო შორს წავლენ – ქალაქზე კონტროლს დაამყარებენ და იქ ქაოსს დათესენ".

ადგილობრივი პრესის ინფორმაციით, თავდასხმაში დაჯგუფება "ალ-აქსის წამებულთა ბრიგადიდან" განდგომილი წევრები მონაწილეობდნენ, რომლებმაც თავის დროზე "მუკათას" შეაფარეს თავი.

პალესტინის ოფიციალური ხელისუფლების განცხადებებით, ეს ხალხი "გარეულია მკვლელობებში, ადამიანთა გატაცებებში, შანტაჟსა და ძალადობაში". ამავდროულად, დაჯგუფების ხელმძღვანელობამაც გააკეთა განცხადება, რომლის თანახმადაც, კატეგორიულად უარყო თავისი წევრების მონაწილეობა აღნიშნულ ინციდენტში, ხოლო თავდამსხმელებს უწოდა დამნაშავეები, რომელთა ადგილი ციხეშია.

რამალაში მომხდარ სროლას გამოეხმაურა ისრაელიც. ვაშინგტონში მყოფ თავდაცვის მინისტრს შაულ მოფაზს კარგი საბაბი მიეცა, ხაზი გაესვა, რომ პალესტინის ხელმძღვანელობა არასაკმარისად მტკიცედ ებრძვის ტერორისტებს. მისი თქმით, აბასის რეზიდენციის დაცხრილვა ადასტურებს, რომ ტერორისტები თავად პალესტინის ავტონომიის მეთაურის სიცოცხლესაც ემუქრებიან". ამიტომ, ამ უკანასკნელმა ტერორიზმის წინააღმდეგ უფრო ეფექტიანი ზომები უნდა მიიღოს.

თუმცა, ერთი საკითხი კვლავაც ბუნდოვანი რჩება - იმ შემთხვევაში, თუ "მუკათაზე" თავდამსხმელები არც ერთ ცნობილ პალესტინურ ორგანიზაციას არ მიეკუთვნებიან, ბუნებრივია, ჩნდება კითხვა – სხვა ძალები ხომ არ მართავენ მათ ქმედებებს?

შეგახსენებთ, თებერვლის შუა რიცხვებში გამოქვეყნდა "ალ-კაიდას" მორიგი მანიფესტი, რომელიც მსგავს განცხადებებში, ტრადიციული აშშ-ს მიმართ მუქარის გარდა, გაფრთხილებაც იყო მაჰმუდ აბასის მისამართით. კერძოდ, აბასს არასწორი პოლიტიკური ნაბიჯების გადადგმისგან თავშეკავებას ურჩევდნენ.

მანიფესტს თან ერთვოდა "რწმენის მოღალატეთა" გრძელი სია, რომელთა განადგურებაც არის დაგეგმილი. ეგვიპტის პრეზიდენტის, იორდანიიის მეფის, საუდის არაბეთის პრინცებთან ერთად აღნიშნულ სიაში პალესტინის ავტონომიის მეთაურიც შედიოდა.

დოკუმენტს უსამა ბინ ლადენის იდეოლოგი აბდალა მუსლიმი აწერდა ხელს და აცხადებდა, რომ "ალ-კაიდა" ახლა ტაქტიკაზე გადადის, რომელიც კონკრეტული, მათთვის არასასურველი პოლიტიკური ფიგურების ლიკვიდაციას გულისხმობს.

ასე რომ, პალესტინელთა "მშვიდობისმოყვარე" ლიდერის მცდელობებს, მართალია, გარკვეული შედეგები მოაქვს (დღეისთვის ისრაელის ძალებთან შეტაკებები, თითქმის, აღარ ხდება), მაგრამ პალესტინის კონფლიქტის გაგრძელებით ისეთი სერიოზული ძალები არიან დაინტერესებულნი, რომ, შესაძლოა, აბაბის მთელი ძალისხმევა უნაყოფო აღმოჩნდეს.

# ექსპერტებს „ღონღაძის საქმის" წარმატებაში ეჭვი ეპარებათ

*უკრაინის ახალი ხელისუფლება აცხადებდა, რომ ჟურნალისტ გიორგი ღონღაძის მკვლელობა გახსნილია, ხოლო მისი მკვლელები ჩვენებებს იძლევიან. თუმცა, ადგილობრივი უკრაინელი ექსპერტები და პოლიტიკოსები შიშობენ, რომ ქვეყნის თანამედროვე ისტორიაში ყველაზე გახმაურებული საქმის გამოძიებისას პოლიტიკურ კონიუნქტურას მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე სიმართლის დადგენის ჭეშმარიტ მცდელობას.*

კოტე ელიზბარაშვილი

მას შემდეგ, რაც უკრაინაში "ნარინჯისფერი რევოლუციის" შედეგად ხელისუფლებაში ვიქტორ იუშენკოს გუნდი მივიდა, ქვეყნის ახალი პრეზიდენტი და სამართალდამცველები დანაშაულის გამოძიებაში, რომელმაც თავის დროზე მთელი ქვეყანა შეძრა და სერიოზული პოლიტიკური კრიზისის მიზეზი გახდა, მნიშვნელოვანი წარმატებების შესახებ აცხადებდნენ. "ეს არის საშინელი სიკვდილი, რომელიც კონკრეტული მკვლელების ჩვენებებშია დაფიქსირებული. ძნელია დავიჯერო, რომ ამ ათასწლეულში ადამიანები, რომლებიც სახელმწიფო მოხელეებად მოიხსენებიან და თითქოს ყველაფრით უზრუნველყოფილნი არიან, ასეთ ბოროტებას სჩადიან და მხეცური დამოკიდებულება აქვთ საკუთარი მოქალაქეების მიმართ", - განაცხადა იუშენკომ მიმდინარე წლის პირველ მარტს გამართულ სენსაციურ პრესკონფერენციაზე. უკრაინელი ექსპერტები თვლიან, რომ უკრაინის ახალი ხელისუფლებისათვის მთლიანობაში, და პირადად ვიქტორ იუშენკოსათვის, ღონღაძის საქმეს უზარმაზარი პოლიტიკური და მორალური მნიშვნელობა აქვს.

"მთავარი ამ საქმის შეფასებაა - ესაა სახელმწიფოში პოლიტიკური და სამართლებრივი დარგების მდგომარეობის მაჩვენებლი", - ამბობს უკრაინელი პოლიტოლოგი, ჟურნალ "პოლიტიჩნა დუმკას" რედაქტორი. თუმცა, ღონღაძის საქმის გამოძიებაში კონკრეტულად რომელ წარმატებაზეა საუბარი? მარტის დასაწყისში კიევის სასამართლომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორი თანამშრომლის დაპატიმრების სანქცია გასცა, რომლებსაც უკრაინის ხელისუფლება მკვლელობის უშუალო შემსრულებლებს უწოდებს. გამოძიება, აგრეთვე, ამტკიცებს, რომ ნაპოვნია ჯიპი, რომელშიც გიორგი ქალაქგარეთ გაიყვანეს და მოკლეს. კიდევ ერთი მთავარ ეჭვმიტანილზე – შინაგან საქმეთა სამინისტროს საგარეო დაზვერვის დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელ ალექსეი პუკაჩზე ძებნაა გამოცხადებული. ახლახან უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრმა იური ლუცენკომ მას ურჩია, ჩაბარებულიყო, რადგან "ის ამ საქმეში უკანასკნელი მოწმეა" და "მის სიცოცხლეს სერიოზული საფრთხე ემუქრება". ლუცენკოს სიტყვებმა განსაკუთრებით ავბედითად გაიჟღერა უკრაინის შსს-ს ყოფილი მინისტრის იური კრავჩენკოს იდუმალი სიკვდილის შემდეგ. იმ დღეს, როდესაც კრავჩენკო გენერალურ პროკურატურაში ღონღაძის საქმესთან დაკავშირებით დაკითხვაზე უნდა გამოცხადებულიყო, ის კიევის მახლობლად, აგარაკზე მკვდარი იპოვნეს, თავში მიყენებული ორი ცეცხლსასროლი ჭრილობით.

კრავჩენკოს აგარაკზე სიკვდილის წინ დაწერილი წერილი აღმოაჩინეს, სადაც ის ამბობს, რომ არაფერშია დამნაშავე და ამტკიცებს, რომ "პრეზიდენტ კუჩმასა და მისი გარემოცვის პოლიტიკური ინტრიგების მსხვერპლი" გახდა. უკრაინის სამართალდამცავმა ორგანოებმა ერთხმად განაცხადეს, რომ, მათი მონაცემებით, ეს თვითმკვლელობა იყო. ბი-ბი-სი-ს რუსული ბიუროს ჟურნალისტის ვლადიმირ არიევის თქმით, კიევში ამ განცხადების "ალბათ, მხოლოდ შსს მინისტრს, უშიშროების მინისტრს და უკრაინის პრეზიდენტს სჯერათ". "ვფიქრობ, მათაც კი არ სჯერათ სინამდვილეში და თვითმკვლელობის შესახებ იმიტომ საუბრობენ, რომ სხვა მნიშვნელოვანი საქმეების მოწმეები აეროპორტში ჩემოდნებით ხელში არ ჩამწკრივდნენ ქვეყნიდან გასაქცევად. რამდენიც უნდა იკითხო სპეცსამსახურის თანამშრომლებისა თუ ფსიქოლოგების აზრი – ადამიანი საკუთარ თავს ორჯერ ვერ ესვრის, თანაც - ორივეს თავის არეში", - ამბობს გახმაურებული ჟურნალისტური გამოძიებების ავტორი. მის აზრს იზიარებს უმაღლესი რადის დეპუტატი იური კარმაზინი, რომელმაც პარლამენტში მუშაობამდე ცხოვრების დიდი ნაწილი განზრახ მკვლელობების გამოძიებას დაუთმო. "როდესაც იღებთ პისტოლეტს, ნიკაპის ქვეშ მიიბჯენთ და ისვრით, ამ დროს ადამიანს ტკივილისგან შოკი ემართება. ვივარაუდოთ, რომ ასეთ მდგომარეობაში, ამ გასროლის შემდეგ ადამიანს ხელის აწევა კიდევ შეუძლია და ამჯერად საფეთქელში ისვრის – უბრალოდ, აბსურდია", - ამბობს კარმაზინი. კრავჩენკოს სიკვდილამდე სამი დღით ადრე კარმაზინი რადაში შსს-ს ყოფილი მინისტრის უსაფრთხოების უზრუნველყოფას ხელისუფლებისგან ითხოვდა. მით უმეტეს, რომ, როგორც თავად ვიქტორ იუშენკომ ირიბად დაადასტურა, სამართალდამცავ ორგანოებს კრავჩენკოზე გარე თვალთვალი უკვე დაწყებული ჰქონდათ. "სამართალდამცავი უწყებების ყოველი ხელმძღვანელი დღეს საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობას გრძნობს კრავჩენკოს სიკვდილის გამო", - აცხადებს კარმაზინი და იქვე აღნიშნავს, რომ უკრაინაში ძალზედ ბევრს არ სურდა კრავჩენკოს ალაპარაკება.

უკრაინის ხელისუფლება უარყოფს, რომ კრავჩენკოს სიკვდილის შემდეგ გამოძიებას ძალზედ გაუჭირდება გიორგი ღონღაძის არა მარტო უშუალო მკვლელების, აგრეთვე, მისი დამკვეთების პოვნა. "დარწმუნებული ვარ, რომ ამ მხეცური მკვლელობის ყველა გარემოებაში გასარკვევად მეტად უნდა მოვიწადინოთ და თუ ამის სურვილი იქნება, აუცილებლად მივაკლევთ ძაფის ბოლოს", - განაცხადა უკრაინის პრეზიდენტის სამდივნოს უფროსმა ალექსანდრ ზინჩენკომ. ზოგი უკრაინელი ექსპერტი კი ერთ რამეში თანხმდება: დღეს ღონღაძის საქმეზე მთავარი მოწმე ნიკოლაი მელნიჩენკოა. "მთლიანობაში, ღონღაძის საქმე დღეს მხოლოდ ერთი ადამიანის, სახელმწიფო დაცვის მაიორის, ნიკოლაი მელნიჩნეკოს ხელშია, რადგან ის ძირითადი მოწმეა", - თვლის ვლადიმირ არიევი. მელნიჩნეკომ უკრაინაში ჩასვლისა და ჩვენების მიცემის სურვილი გამოთქვა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას უსაფრთხოების გარანტიას მისცემენ. გამორიცხული არც ის არის, რომ მაიორი, რომელმაც აშშ-ში ჰპოვა თავშესაფარი, ვიქტორ იუშენკოს შეხვდეს ამერიკაში მისი მომავალი ვიზიტის დროს. თუმცა აღსანიშნავია, რომ მელნიჩნეკოს ფირების "ლეგალიზაციის" შედეგი, რომლებზეც 1999-2000 წლებში პრეზიდენტის კაბინეტში მიმდინარე საუბრების ფართო არქივია ჩაწერილი, ღონღაძის საქმეზე გაცილებით შორს მიდის.

ადამიანები, რომლებიც მაიორის არქივს იცნობენ, ამბობენ, რომ მასში იმდენად ბევრი გვარი ფიგურირებს, რომ უკრაინის ახალ ხელისუფლებას დიდი ძალისხმევა დასჭირდება ნიკოლაი მელნიჩენკოს მიერ დაგროვებული ინფორმაციის ასეთი მოცულობის გასამკლავებლად. მზად არის თუ არა ხელისუფლება ამ პროცესის დასაწყებად და უკრაინის პოლიტიკის "პანდორას ყუთის" გასახსნელად, ჯერჯერობით, უცნობია. კიევში ცოტას თუ ეპარება ეჭვი, რომ გიორგი ღონღაძეს მკვლელობა ნამდვილად უკავშირდება სამართალდამცავ ორგანოთა თანამშრომლების საქმიანობას. ჯერჯერობით, გამოცანად რჩება მსგავს "საქმიანობაზე" სანქციის გამცემი. ზოგის აზრით, ლეონიდ კუჩმა კრიტიკისადმი ძალზედ მტკივნეული დამოკიდებულებით კი იყო ცნობილი, მაგრამ "უკრაინსკაია პრავდას" დამფუძნებლის მკვლელობაზე ბრძანების გაცემის პირდაპირი მოტივი მას არ ჰქონია. ექს-პრეზიდენტმა უკრაინის გენერალურ პროკურატურას უკვე მისცა ჩვენება და კიდევ ერთხელ უარყო ღონღაძის საქმეში საკუთარი მონაწილეობა. თუმცა, მისი სახელი კიდევ ამოტივტივდება ჟურნალისტის მკვლელობის გამოძიებასთან დაკავშირებით. შესაძლოა, ამ ყველაფრის შედეგი უფრო პოლიტიკური აღმოჩნდეს, ვიდრე - სამართლებრივი.

# მუსიკოსთა ლოიალობა „ხავერდოვანი რევოლუციის" თავიდან ასაცილებლად

კრემლი შესაძლო რევოლუციისგან თავის დაზღვევას ცდილობს და საგანგებო ზომებს მიმართავს. გუშინ ცნობილი გახდა, რომ, ამ მიზნით, საიდუმლო შეხვედრა გაიმართა რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილესა და რუსეთის როკ-ელიტას შორის. კრემლის ერთ-ერთმა მთავარმა იდეოლოგმა ვლადისლავ სურკოვმა პოპულარული რუსი მომღერლები უხვი დაპირებებით აავსო და, სანაცვლოდ, ლოიალობა მოსთხოვა.

გაზეთ "მოსკოვ თაიმსის" ინფორმაციით, საიდუმლო შეხვედრაზე, რომელიც მოსკოვის ერთ-ერთ სასტუმროში გაიმართა და, გასაგები მიზეზების გამო, პრესისთვის დახურული აღმოჩნდა, სურკოვი ბორის გრებენშიკოვს, სერგეი შნუროვს, ვიაჩესლავ ბუტუსოვს, ზემფირას და რუსეთის სხვა როკ-ვარსკლავებს შეხვდა და მათ პრობლემების მოგვარებას შეჰპირდა. სანაცვლოდ კი, პირობა ჩამოართვა, რომ ისინი ოპოზიციური მოძრაობებისთვის უფასო კონცერტებს არ გამართავდნენ.

რუსეთის ხელისუფლებას კარგად ესმის, რომ უკრაინის "ნარინჯისფერ რევოლუციაში" უკრაინელმა როკ-ვარსკვლავებმა, რომლებსაც, თავის რუს კოლეგებთან შედარებით, ხალხში გაცილებით ნაკლები გავლენა ჰქონდათ, დიდი როლი ითამაშეს. ამიტომ, რუსეთის ხელისუფლება რუსეთის ოპოზიციური მოძრაობებისგან ქვეყანაში პოპულარული როკ-ვარსკლავების ჩამოშორებას ცდილობს.

როგორც შეხვედრის მონაწილეები აღნიშნავდნენ, სურკოვი არაფერს კონკრეტულს არ ითხოვდა - მხოლოდ ამბობდა, რომ ხელისუფლებას მუსიკოსთა პრობლემების მოგვარება სურს (თუ, რა თქმა უნდა, მათ რაიმე სჭირდებათ). "მოსკოვ თაიმსი" წერს: "სამაგიეროდ, სურკოვი იმედოვნებს, რომ სახალხო მღელვარების დაწყების შემთხვევაში, მუსიკოსები, სულ მცირე, ნეიტრალიტეტს შეინარჩუნებენ".

აღსანიშნავია, რომ კრემლის პრესსამსახური აღნიშნული შეხვედრის ირგვლივ გავრცელებული ხმების კომენტირებაზე უარს აცხადებს. სხვათა შორის, შეხვედრის მონაწილე მუსიკოსებიც არ ამჟღავნებენ პრესასთან ამ თემაზე საუბრის დიდ სურვილს.

*ნიუს.რუ*

## ორი სიტყვით

**პაკისტანი.** 31 მარტს პაკისტანში წარმატებით ჩაიარა ახლო რადიუსის მოქმედების ბირთვული მუხტის გადამტანი რაკეტის გამოცდამ. აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაცია, პაკისტანის სამხედრო უწყების წყაროზე დაყრდნობით, სააგენტო "ესოშიეითიდ პრესმა" გაავრცელა. "მიწა-მიწა" კლასის რაკეტის მოქმედების მანძილი 180 კმ აღმოჩნდა. სამხედრო ექსპერტთა შეფასებით, გამოცდით დამტკიცდა, რომ ზემოაღნიშნულ რაკეტას მაღალი ტექნიკური მახასიათებლები აქვს.

ერთი კვირით ადრე კი პაკისტანში, ასევე, წარმატებით შორი მოქმედების რადიუსის რაკეტა გამოსცადეს, რომელსაც ბირთვული მუხტის გადატანა 2 000 კმ-ზე შეუძლია. **რიანოვოსტი**

■ ■ ■

**ევროპა.** ევროკომისიის წარმომადგენლის ქრისტინა ნაგის თქმით, ევროკომისიამ აშშ-ს წინააღმდეგ ვაჭრობის სფეროში სანქციების დაწესება გადაწყვიტა. საქმე ეხება სასოფლო-სამეურნეო, ტექსტილის, ქაღალდისა და მანქანათმშენებლობის პროდუქციაზე დამატებითი, 15-პროცენტიანი საბაჟო მოსაკრებლების შემოღებას. აღნიშნული სანქციები ძალაში შევა მიმდინარე წლის 1 მაისიდან.

ევროკომისიამ ამერიკული ანტიდემპინგური კანონმდებლობის შემსუბუქებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება ვაშინგტონის მხრიდან აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო მიიღო. **იტარ-ტასი**

■ ■ ■

**მოლდოვა.** მოლდოვის უმსხვილესმა ოპოზიციურმა ბლოკმა "დემოკრატიული მოლდოვა" პრეზიდენტს ვლადიმირ ვორონინს ქვეყნის დსთ-ს შემადგენლობიდან გამოყვანა და დნესტრისპირეთში დისლოცირებული რუსი სამშვიდობოების კანონგარეშედ გამოცხადება მოსთხოვა. ოპოზიციონერთა განცხადებით, ამ მოთხოვნების შესრულებაზე იქნება დამოკიდებული მიმდინარე წლის 4 აპრილს პარლამენტში პრეზიდენტის არჩევნებში მისი კანდიდატურისათვის ოპოზიციის მხარდაჭერა.

თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ოპოზიციონერთა მოთხოვნები პრეზიდენტისადმი მხოლოდ ამ ორი საკითხით არ ამოიწურება. ვორონინისადმი წარდგენილ მოთხოვნათა ნუსხა 22 პუნქტისაგან შედგება და დახურულ კარს მიღმა წარმოებული მოლაპარაკებებისას განიხილეს. უმთავრესი, ცხადია, დნესტრისპირეთის პრობლემის მოგვარებასთან დაკავშირებით 1992 წელს რუსეთთან დადებული ხელშეკრულების დენონსაციაა, რასაც ამ რეგიონში რუსი სამშვიდობოების გაერო-ს, ევროკავშირისა და ნატო-ს "ცისფერჩაფხუტიანებით" ჩანაცვლება უნდა მოჰყვეს; დსთ-ს სივრცის დატოვებას კი - ევროკავშირსა და ნატო-ში ინტეგრაციისთვის აღიარებულ სტანდარტებთან მიახლოება. **24 საათი**

■ ■ ■

**საფრანგეთი.** ფრანგებმა დიდი იმპერატორის მემკვიდრეობაში სამართლებრივი ნორმის შეცვლა გადაწყვიტეს. პარლამენტმა ქალებისთვის საქორწინო ასაკის ცენზი 15-დან 18 წლამდე აწია. ნაპოლეონის ეპოქიდან მოყოლებული, დღემდე საფრანგეთში ნებადართული იყო 15 წლის გოგონას გათხოვება. 1804 წელს მიღებული კოდექსით, ვაჟებისთვის ქორწინება ნებადართული იყო 18 წლიდან, რაც უცვლელად შენარჩუნდა. **იტარ-ტასი**

# სგსე კორუფციის წინააღმდეგ

*1 აპრილიდან, საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის (სგსე) მცხეთა-მთიანეთის ფილიალში ინკასატორის მიერ აბონენტის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის ხელზე აღება ოფიციალურად იკრძალება.*

დღეიდან, საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის მცხეთა-მთიანეთის ფილიალის შვიდივე მომსახურების ცენტრში ენერგოკომპანიის აბონენტები მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურს სალაროებში თავად გადაიხდიან. ახალი გადახდის წესი რიგ მაღალმთიან-მიუვალ სოფლებს ჯერჯერობით არ შეეხება.

**"ნაღდი ფულის ხელზე აღების აკრძალვა ენერგოსადისტრიბუციო სექტორში კორუფციასთან ბრძოლის მნიშვნელოვანი მიმართულებაა,"** – მიიჩნევენ ენერგოკომპანიაში.

წლების განმავლობაში, "საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაში" აბონენტები მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურს ენერგოკომპანიის ინკასატორებს ხელზე უხდიდნენ. როგორც ენერგოკომპანიაში აცხადებენ, ფულის ხელზე აღების ამგვარი მექანიზმი არ გამორიცხავდა აბონენტებსა და ინკასატორებს შორის გარკვეული კორუფციული გარიგებების არსებობას, რაც საბოლოო ჯამში, უარყოფითად აისახებოდა ენერგოკომპანიის ამოღების მაჩვენებელზე და აბონენტების ელექტრომომარაგებაზე. **"სწორედ ამ პერიოდში დაინერგა ყოვლად გაუმართლებელი პრაქტიკა, რაც, ელექტროენერგიის მოხმარების მიუხედავად, ფიქსირებული გადასახადის გადახდას გულისხმობდა. ენერგოკომპანიის მართვაში "პიეი კონსალტინგ ჯგუფის" მოსვლის შემდეგ, წლების განმავლობაში პირველად, ენერგოკომპანიაში ეფექტური ნაბიჯები გადაიდგა კორუფციული გარიგებების სრულად აღმოფხვრის მიზნით,"** – აცხადებენ საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაში.

რაც შეეხება თვით ყოფილი ინკასატორების ბედს, ისინი ფილიალის მომსახურების ცენტრებში გააგრძელებენ მუშაობას, მაგრამ ძირეულად შეიცვლება მათი მუშაობის სტილი - მათი მთავარი ფუნქცია აბონენტების ზუსტი ინფორმირება იქნება მათ მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის, გადასახდელი თანხის რაოდენობის, გადახდის ადგილის და ვადების შესახებ.

და სგსე-ს კიდევ ერთი სიახლის შესახებ: მცხეთა-მთიანეთის ფილიალში დენის მოხმარება-ამოღების მაჩვენებლების გამჭვირვალობის მიზნით კომპანიამ ტრანსფორმატორებზე კომუნალური მრიცხველების დამონტაჟება დაიწყო. **"ენერგოკომპანია არ ცნობს არანაირ ფიქსირებულ გადასახადს. სგსე-ს პოზიცია ცალსახაა - სრულად უნდა იქნეს გადახდილი ტრანსფორმატორზე მოხმარებული დენის საფასური,"** – აცხადებენ საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაში.

*24 საათი*

# ბენდუქიძემ ენერგეტიკას ახალი რეცეპტი გამოუწერა

მაია ურუშაძე

*ხელისუფლებას ელექტროენერგეტიკული სექტორის რეფორმირების შესახებ კონკრეტული მოსაზრებები უკვე აქვს. ყოველ შემთხვევაში, გუშინ ეკონომიკური რეფორმების დარგში სახელმწიფო მინისტრმა კახა ბენდუქიძემ ამ პოლიტიკის საკმაოდ "პრეზენტაბელური" წარდგენა მოაწყო. თუმცა, "მეტეხი-პალასში" გამართულ პრეზენტაციას თავად ენერგეტიკოსთა აღფრთოვანება არ გამოუწვევია. მათი აზრით, ბენდუქიძე ენერგეტიკას მხოლოდ ეკონომიკურ ჭრილში უყურებს, დარგის ტექნიკურ სპეციფიკაზე კი წარმოდგენა არა აქვს. ბენდუქიძის მოსაზრებებით აღფრთოვანებულები არც საერთაშორისო დონორები არიან. როგორც თავად სახელმწიფო მინისტრმა პრეზენტაციაზე აღნიშნა, მათთან მოლაპარაკებებს მთავრობა ახლაც აწარმოებს.*



*"ნუ გავღორდებით და ნუ მოვინდომებთ, ერთად გვქონდეს დაბალი ტარიფიც და დენიც," - აცხადებს ბენდუქიძე.*

ბენდუქიძის მიერ გუშინ წარმოდგენილი "ენერგორეცეპტის" მთავარი არსი იმაშია, რომ დარგის მაქსიმალური დერეგულირება, ენერგოობიექტების მაქსიმალური განსახელმწიფოებრიობა, ხოლო ენერგოსტრუქტურების ურთიერთობების მაქსიმალური გაიოლება მოხდეს. ბენდუქიძე მიიჩნევს, რომ რეფორმის ამ გზით განხორციელების შემთხვევაში ენერგოსექტორი მომგებიანი გახდება, საბიუჯეტო თანხებს აღარ "ჩანთქავს" და ქვეყანაში ელექტრომომარაგების პრობლემები აღარ იარსებებს. ამ შემთხვევაში, ბენდუქიძე ენერგოკრიზისის აღმოფხვრას ნაწილობრივ 2006 წლისთვის, ხოლო საბოლოოდ – 2007 წლისთვის ვარაუდობს. ამისათვის, მინისტრი საჭიროდ მიიჩნევს 2006 წლისთვის რეგიონული ენერგოგამანაწილებელი კომპანიების და გენერაციის ობიექტების პრივატიზების პროცესის დაწყებას. პროექტის თანახმად, პრივატიზაცია არ შეეხება ენგურჰესს, ვარდნილჰესს და "სახელმწიფო ელექტროსისტემას", რომელიც ქვეყნის მასშტაბით ელექტროენერგიის მსხვილი ნაკადების გადაცემითა და დისპეტჩერიზებითაა დაკავებული.

ენერგეტიკაში ვითარების გამოსწორების ერთ-ერთ წინაპირობად ბენდუქიძე საფეხურებრივი ტარიფის შემოღებას მიიჩნევს, რომელშიც სოციალური დაცვის კომპონენტი იქნება გათვალისწინებული. "გვსურს, დღევანდელი ტარიფის პირობებში უზრუნველვყოთ საქართველოს მოსახლეობის სრული მომარაგება. ნუ გავღორდებით და ნუ მოვინდომებთ, ერთად გვქონდეს დაბალი ტარიფიც და დენიც," – განაცხადა მან.

რაც შეეხება ქვეყნის ენერგოსისტემის ორ – აღმოსავლეთის და დასავლეთის ენერგოკომპანიებად დაყოფის იდეას, რომელმაც ენერგოსექტორის დონორების უარყოფითი რეაქცია გამოიწვია, "24 საათის" მკითხველისთვის უკვე ცნობილია. ამჯერად სახელმწიფო მინისტრმა ამ იდეას ენერგობაზრის ორ სეგმენტად გაყოფის იდეაც დაუმატა, საიდანაც ერთ სეგმენტს რეგულირება საერთოდ არ დასჭირდება. რაც შეეხება საბითუმო ბაზარს, ბენდუქიძე ამ ენერგოუწყების ერთგვარ "ანგარიშსწორების სააგენტოდ" გარდაქმნის მომხრეა.

სახელმწიფო მინისტრის მოსაზრებით, ენერგეტიკის დარგის რეგულირება ახალი მოდელით – ენერგეტიკის სამინისტრო, ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკ) და ტექნიკური უსაფრთხოების სამსახური - უნდა განხორციელდეს. ენერგეტიკის სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს დარგის პოლიტიკის და სტრატეგიის განსაზღვრა; სემეკს უნდა ჩამოერთვას ტექნიკური რეგულირების ფუნქცია, მხოლოდ ტარიფის ზედა ზღვრების დაწესებას მიხედოს და ბიუჯეტიდან დაფინანსდეს (ამჟამად კომისია შემოსავალს დენის ტარიფიდან იღებს); ტექნიკური უსაფრთხოების სამსახურმა კი, შესაბამისი ლიცენზიების და ნებართვების გაცემით, მომხმარებლისათვის დენის უსაფრთხოდ მიწოდება უნდა უზრუნველყოს.

სემეკ-ის საბიუჯეტო დაფინანსებაზე გადაყვანის იდეამ კომისიის თავმჯდომარე გია თავაძე გააღიზიანა. იგი მიიჩნევს, რომ ეს კომისიას დამოუკიდებლობას დააკარგვინებს. თუმცა, ბენდუქიძეს არ დაუმალავს, რომ ურჩევნია, კომისია საკუთარი რეგულირების სფეროში მოქცეული კომპანიებისგან დამოუკიდებელი იყოს.

ერთი სიტყვით, ახალი "რეცეპტი", ფაქტობრივად, "რაო ეეს როსიის" თავკაცის ანატოლი ჩუბაისის მიერ, თავის დროზე, რუსეთის ხელისუფლებისთვის შეთავაზებულ პროექტს ერთი-ერთზე იმეორებს. საქართველოს ენერგორეფორმის ბენდუქიძისეული ვარიანტი "რაოს" რეფორმირების მოდელისგან მხოლოდ შესაქმნელი კომპანიების სიდიდით განსხვავდება.

# "რაო" საქართველოს ენერგეტიკულ პროექტებში მონაწილეობისთვის მზადაა

მაია ურუშაძე

"რაო ეეს როსიი"-ს გამგეობის წევრმა ანდრეი ტრაპეზნიკოვმა თბილისის ელექტრომომარაგების თაობაზე საგანგებო განცხადება გააკეთა და იქვე კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ "რაო" მზადაა, საქართველოში ელექტროგადამცემი ხაზებისა და ენგურჰესის რეაბილიტაციის პროექტებში მონაწილეობა მიიღოს. ტრაპეზნიკოვის თქმით, ბოლო დღეებთან შედარებით, თბილისში ვითარება მკვეთრად გაუმჯობესდა და ეს "რუსი და ქართველი ენერგეტიკოსების ერთობლივი ძალისხმევით მოხდა."

ტრაპეზნიკოვის განცხადებით, კრიზისი "კავკასიონის" დაზიანების გამო რუსეთიდან იმპორტის შეწყვეტით იყო გამოწვეული, რაც "გაწელილმა ზამთარმა" გაამწვავა.

მისივე თქმით, ამ დროს დატვირთულ რეჟიმში მუშაობდა სომხეთთან მაკავშირებელი "ალავერდის" ხაზი და "სალხინო", რომლის მეშვეობითაც რუსეთიდან ელექტროენერგიის მიწოდება აფხაზეთის გავლით ხდება. **"მუდმივად მუშაობს თბოელექტროსადგურ "მტკვარი-ენერგეტიკის" მე-9 ბლოკი, ენგურჰესი 260 მეგავატს გამოიმუშავებს, მესამე ბლოკი კი – 100 მეგავატს,"** – ამბობს "რაო ეეს როსიის" გამგეობის წევრი. მისი თქმით, **"რაოს" შემადგენლობაში შემავალი კომპანიები საქართველოს მოსახლეობის ენერგომომარაგების საიმედოობისთვის ძალ-ღონეს არ იშურებენ."**

ტრაპეზნიკოვი არც იმას ივიწყებს, რომ საქართველოს ენერგეტიკას სერიოზული ტექნიკური გადაიარაღება, ენგურჰესზე სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება და მეზობელ ქვეყნებთან მაკავშირებელი ახალი ელექტროგადამცემი ხაზების აშენება სჭირდება. **"ამის გარეშე ამ ქვეყანაში სტაბილური ენერგოსისტემა არ იქნება, ხოლო გარკვეული ინვესტიციებისა და ახალი ელექტროგადამცემი ხაზების აშენების შემთხვევაში კი, პრობლემები სრულად აღმოიფხვრება. "რაო ეეს როსიი" ასეთ პროექტებში აქტიური მონაწილეობისთვის მზად არის,"** – ამბობს ის.

# საფინანსო-საბიუჯეტო წნეხი გუშინ ორმა კანონპროექტმა "მოსინჯა"

*გუშინ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა ორი კანონპროექტი განიხილა. "თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ" კანონპროექტი კომიტეტის წევრებისთვის მეტ-ნაკლებად მისაღები აღმოჩნდა, "ნავთობისა და თამბაქოს სფეროს ლიცენზირების შესახებ" კანონპროექტმა კი, როგორც მოსალოდნელი იყო, საფინანსო-საბიუჯეტო "წნეხს" ვერ გაუძლო და კომიტეტის მხარდაჭერა ვერ მოიპოვა. მესამე საკითხს – სახელმწიფო შესყიდვების თემას – დეპუტატ შოთა გვენეტაძის საკმაოდ მწვავე განცხადებები მოჰყვა.*

მაია ურუშაძე

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა გუშინ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სტრუქტურული მოწყობის საკითხზე იმსჯელა. დღეისთვის სააგენტო ეკონომიკის სამინისტროს შემადგენლობაშია, თუმცა საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტში მიიჩნევენ, რომ ის დამოუკიდებელ სტრუქტურად უნდა ჩამოყალიბდეს. კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი კოვზანაძე თანახმაა, რომ სააგენტო გარდამავალ პერიოდში – 6 თვის განმავლობაში – ეკონომიკის სამინისტროს შემადგენლობაში დარჩეს, ამ ვადის გასვლის შემდეგ კი ამ უწყებიდან გამოცალკევდეს.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს საკითხზე მსჯელობის დროს ფრაქცია "ნაციონალური მოძრაობა - დემოკრატების" წევრმა შოთა გვენეტაძემ სააგენტოსა და სხვა ყველა იმ უწყების შემოწმება მოითხოვა, რომლებმაც წელს სახელმწიფო შესყიდვები განახორციელეს. კერძოდ, მისი განცხადებით, არის ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ სააგენტოს ნებართვით, ფორსმაჟორული სიტუაციის მოტივაციით, სახელმწიფო შესყიდვები ტენდერის გარეშე ხდება. გვენეტაძე გლეხებისათვის დიზელის საწვავის შესყიდვის საკითხსაც შეეხო. მისი განცხადებით, პრეზიდენტი შეცდომაშია შეყვანილი, რადგან დიზელის საწვავის ღირებულება უფრო ნაკლებია, ვიდრე 1.13 ლარი, რა ფასადაც შესყიდვა განხორციელდა.

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი "თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ" კანონპროექტს პირველი მოსმენით მხარს უჭერს, მეორე მოსმენისთვის კი მუხლობრივად კიდევ ერთხელ განხილვას აპირებს. ამის შესახებ კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი კოვზანაძემ განაცხადა.

კანონპროექტის პრინციპებს მხარს უჭერს კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ლადო პაპავა, თუმცა მიაჩნია, რომ აუცილებელია თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტომ, რომელიც აღნიშნული კანონპროექტის მიხედვით უნდა შეიქმნას, ბაზარზე მონიტორინგი განახორციელოს.

კანონპროექტის მიხედვით, ანტიმონოპოლიური სამსახური და ფასების სახელმწიფო ინსპექცია კანონის მიღებიდან ერთ თვეში გაუქმდება, ხოლო მათ ბაზაზე, ეკონომიკის სამინისტროს დაქვემდებარებაში, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო შეიქმნება, რომლის მიზანი საქართველოში თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციისთვის ბარიერების მოხსნა იქნება.

რაც შეეხება კანონს "ნავთობისა და თამბაქოს სფეროს ლიცენზირების შესახებ", მისი კენჭისყრისგან კომიტეტი თავს იკავებს. ირაკლი კოვზანაძის განმარტებით, ის კანონპროექტი დასახვეწია. კერძოდ, მისი თქმით, უნდა გადაიხედოს ნავთობისა და თამბაქოს ბიზნესში საქმიანობის უფლების მოსაპოვებლად კანონპროექტში განსაზღვრული დეპოზიტების ფორმები, მეთოდები და დეპოზიტების ოდენობა.

კომიტეტის წევრები კი მიიჩნევენ, რომ ფინანსთა სამინისტრომ კანონპროექტის იდეა პარლამენტში დამახინჯებულად წარადგინა, რამაც შესაძლოა ნავთობპროდუქტების ბიზნესის მონოპოლიზაცია გამოიწვიოს.

შეგახსენებთ, რომ კანონპროექტის არსი შემდეგშია: ლიცენზირებას ექვემდებარება თამბაქოს ნაწარმის იმპორტი და საბითუმო მიწოდება, თამბაქოს ნაწარმის წარმოება და საბითუმო მიწოდება, თამბაქოს ნაწარმის საბითუმო მიწოდება და თამბაქოს ნაწარმის საცალო მიწოდება.

ლიცენზიების აღების ვალდებულება ეკისრებათ ნავთობპროდუქტების იმპორტიორებსა და საბითუმო მიმწოდებლებს, ნავთობპროდუქტების მწარმოებლებსა და საბითუმო მიმწოდებლებს, ნავთობპროდუქტების საბითუმო მიმწოდებლებს, ნავთობპროდუქტების საცალო მიმწოდებლებს და ნავთობპროდუქტების გადამზიდავებს.

თამბაქოს ნაწარმის იმპორტიორები ვალდებულნი არიან, ლიცენზიის მიღებამდე საბანკო დეპოზიტზე განთავსებული ჰქონდეთ 30 ათასი ლარი. თამბაქოს მწარმოებლებისთვის ეს თანხა 15 ათას ლარს შეადგენს. თამბაქოს ნაწარმის საბითუმო მიმწოდებლებისთვის სავალდებულო დეპოზიტის ოდენობა 35 ათასი ლარია.

რაც შეეხება ნავთობპროდუქტების იმპორტიორებს, ლიცენზიის აღებამდე, მათ დეპოზიტზე განთავსებული უნდა ჰქონდეთ 100 ათასი ლარი. ნავთობპროდუქტების მწარმოებლებს - აგრეთვე, 100 ათასი ლარი. ნავთობპროდუქტების საბითუმო მიმწოდებლებს - 50 ათასი ლარი, ხოლო ნავთობპროდუქტების საცალო მიმწოდებლებს - 5000 ლარი. რაც შეეხება ნავთობპროდუქტების გადამზიდავებს, მათ ლიცენზიის მოსაპოვებლად დეპოზიტზე 100 ათასი ლარის განთავსება სჭირდებათ.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** წლის ბოლოს ან მომავალი წლის დასაწყისში, საქართველოს მთავრობა ყაზახეთიდან ყოველწლიურად ერთი მილიარდი კუბური მეტრი გაზის იმპორტს გეგმავს. პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელის თქმით, ამის შესახებ შეთანხმებას ხელი მალე, ყაზახეთში დაგეგმილი მისი ვიზიტის დროს მოეწერება. **24 საათი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი რეგიონებში არსებული კერძო საწარმოების ან ამუშავებას, ან გაკოტრების რეჟიმში გადაყვანას ითხოვს. მისი თქმით, რეგიონებში, მათ შორის – ქუთაისში, უამრავი გაჩერებული კერძო საწარმოა, რომლებიც ან უნდა ამუშავდეს, ან მათი გაკოტრების პროცედურა დაიწყოს, რათა ვალების დასაფარად მათი გაყიდვა მოხდეს. **24 საათი**

■ ■ ■

**თელავი.** საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების თანახმად, რომელიც სოფლის მოსახლეობაზე 20-20 ლიტრის საწვავის დარიგებას ითვალისწინებს, თელავის რაიონის მოსახლეობამ 242 040 ლიტრი დიზელის საწვავი მიიღო. რაიონის გამგეობამ კომპანია "ლუკოილისგან" მიღებული საწვავი სოფლების საკრებულოებს გადასცა, საიდანაც იგი მოსახლეობას უკვე გაუნაწილეს. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 200 მეგავატი სიმძლავრის გაზოტურბინის შესაძენად ენერგეტიკის სამინისტრო ხუთ უცხოურ კომპანიასთან - "როლსროისთან", "ჯენერალ ელექტრიკთან", "მანთან", "ალსტრუმთან" და "პრატ ენდ უიტნთან" მოლაპარაკებებს მართავს. გაზოტურბინა დაახლოებით 100 მილიონი დოლარი დაჯდება. ფინანსთა მინისტრის, ვალერი ჩეჩელაშვილის განცხადებით, პირველადი შენატანის სახით, ბიუჯეტიდან 30 მილიონი ლარი გამოიყოფა. ეს იმ თანხის ნაწილია, რომელიც 2005 წლის ბიუჯეტის გაზრდილ პარამეტრებში ენერგეტიკული სექტორის რეაბილიტაციისთვისაა გათვალისწინებული. ტურბინის დარჩენილ ღირებულებას საქართველო შვიდი წლის განმავლობაში გადაიხდის. "ტურბინის დამონტაჟების ხარჯების ნაწილის ამოღება ელექტროენერგიის ტარიფით მოხდება, ნაწილის სუბსიდირებას კი ბიუჯეტი მოახდენს," – განაცხადა ჩეჩელაშვილმა. **მედიანიუსი**

# აუქციონი და პრეზენტაცია ერთად

*ეკონომიკური განვითარების სამინისტროში გუშინ მორიგი აუქციონი გაიმართა, რომლის შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტი კიდევ 222 ათასი აშშ დოლარით გამდიდრდა. წინა აუქციონებისგან განსხვავებით, გუშინდელ ვაჭრობაში მონაწილე პირებს თუ კომპანიებს კონკურენტები საერთოდ არ ჰყავდათ. გუშინვე, სამინისტრომ იმ ობიექტების პრეზენტაციაც მოაწყო, რომლის გაყიდვა ზუსტად ერთ კვირაშია დაგეგმილი.*

მარიამ ჭაჭაძე

გუშინ აუქციონზე გამოტანილი ექვსი ობიექტიდან მხოლოდ ორი, შპს "პროგრესი" და სს "წნორის მანქანათმშენებელი ქარხანა-2003"-ის საწესდებო კაპიტალიდან ამოღებული შენობები გაიყიდა. პირველი ობიექტის აქციების 100 პროცენტი შპს "777 XXI საუკუნემ" 205 ათასად შეიძინა. ამ შპს-ს, ისევე როგორც მეორე ობიექტის მყიდველ ფიზიკურ პირს, კონკურენტები არ ჰყოლია. სწორედ ამ მიზეზით ხსნიან ეკონომიკური განვითარების სამინისტროში იმ ფაქტს, რომ გუშინდელი აუქციონებიდან მხოლოდ მიზერული თანხა შევიდა ბიუჯეტში. როგორც შპს "777 XXI საუკუნის" წარმომადგენლებმა გუშინდელი აუქციონის შემდეგ განაცხადეს, მათი კომპანია, გერმანელ პარტნიორებთან ერთად, შესყიდულ ობიექტზე დაახლოებით 1 მილიონი აშშ დოლარის ინვესტირებას აპირებს და იქ, სავარაუდოდ, სავაჭრო-მომსახურების ცენტრი გაიხსნება. შპს "პროგრესს", რომელიც თბილისში, წერეთლის გამზირზე მდებარეობს, ამ დროსთვის თითქმის 11 ათას-ლარიანი კრედიტორული დავალიანება გააჩნია, რომლის სამართალმემკვიდრე, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ახალი მესაკუთრე გახდა.

მეორე ობიექტი, რომელიც გუშინ გაიყიდა, სს "წნორის მანქანათმშენებლი ქარხანა-2003"-ის საწესდებო კაპიტალიდან ამოღებული შენობები იყო. ის ფიზიკურმა პირმა 17 ათას აშშ დოლარად შეისყიდა.

გუშინდელ აუქციონზე წარმოდგენილ შპს "მექანიზატორს," რომლის საწყისი ფასი 65 ათას აშშ დოლარი იყო, მუშტარი არ გამოუჩნდა. გაუყიდავი დარჩა სს "საქსურსათმანქანის" საწესდებო კაპიტალიდან ამოღებული სასადილოს შენობა, ამავე სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალიდან ამოღებული ძველი საწარმო შენობა და დაბა გომბორში მდებარე N1 სამხედრო ქალაქის ტერიტორიაზე განთავსებული N2 და N59 შენობები.

გუშინვე სამინისტრომ ის შვიდი ობიექტი გამოიტანა გასაყიდად, რომელზეც აუქციონი 7 აპრილს ჩატარდება. ამ ობიექტებს შორის ორზე - ქობულეთში მდებარე რესტორან "თეთრ გედსა" და შპს "ალფას" საწესდებო კაპიტალში არშესულ დაუმთავრებელ მშენებლობაზე - აუქციონს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო უკვე მესამედ აცხადებს.

იმ შემთხვევაში, თუკი 7 აპრილს შვიდივე ობიექტი გაიყიდა, ბიუჯეტში 1 მილიონი ლარი შევა.

7 აპრილს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო ტენდერის ჩატარებასაც გეგმავს. ამ დღეს სამინისტრო, კონკურსის წესით, შპს "დიანდჰესის" აქციების 90 პროცენტის გაყიდვასაც აპირებს. საწარმოს, რომლის ძირითადი პროფილი ჰიდროენერგეტიკული, მელიორაციული, სამრეწველო-სამოქალაქო დანიშნულების ნაგებობათა ექსპლოატაციის უზრუნველყოფაა, საწყისი ფასი 280 ათასი აშშ დოლარია. აღსანიშნავია, რომ ამ დროისთვის "დიანდჰესს" 782 ათასი ლარის კრედიტორული დავალიანება გააჩნია.

# როგორ ეხმარება IFAD ქართველ გლეხებს გამდიდრებაში?

*უკვე მეოთხე წელია, რაც სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების სოფლის მცხოვრებლებს სიღარიბის დაძლევაში ეხმარება. ამ პროგრამის ფარგლებში სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" გასული წლის შედეგებისა და 2005 წლის სამუშაო გეგმების პრეზენტაცია მოეწყო. თუკი ამ პროგრამის ხელმძღვანელების ნათქვამს დავუჯერებთ, უახლოეს სამ წელიწადში საქართველოს 430 სოფელში ღარიბი ოჯახები აღარ იარსებებენ.*

მარიამ ჭაჭაძე

ჩინური სიბრძნის თანახმად, არსებობს სიღარიბის დაძლევის ორი გზა: მისცე არაფრისმქონე კაცს დაჭერილი თევზი, ან ასწავლო თევზის დაჭერა. სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი IFAD მეორეს ირჩევს. ის საქართველოში მეოთხე წელია, მოღვაწეობს და მაღალმთიანი სოფლის მაცხოვრებლებს "თევზის დაჭერის" ყველა შესაძლო გზის სწავლებაში ეხმარება. "მთიანი რეგიონების სოფლის განვითარება," - ასე ჰქვია იმ პროგრამას, რომელსაც IFAD საქართველოში აფინანსებს და რომელიც მაღალმთიანი რეგიონის მაცხოვრებლების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად.

ამ პროგრამის ფარგლებში, გასულ წელს, მაღალმთიანი რეგიონის ოთხასზე მეტ სოფელში საპილოტო პროექტები განხორციელდა. ერთი წლისთავზე, როგორც პროგრამის ხელმძღვანელი ნოე ხოზრევანიძე ამბობს, 430 სოფელში წარმატებით მიმდინარეობს საპილოტო პროექტები, სადაც ჩართულია, დაახლოებით, 85 ათასი ადგილობრივი მაცხოვრებელი, თუმცა მთავარ შედეგებს 2008 წლისთვის უნდა ველოდოთ. ამ დროისთვის, როგორც ნოე ხოზრევანიძემ გვითხრა, დუშეთის, ამბროლაურის, შუახევისა და ასპინძის რაიონებში სიღარიბის პრობლემა აღარ იარსებებს.

მისივე თქმით, მაღალმთიან რაიონებში სიღარიბის დაძლევა შემდეგი ღონისძიებების გატარების შედეგად გახდება შესაძლებელი : კერძოდ, მემცენარეობისა და მეცხოველეობის განვითარება, სოციალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, მეთესლეობის განვითარების ხელშეწყობა, სოფლად გლეხთა საკრედიტო კავშირები და მცირე გადამამუშავებელი ხაზების დემონსტრირება, მეფუტკრეობის განვითარება.

როგორც პროგრამის განმახორციელებლებმა აღნიშნეს, მიმდინარე წელს, ამ პროგრამის ფარგლებში, ხსენებულ რაიონებში პირუტყვის საკვები ბაზის ხარისხობრივი გაუმჯობესება მოხდება. სულ მალე, ამ რაიონების მოსახლეობას კარტოფილის და სხვა ბოსტნეულის სათესლე მასალებიც დაურიგდება. ამ დროისთვის შემოტანილია 300 ტონა კარტოფილის სათესლე მასალა, რომელიც საერთაშორისო სტანდარტებს სრულად შეესაბამება.

ნოე ხოზრევანიძის თქმით, შარშან შუახევში 500 ჰექტარ მიწაზე სარწყავი სისტემები მოეწყო, მომავალ წელს ასეთი სისტემები 700-1000 ჰექტარზე უკვე ასპინძის რაიონსაც ექნება. გასულ წელს შუახევში 0.5 მეგავატი სიმძლავრის მიკროჰესი აიგო, რომელიც ძალიან მალე, მაისის თვეში შევა ექსპლუატაციაში. ამ მიკროჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია მთლიანად დააკმაყოფილებს შუახევის მოსახლეობას, სადაც ამ დროისთვის 200 ოჯახია დასახლებული.

პროექტს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აფინანსებს სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი, პროექტის ღირებულება 7.5 მილიონი აშშ დოლარია. ამ პროექტისთვის დამატებით 1 მილიონ 800 ათასს ლარს საქართველოს მთავრობა გაიღებს, ხოლო დაახლოებით 500 ათასი ლარი ბენეფიციარი მოსახლეობის თანამონაწილეობაზე მოდის.

პროექტის ფარგლებში, ამ დროისთვის უკვე ათვისებულია უკვე 2 მილიონი დოლარი. როგორც ნოე ხოზრევანიძემ "24 საათს" უთხრა, IFAD-მა საქართველოს ხელისუფლებას კრედიტი საკმაოდ დიდი შეღავათით - 0.75 პროცენტით გამოუყო, რომლის გადახდა IFAD-თან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, 2010 წლიდან უნდა დაიწყოს. საქართველოს მთავრობამ, ხელმოწერილი ვალდებულებით, ეს თანხა 2040 წლამდე უნდა დაფაროს.

ცნობისათვის: სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი IFAD, რომელიც გაერო-ს სპეციალიზებული ორგანიზაციაა, ორიენტირებულია მსოფლიოს ყველა კონტინენტის განვითარებადი ქვეყნების სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობაზე. ფონდს ამჟამად 162 წევრი ქვეყანა ჰყავს, აქედან 23 - განვითარებული, 12 - ნავთობის ექსპორტიორი (ე.წ. "ოპეკის"), და 127 - განვითარებადი ქვეყანაა. საკუთარი ოცდახუთწლიანი არსებობის მანძილზე IFAD-ს 122 ქვეყანაში ექვსასამდე პროექტი აქვს დაფინანსებული.

ქალაქ თბილისის მერიის სამოქალაქო მონაწილეობისა და ინტეგრაციის
**საქალაქო სამსახური - თბილისის კორპუსი**
Tbilisi City Service - Tbilisi Corps

დედაქალაქის მერიის სამოქალაქო მონაწილეობისა და ინტეგრაციის საქალაქო სამსახური - თბილისის კორპუსი 1 აპრილიდან იწყებს განაცხადების მიღებას თბილისის მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში ლიფტებისა და სახურავების შესაკეთებლად საჭირო თანხების მოთხოვნის მიზნით.

დაფინანსების მოთხოვნით, თბილისის კორპუსისათვის საპროექტო განაცხადით მიმართვის უფლება აქვს მხოლოდ ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობას.

1992 წლის შემდგომ, როდესაც საქართველოში დაიწყო მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში ბინების პრივატიზება, მობინადრეთა უმრავლესობა ბინის მესაკუთრე გახდა. მრავალბინიანი სახლის ეზოს, მიმდებარე მიწის ნაკვეთის, კიბის უჯრედების, სხვენის, შენობის მზიდი კონსტრუქციების, ლიფტების, საძირკვლის და სახურავის მოვლა-პატრონობა ბინის მესაკუთრეთა მოვალეობაა.

ბინისა და არასაცხოვრებელი ფართის მესაკუთრეთა ამხანაგობა იქმნება მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში. ამხანაგობა არ არის იურიდიული პირი, ის არარეგისტრირებული კავშირია. მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულება საერთო საკუთრების მოვლა-პატრონობაა.

ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობებს თბილისის კორპუსში განაცხადების შეტანა შეუძლიათ ყოველი თვის 1-დან 10 რიცხვის ჩათვლით.

**დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ინტერნეტ გვერდზე - www.tbilisicorps.ge**
**მისამართი: აღმაშენებლის 89/24, "თბილქალაქპროექტის" შენობა, II სართული.**
**ტელ.: 952034**

# ჩინოვნიკებს დეკლარაციის ჩაბარების დრო მოუვიდათ

დღეიდან ჩინოვნიკებმა წლევანდელი ქონებრივი დეკლარაციების შევსებაზე უნდა იზრუნონ. სადეკლარაციო ფორმებში სიახლეა: ჩამატებულია გრაფა შემოსავლების წყაროს შესახებ, რომელიც წინა სადეკლარაციო პერიოდში ამოღებული იყო.

საფინანსო და ქონებრივი მდგომარეობის ამსახველი დეკლარაციების წარდგენა 30 აპრილის ჩათვლით გაგრძელდება. დეკლარაციების შევსების ვადის ამოწურვიდან ერთ თვეში კი, კერძოდ - 1 ივნისს, დეკლარაციები საჯარო გახდება.

საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ კანონის თანახმად, დეკლარაციის განსაზღვრულ ვადებში არწარმოდგენის შემთხვევაში, თანამდებობის პირი 150 ლარით დაჯარიმდება, დეკლარაციაში განზრახ არასწორი მონაცემების შეტანა კი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს.

შარშან თანამდებობის პირთა საფინანსო და ქონებრივი მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროში დეკლარაცია 3500-მდე პირმა წარადგინა, წელს ეს რიცხვი, შესაძლოა, შემცირდეს. ამის მიზეზად საინფორმაციო ბიუროში სახელმწიფო უწყებებში განხორციელებულ სტრუქტურულ ცვლილებებს ასახელებენ.

*24 საათი*

# ადვოკატი სასჯელაღსრულების დეპარტამენტს კანონის დარღვევაში ადანაშაულებს

სააგენტო "ინტერ-პრესის" განცხადებით, მსჯავრდებულ შოთა ჭიჭიაშვილის ადვოკატი ირმა ჯიმშიაშვილი იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტს "პატიმრობის შესახებ საქართველოს კანონის" ნორმების დარღვევაში ადანაშაულებს.

საქმე ისაა, რომ ირმა ჯიმშიაშვილის განცხადებით, შოთა ჭიჭიაშვილს უზენაესმა სასამართლომ ადამიანთა გატაცებისა და სხვა ბრალდებებისთვის 22 წლით თავისუფლების აღკვეთა მიმდინარე წლის იანვარში მიუსაჯა. დღეისთვის განაჩენის გასაჩივრების ვადა ამოწურულია, მოსამართლის ვერდიქტი კანონიერ ძალაშია შესული, მაგრამ პატიმარი, მკაცრი რეჟიმის კოლონიის ნაცვლად, კვლავ თბილისის N1 საპყრობილეში რჩება. **"აღსანიშნავია, რომ ჭიჭიაშვილი გარკვეული დროის განმავლობაში გადაყვანილი ჰყავდათ ქსნის მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში. თუმცა, იგი 30 მარტიდან ისევ თბილისში, N1 საპყრობილეში დააბრუნეს",** - განაცხადა ჯიმშიაშვილმა. ადვოკატი სასჯელაღსრულების დეპარტამენტისგან "პატიმრობის შესახებ საქართველოს კანონის" ნორმების დაცვასა და უზენაესი სასამართლოს განაჩენის მოთხოვნების შესრულებას მოითხოვს.



*შოთა ჭიჭიაშვილი კვლავ იზოლირებულ საკანში გადაიყვანეს*

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის პრესსამსახურის უფროსის გოჩა მუკბანიანის განცხადებით, შოთა ჭიჭიაშვილი თბილისის N1 საპყრობილეში მისივე უსაფრთოხების მიზნით გადაიყვანეს, რადგან, მუკბანიანის თქმით, შოთა ჭიჭიაშვილი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებისთვის იხდის სასჯელს და ამიტომ, შესაძლოა, მის მიმართ გარკვეულ ფიზიკურ ანგარიშსწორებას ჰქონოდეს ადგილი ან, შესაძლოა, მას საკუთარი ჯანმრთელობისთვის ზიანი თავად მიეყენებინა.

"საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნების თანახმად, აღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით, მასალები მცხეთის რაიონულ სასამართლოს და სასჯელაღსრულების ადგილებში კანონიერების დაცვაზე ზედამხედველობის პროკურატურას გადაეგზავნა, რათა ჭიჭიაშვილს საპყრობილის რეჟიმზე გადასვლა განესაზღვროს", - განაცხადა მუკბანიანმა. არადა, მსჯავრდებულს უზენაესმა სასამართლომ, გარდა 22-წლიანი სასჯელისა, საპატიმრო რეჟიმი უკვე განუსაზღვრა და მისთვის საპატიმრო რეჟიმის ხელმეორედ განსაზღვრა კიდევ ერთი სერიოზული კანონდარღვევა იქნება; მით უმეტეს, რომ ჭიჭიაშვილს არც საპყრობილეში და არც ქსნის კოლონიაში ახალი დანაშაული, რომელიც მის მიმართ ახალი სადამსჯელო ღონისძიების გამოყენების საფუძველი გახდებოდა, არ ჩაუდენია.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, შოთა ჭიჭიაშვილის იზოლირებას სულ სხვა მოტივი უდევს საფუძვლად. საქმე ისაა, რომ პანკისისხეობელი კრიმინალი წინასწარი ძიებისა და შემდეგ სასამართლო გამოძიების მსვლელობისას დუმილის უფლებას იყენებდა, რის გამოც, ძალზე ბევრი მნიშვნელოვანი კითხვა პასუხგაუცემელი დარჩა. შესაბამისად, არ დადგა იმ ყოფილ მაღალჩინოსანთა პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებიც, გავრცელებული ინფორმაციებით, პანკისის ხეობაში კრიმინალური ანკლავის შექმნას ხელმძღვანელობდნენ. უზენაესმა სასამართლომ, მართალია, ჭიჭიაშვილს განაჩენი გამოუტანა, მაგრამ გენერალურ პროკურატურას საქმის ერთ ნაწილში ხელახალი გამოძიების ჩატარება დაავალა - საუბარია ჭიჭიაშვილის მფარველი მაღალჩინოსნების ვინაობის დადგენაზე. სწორედ ამიტომაც, ჭიჭიაშვილი, რომელიც გამოძიების მსვლელობისას ერთხელ უკვე ჰყავდათ საპყრობილის ერთკაციან საკანში გამოკეტილი, ხელახალ იზოლაციაში მოაქციეს – ამის მიზეზი მისი დუმილის შენარჩუნება გახლავთ.

*24 საათი*

# ორი ქართველის მკვლელობაში ბრალდებული ცხინვალის ციხეში გადაიყვანეს

*კონფლიქტების მოგვარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი ორი ქართველის მკვლელობაში ეჭვმიტანილი ალიკ ფუხაევის ცხინვალის იზოლატორში გადაყვანას აპროტესტებს.*

"24 საათი" უკვე წერდა იმის თაობაზე, რომ შიდა ქართლის საოლქო პროკურატურამ დაასრულა სოფელ თამარაშენში, ივანე მაჩაბლის სახლ-მუზეუმის ტერიტორიაზე ორი ქართველის - ვახტანგაშვილისა და ყავლაშვილის მკვლელობაში ბრალდებული ალექსანდრე ფუხაევის საქმის გამოძიება და გამოძიების მასალები უზენაეს სასამართლოში გადააგზავნა.

როგორც ცნობილია, თავად ფუხაევი, რომელიც ქართველმა სამართალდამცველებმა მკვლელობიდან ერთი წლის შემდეგ ცხინვალის რეგიონში ჩატარებული სპეცოპერაციისას დააკავეს, კონფლიქტის ზონაში განლაგებული სამშვიდობო ჯარების რუსეთის ბატალიონის შტაბში იმყოფებოდა. მისი რუსი სამშვიდობოებისთვის გადაცემა საკმაოდ სკანდალური გარემოებების შედეგად მოხდა - კერძოდ, ფუხაევის დაკავების შემდეგ მისმა ნათესავებმა ქართველი პოლიციელები გაიტაცეს და დაკავებულ ფუხაევში მათ გაცვლას ითხოვდნენ. როგორღაც, გატაცებული პოლიციელები ცხინვალის პოლიციის განყოფილებაში ნაცემები აღმოაჩინეს - მეტიც, ერთ-ერთ მათგანს მკვლელობის ბრალდებაც წაუყენეს. ფუხაევის ქართველ პოლიციელში გაცვლის მოთხოვნა ცხინვალის ფაქტობრივი ხელისუფლების მხრიდან, თითქმის, ოფიციალურად გაისმა. ამასთან დაკავშირებით რეგიონის ქართულ სოფლებში დაწყებული დაძაბულობის გამო, ქართველი სამართალდამცველები იძულებულნი გახდნენ, კომპრომისზე წასულიყვნენ და ფუხაევი არა კოკოითის ხელისუფლებისთვის, არამედ რუსეთის სამშვიდობო ჯარებისთვის გადაეცათ. რუსმა სამხედროებმა, თავის მხრივ, პირობა დადეს, რომ მკვლელობაში ბრალდებული გამოძიების დასრულებამდე და სასამართლოს გადაწყვეტილებამდე შტაბში ეყოლებათ პატიმრობაში. გამოძიების დასრულებამდე მათ პირობა მართლაც შეასრულეს – სულ რაღაც ერთი კვირის წინ შიდა ქართლის პროკურორმა კახა ჭუმბაძემ ჩვენთან საუბრისას განაცხადა, რომ ფუხაევი კვლავაც რუსი სამშვიდობოების შტაბში იმყოფებოდა. თუმცა, როგორც ჩანს, სასამართლო პროცესის მოახლოებამ პირობის დარღვევა გამოიწვია და 26 მარტს, ქართულ მხარესთან შეუთანხმებლად, ალექსანდრე ფუხაევი ცხინვალის ციხის საგამოძიებო იზოლატორში გადაიყვანეს.

სახელმწიფო მინისტრის აპარატში აცხადებენ, რომ ამ ფაქტთან დაკავშირებით დაიწყო მოკვლევა, რომლის შედეგებიც უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი.

**"შერეული სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელობამ, მათ მიერ განხორციელებული თვითნებური საქციელით, დაარღვია ოთხმხრივი მოლაპარაკებებისა და ერთობლივი მუშაობით მიღებული ყველა შეთანხმება. გარდა ამისა, ჩადენილი ქმედება შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის ელემენტებს",** - ნათქვამია კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის განცხადებაში.

*24 საათი*

# ახალი დეტალი ლევან კალაძის გატაცების საქმეში - დააკავეს ფულის გამომძალველები

*რამდენიმე დღის წინ გავრცელებული ინფორმაცია, კახი კალაძის ძმის ლევან კალაძის გატაცების საქმეში არსებული ახალი დეტალების შესახებ, გუშინ გახდა ცნობილი.*
*შს სამინისტროს თანამშრომლებმა დანაშაულში ეჭვმიტანილი პირები დააკავეს, რომლებიც კახი კალაძის მამას კარლო კალაძეს, გატაცებული შვილის დაბრუნების სანაცვლოდ, 20 ათას დოლარს სძალავდნენ. შს სამინისტროს ინფორმაციით, დაკავებული არიან ხაშურში მცხოვრები იური ნოზაძე და გიორგი გონგლაძე.*
*სამართალდამცველები საქმის სხვა დეტალებს არ აკონკრეტებენ.*
*ოთხი წლის წინ, 2001 წლის მაისში გაიტაცებული ლევან კალაძის მშობლებისგან ფულის გამოძალვის ეს პირველი შემთხვევა არ გახლავთ. ორი წლის წინ სამართალდამცველებმა დააკავეს პირები, რომლებიც კარლო კალაძეს ფულს სძალავდნენ. ამის გამო, დაკავებულია ე.წ. გვიჩიანების დაჯგუფების ერთ-ერთი წევრი ნოდარ გვიჩიანიც, რომელმაც, გავრცელებული ინფორმაციით, კალაძეებს 200 ათასი დოლარი გამოსძალა.*

ლევან კალაძის გატაცებასთან დაკავშირებით არაერთი ვერსია გაჩნდა. სახელგანთქმული ფეხბურთელის ძმის გამტაცებლებს სხვადასხვა კრიმინალურ დაჯგუფებაში ეძებდნენ. პერიოდულად ჩნდებოდა ინფორმაცია ამ საქმესთან დაკავშირებით ამა თუ იმ პირის დაკავების შესახებაც, თუმცა საბოლოოდ ვერც ერთ მათგანს ლევან კალაძის გატაცების ბრალდება ვერ წაუყენეს. მიუხედავად ამისა, ლევან კალაძისა და სხვა გახმაურებული გატაცებების საქმეებთან დაკავშირებით დამაიმედებელი ინფორმაცია წლების განმავლობაში სამართალდამცველებისგან, მათ შორის შს მინისტრისგანაც, არაერთხელ მოგვისმენია. სხვათა შორის, ბოლო პერიოდის შს მინისტრები ძალზე ხშირად იწონებდნენ თავს მათი უწყების საქმიანობით და აცხადებდნენ, რომ ყველა გატაცების საქმე გახსნილია. თუმცა, თუ სტატისტიკას გადავხედავთ, ამ მხრივ, კანონდამცველებს საამაყო ნაკლებად აქვთ. საქმე ისაა, რომ მეოთხე წელი სრულდება, რაც გაიტაცეს ლევან კალაძე, მამა ბასილ მაჩიტაძე; არაფერია ცნობილი 2002 წლის ივლისში წყნეთში გატაცებული 15 წლის მარიამ გოგინაშვილისა და ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში დისლოცირებული შერეული სამშვიდობო ძალების ბატალიონის ყოფილი მეთაურის, ვიცე-პოლკოვნიკ ზურაბ დურგლიშვილის გატაცების შესახებ. არადა, სამართალდამცველთაგან დროგამოშვებით მაინც ვისმენთ ინფორმაციებს, რომ მათთვის "ცნობილია გამტაცებელთა ვინაობა, გატაცებულთა ადგილსამყოფელი. გატაცებულები ჯანმრთელად არიან, საფრთხე არ ემუქრებათ და უახლოეს დღეებში გაათავისუფლებენ".

სხვათა შორის, თვეების წინ კანონდამცველთა მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ახალი დეტალები გაჩნდა მარიამ გოგინაშვილის გატაცების საქმეში. მოგვიანებით, აღმოჩნდა, რომ "ახალი დეტალი" თბილისის პროკურატურის მიერ დაკავებული პროფესიონალი თაღლითი ქალბატონი გახლდათ, რომელიც გოგინაშვილების ოჯახს ფულს სძალავდა - გატაცებული გოგონას ადგილსამყოფელის შესახებ ცრუ ინფორმაციაში იგი სოლიდურ თანხას ითხოვდა.

*24 საათი*

*მოკლედ*

## იუსტიციის სამინისტრომ მოულოდნელი ნარკოლოგიური შემოწმება ჩაატარა

იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციისა და სააქციო საზოგადოება "ნარკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის" თანამშრომლებმა იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებლო დეპარტამენტში თანამშრომელთა მოულოდნელი ნარკოლოგიური შემოწმება ჩაატარეს. გამოიკვლიეს სააღსრულებლო დეპარტამენტის 70-მდე თანამშრომელი, ნარკოშემოწმებისას შვიდი თანამშრომელი არ იმყოფებოდა სამსახურში. "ნარკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის" ინფორმაციით, გამოკვლევის შედეგად გამოვლინდა ნარკომოხმარების ოთხი ფაქტი - ორი მარიხუანას, ხოლო ორი სუბოტექსის მოხმარებისა. ოთხივე თანამშრომლის მიმართ იუსტიციის სამინისტრო მკაცრს ზომებს გაატარებს. იუსტიციის სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, სამინისტროს გენერალური ინსპექცია მსგავს ნარკოშემოწმებებს სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ სხვა სტრუქტურებშიც ჩაატარებს.

*24 საათი*

## შს სამინისტროს ნარკოტიკული ტესტირების კომპლექტები გადაეცა

საქართველომ ამერიკისგან 150 ათასი დოლარის ღირებულების ნარკოტიკული ტესტირების 500 კომპლექტი მიიღო. ამასთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა და აშშ-ის ელჩმა რიჩარდ მაილსმა ერთობლივი ბრიფინგი გამართეს.

ნარკოტიკული ტესტირების კომპლექტები დაეხმარება საქართველოს სამართალდამცველ უწყებებს გასვლითი ოპერაციების დროს აღმოჩენილი ნარკოტიკის მსგავსი დაუდგენელი ნივთიერებების ადგილზე ტესტირებაში. თუ საველე პირობებში ჩატარებული ტესტი დადებით პასუხს აჩვენებს ისეთ ნარკოტიკულ ნივთიერებებზე, როგორიცაა - ჰეროინი, მარიხუანა, კოკაინი ან სინთეტური წარმოშობის ნარკოტიკი სუბოტექსი, საკმარისი საფუძველი იქნება ნივთიერების კონფისკაციისთვის.

ნივთმტკიცება შემდგომ გადაეცემა საქართველოს სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ბიუროს უფრო დეტალური შესწავლისთვის. ყოველ კომპლექტში მოთავსებულია 14 მცირე ზომის ყუთი, თითოეულ მათგანში მოთავსებულია ნარკოტიკის 10 ტესტერი. ამ კომპლექტებს დაარიგებენ საქართველოს რეგიონებში და სასაზღვრო რაიონებში.

*მედიანიუსი*

## იუსტიციის სამინისტროს ახალი საკანონმდებლო ინიციატივა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ორგანიზებით, სასტუმრო "სიმპათიაში" "მრგვალი მაგიდა" გაიმართა, რომელზეც გირავნობის შესახებ სამინისტროს მიერ მომზადებულ საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტზე იმსჯელეს. იუსტიციის მინისტრის მოადგილის ეკატერინე გურეშიძის განცხადებით, საკანონმდებლო ცვლილების მიზანია საქართველოში გირავნობასთან დაკავშირებული ურთიერთობის მომწესრიგებელი სამართლებრივი ბაზის სრულყოფა. მისივე თქმით, დღეს ამ სფეროში არსებული კანონმდებლობა ვეღარ პასუხობს საბაზრო ეკონომიკის მზარდ მოთხოვნებს და ვერ უზრუნველყოფს უცხო, თუ ეროვნული ინვესტიციების მოზიდვისა და კრედიტების უზრუნველყოფისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას. "საჭიროა გირავნობით უზრუნველყოფილი კრედიტორის დამცავი მექანიზმების გაძლიერება, გირავნობასთან დაკავშირებული პროცესების დაჩქარება-გამარტივება და ეფექტური, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი გირავნობის რეესტრის შექმნა, რომელიც რეესტრში რეგისტრირებულ უფლებათა საიმედოობასა და დაცულობას უზრუნველყოფს", - განაცხადა გურეშიძემ. საკანონმდებლო პაკეტი მომზადებულია აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ, დაფინანსებულია საქართველოს სამეწარმეო საქმიანობის განვითარების ხელშეწყობის პროექტისა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მხარდაჭერით. შეხვედრაში მონაწილეობას იღებენ მთავრობის, ნოტარიუსთა პალატის, პარლამენტის, კომერციული ბანკების და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

*ინტერ-პრესი*

## პრეზიდენტ გამსახურდიას დაბადების დღე საპროტესტო აქციით აღინიშნა

"დაასახელეთ ზვიადის მკვლელები", - ამ მოთხოვნით სახელმწიფო კანცელარიასთან "სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის" წარმომადგენლებმა საპროტესტო აქცია გამართეს. აქციის მონაწილეთა განცხადებით, დღევანდელმა ხელისუფლებამ კარგად იცის, ვინ მოკლა საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, თუმცა გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებების გამო, ამ საქმის ბოლომდე მიყვანას არ აპირებს. აქციის მონაწილეებმა პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის პასუხისგებაში მიცემა მოითხოვეს. მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, აქციის ორგანიზატორები ფართომასშტაბიანი საპროტესტო გამოსვლებით იმუქრებიან.

გუშინ საქართველოს პირველ პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას დაბადებიდან 66 წლისთავი შესრულდა. 1993 წლის 31 დეკემბერს ზვიად გამსახურდია სამეგრელოში, წალენჯიხის რაიონის სოფელ ჯიხაშკარში გარდაცვლილი იპოვეს. ოფიციალური ვერსიით, მან თავი მოიკლა.

*ინტერ-პრესი*

# უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ანკეტა

სახელი, გვარი

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი

საკონტაქტო ტელეფონი

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფშენის" შენობის I-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ. 77. იურიდიული ოფისი "გაპი".

# საშემოსავლო გადასახადის გადამხდელები და გადასახადისაგან გათავისუფლებული პირები ახალი საგადასახადო კოდექსის მიხედვით

საშემოსავლო გადასახადი, რომელზეც დღეს ჩვენ ვისაუბრებთ, აქტუალურია იმდენად, რამდენადაც იგი ერთ-ერთია იმ საერთო სახელმწიფოებრივი გადასახადებიდან, რომლის გადამხდელიც მოსახლეობის უდიდესი ნაწილია. ამ გადასახადით დაბეგვრა შეიძლება შეეხოს თითოეულ ჩვენთაგანს, ნებისმიერ ფიზიკურ პირს, რომელიც შემოსავალს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობიდან იღებს.

2004 წლის 22 დეკემბერს მიღებულმა საქართველოს ახალმა საგადასახადო კოდექსმა საშემოსავლო გადასახადი სახეცვლილი ფორმით წარმოგვიდგინა. შეიცვალა საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი, გაფართოვდა საშემოსავლო გადასახადისაგან გათავისუფლებულთა წრე და ა.შ. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით მოსახლეობაში გაჩნდა უამრავი კითხვა, რადგან თავდაპირველად ეს შეღავათი გაგებული იქნა, თითქოს გადასახადისაგან გათავისუფლება შეეხო ყველა ინდმეწარმეს.

ვინ არიან საშემოსავლო გადასახადის გადამხდელები, ფიზიკური პირის რა სახის შემოსავალი იბეგრება საშემოსავლო გადასახადით და რა ოდენობით, ვის ეხება შეღავათები და ვინ თავისუფლდება საშემოსავლო გადასახადისაგან?

დღეს ჩვენ ვეცდებით, პასუხი გავცეთ თქვენთვის საინტერესო კითხვებს და ამით მაქსიმალურად დავაკმაყოფილოთ მოსახლეობის ინტერესები აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით.

**- დღესდღეობით რა განაკვეთით იბეგრება ფიზიკური პირის დასაბეგრი შემოსავალი?**

- ძველი საგადასახადო კოდექსი განსხვავებულ განაკვეთებს აწესებდა 200 ლარამდე, 200-დან 350 ლარამდე, 351-დან 600 ლარამდე და 600 და მეტი ლარის შემოსავლებისათვის. გადასახადის განაკვეთი შემოსავლების ზრდასთან ერთად 12%-დან 20 პროცენტამდე იზრდებოდა. ახალმა საგადასახადო კოდექსმა კი ყველა ოდენობის შემოსავალზე დააწესა ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი 12%-ის ოდენობით. ე. ი. ერთნაირი 12%-იანი განაკვეთით დაიბეგრება პირი, რომლის დასაბეგრ შემოსავალს წარმოადგენს 200 ლარი და ის პირიც, რომლის დასაბეგრ შემოსავალს წარმოადგენს, მაგალითად, 2000 ლარი.

**- ითვალისწინებს თუ არა ახალი საგადასახადო კოდექსი დაუბეგრავ მინიმუმს?**

- ძველი საგადასახადო კოდექსი ითვალისწინებდა დაუბეგრავ მინიმუმს 9 ლარის ოდენობით. ახალი საგადასახადო კოდექსი კი დაუბეგრავ მინიმუმს არ ითვალისწინებს.

**- ვინ იხდის საშემოსავლო გადასახადს?**

- საშემოსავლო გადასახადის გადამხდელია რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური პირი. ფიზიკურ პირებად ამ შემთხვევაში ითვლებიან საქართველოს მოქალაქეები, უცხო ქვეყნის მოქალაქეები, მოქალაქეობის არმქონე პირები, რაც იმას ნიშნავს, რომ საშემოსავლო გადასახადის გადახდის ვალდებულება დაკავშირებულია არა მოქალაქეობასთან, ანუ პიროვნების სამართლებრივ კავშირთან - სახელმწიფოსთან, არამედ საქართველოში ფაქტობრივად ყოფნის დროსთან.

**- რას ნიშნავს რეზიდენტობა?**

- საქართველოს რეზიდენტად მთელი მიმდინარე საგადასახადო წლის განმავლობაში ითვლება ფიზიკური პირი, რომელიც ნებისმიერ 12-თვიან პერიოდში ფაქტობრივად იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე 183 დღე ან მეტ ხანს, რომელიც მთავრდება ამ საგადასახადო წელს. საქართველოს რეზიდენტად ითვლება ასევე ფიზიკური პირი, რომელიც ამ საგადასახადო წლის განმავლობაში იმყოფებოდა უცხო ქვეყანაში საქართველოს სახელმწიფო სამსახურში.

**მაგალითად,** პირი ჩამოვიდა საქართველოს ტერიტორიაზე 2004 წლის 1 ნოემბერს. იმისათვის, რომ იგი საქართველოს რეზიდენტად ჩაითვალოს, 2005 წლის 1 ნოემბრამდე, ანუ 12 თვიან პერიოდში, 183 დღეზე მეტ ხანს უნდა იმყოფებოდეს საქართველოს ტერიტორიაზე. 183 დღიანი პერიოდი 2004 წლის ნოემბრის თვიდან 2005 წლის მაისში დასრულდება, ამიტომ 2005 წლის მთელი მიმდინარე საგადასახადო წლის განმავლობაში პირი ჩაითვლება საქართველოს რეზიდენტად და საშემოსავლო გადასახადს გადაიხდის როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ მიღებული შემოსავლიდან.

**- რას ნიშნავს საქართველოში ფაქტობრივად ყოფნის დრო და როგორ განისაზღვრება საქართველოში ფაქტობრივად ყოფნის დღის ხანგრძლივობა?**

- საქართველოში ფაქტობრივად ყოფნის დროდ ითვლება დრო, რომლის განმავლობაშიც ფიზიკური პირი იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე. ასევე დრო, რომლის განმავლობაშიც იგი გავიდა საქართველოს ფარგლებს გარეთ სპეციალურად სამკურნალოდ, დასასვენებლად, მივლინებაში, ან სასწავლებლად.

საქართველოში ყოფნის დღედ კი ითვლება დღე, რომლის განმავლობაშიც იგი ფაქტობრივად იმყოფებოდა საქართველოს ტერიტორიაზე, მიუხედავად ამ დროის ხანგრძლივობისა.

**მაგალითად,** თუ ფიზიკური პირი საქართველოში ჩამოვიდა 2005 წლის 5 თებერვალს დღის 2 საათზე და საქართველოს ტერიტორია დატოვა 2005 წლის 7 თებერვალს ღამის 4 საათზე, მისი საქართველოში ფაქტობრივად ყოფნის დროდ ჩაითვლება მთელი 3 დღე, 5, 6 და 7 თებერვალი.

**- რას ნიშნავს არარეზიდენტი ფიზიკური პირი?**

- არარეზიდენტი არის ფიზიკური პირი, რომელიც ზემოაღნიშნული განმარტების თანახმად, არ არის რეზიდენტი პირი, ე.ი. ფიზიკური პირი, რომელიც 12-თვიანი პერიოდის მანძილზე 183 დღეზე ნაკლებ ხანს იმყოფებოდა საქართველოს ტერიტორიაზე. აღსანიშნავია, რომ ძველი საგადასახადო კოდექსით პირის რეზიდენტად ცნობისათვის გათვალისწინებული იყო 182 დღე და მეტი ხანი, ანუ 1 დღით ნაკლები, ვიდრე ახალი კოდექსითაა გათვალისწინებული.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ფაქტობრივი ყოფნის დროდ კოდექსი არ მიიჩნევს იმ დროს, როდესაც:

ფიზიკური პირი მართალია იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე, მაგრამ, როგორც დიპლომატიური ან საკონსულო სტატუსის მქონე პირი, ან ასეთი პირის ოჯახის წევრი;

როდესაც ფიზიკური პირი იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე, როგორც საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების შესაბამისად მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციის თანამშრომელი ან, როგორც საქართველოში უცხო ქვეყნის სახელმწიფო სამსახურში მყოფი პირი, ან ასეთი ოჯახის წევრი, გარდა საქართველოს მოქალაქეებისა;

დრო, რომლის განმავლობაშიც პირი გაივლის საქართველოს ტერიტორიას ერთი უცხო ქვეყნიდან მეორეში გადაადგილებისას;

დრო, რომლის განმავლობაშიც პირი იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე სამკურნალოდ, ან დასასვენებლად.

**- როგორი წესით იბეგრება რეზიდენტი პირის შემოსავალი?**

- კოდექსი განსაზღვრავს, რომ რეზიდენტი ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის ობიექტია დასაბეგრი შემოსავალი, რომელიც განისაზღვრება, როგორც სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და ამ პერიოდისათვის კოდექსით გათვალისწინებულ გამოქვითვის თანხებს შორის.

კალენდარულ წლად ითვლება დროის მონაკვეთი 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, ხოლო ახალრეგისტრირებული გადასახადის გადამხდელისათვის - პირველ წელს რეგისტრაციის თარიღიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

**მაგალითად,** თუ პირი გადასახადის გადამხდელად დარეგისტრირდა 20 აგვისტოს, მისთვის კალენდარულ წლად ჩაითვლება დროის მონაკვეთი 20 აგვისტოდან 31 დეკემბრამდე და იგი გადასახადს გადაიხდის ამ პერიოდის მანძილზე მიღებული შემოსავლებიდან.

ერთობლივ შემოსავალში იგულისხმება ნებისმიერი ფორმით ან/და საქმიანობით მიღებული ყველა შემოსავალი, რაც ექვემდებარება საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრას, კერძოდ:

ა) ხელფასის სახით მიღებული შემოსავლები;

ბ) ეკონომიური საქმიანობით მიღებული შემოსავლები, რომლებიც დაკავშირებული არ არის დაქირავებით მუშაობასთან;

გ) სხვა შემოსავლები, რომლებიც დაკავშირებული არ არის დაქირავებით მუშაობასთან და ეკონომიკურ საქმიანობასთან.

რეზიდენტი ფიზიკური პირის ერთობლივი შემოსავალი განისაზღვრება როგორც საქართველოში არსებული წყაროებით, ისე საზღვარგარეთ მიღებული შემოსავლებით, რაც იმას ნიშნავს, რომ იბეგრება რეზიდენტი პირის როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ მიღებული შემოსავლები.

რაც შეეხება კოდექსით გათვალისწინებულ გამოქვითვის თანხებს, მასში იგულისხმება ყველა ის ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია შემოსავლის მიღებასთან და ა.შ. ეს საკითხი მოწესრიგებულია საგადასახადო კოდექსის XXV თავით - "გამოქვითვები და ზარალი."

**- როგორი წესით იბეგრება არარეზიდენტი პირის შემოსავალი?**

- არარეზიდენტი პირის ერთობლივი შემოსავალი შედგება საქართველოში არსებული წყაროებიდან მიღებული შემოსავლებისაგან, რაც იმას ნიშნავს, რომ არარეზიდენტ პირს რეზიდენტი პირისაგან განსხვავებით ეკისრება შეზღუდული საგადასახადო ვალდებულება და საშემოსავლო გადასახადს იხდის მხოლოდ საქართველოში არსებული წყაროებიდან მიღებული შემოსავლების ოდენობით.

**- საქართველოს კანონმდებლობით გავრცელდება თუ არა საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის ვალდებულება იმ რეზიდენტი პირის შემოსავალზე, რომელიც ამ შემოსავალს საზღვარგარეთ არსებული წყაროებიდან იღებს და, შესაბამისად, იმ ქვეყნის საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვითაც იბეგრება?**

- ის ფაქტი, რომ საქართველოს კანონმდებლობით დაბეგვრას ექვემდებარება რეზიდენტი პირის მიერ საზღვარგარეთ მიღებული შემოსავალი, სულაც არ გულისხმობს იმას, რომ ერთსა და იმავე შემოსავალზე ფიზიკურ პირს ორჯერ მოუწევს საშემოსავლო გადასახადის სრული ოდენობით გადახდა: ერთხელ იმ ქვეყნის საგადასახადო კანონმდებლობით, რომელშიც იგი იმყოფება და მეორედ - საქართველოს საგადასახადო კოდექსით. საქართველოს საგადასახადო კოდექსით, საქართველოს ფარგლებს გარეთ გადახდილი საშემოსავლო გადასახადი, რომელიც გადახდილია ამ ქვეყანაში არსებული წყაროებიდან მიღებულ შემოსავალზე, **ჩაითვლება საქართველოში გადასახადის გადახდისას.**

**მაგალითად,** საქართველოს რეზიდენტი ფიზიკური პირი საზღვარგარეთ არსებული წყაროებიდან იღებს შემოსავალს 10 000 ლარს. ამ ქვეყნის კანონმდებლობით, მან უნდა გადაიხადოს საშემოსავლო გადასახადი 10%-ის ოდენობით, ანუ 1000 ლარი (10000:100X10). საქართველოს კანონმდებლობით კი, მან უნდა გადაიხადოს საშემოსავლო გადასახადის სახით 12%, ანუ 1200 ლარი (10000:100X12). საქართველოს საგადასახადო კოდექსით, მას გადახდილად ჩაეთვლება გადახდილი 10%, ანუ 1000 ლარი და გადასახდელი ექნება მხოლოდ დარჩენილი 2%, ანუ 200 ლარი.

**- ვინ არიან საშემოსავლო გადასახადისაგან გათავისუფლებულნი?**

-უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ახალმა საგადასახადო კოდექსმა გააფართოვა საშემოსავლო გადასახადისაგან გათავისუფლებულთა რიცხვი. ამიტომ ქვემოთ მოყვანილ ჩამონათვალში თქვენს ყურადღებას ძირითადად საკანონმდებლო სიახლეებზე შევაჩერებთ.

**საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის პირველი ნაწილით, საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან თავისუფლდება ფიზიკურ პირთა შემოსავლების შემდეგი სახეები:**

**ა) არარეზიდენტის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე უცხოეთის დიპლომატიურ და მასთან გათანაბრებულ დაწესებულებებში დაქირავებით მუშაობით მიღებული შემოსავლები;**

**ბ) ფიზიკური პირის მიერ მიღებული გრანტი, სახელმწიფო პენსია, მაგროვებადი და დაბრუნებადი ხასიათის არასახელმწიფო საპენსიო სქემიდან მიღებული პენსია - განხორციელებული შენატანების ოდენობით, სახელმწიფო სტიპენდია, სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების, ან ადგილობრივ ბიუჯეტებში გათვალისწინებული ასიგნებებით გამოყოფილი დახმარება ან ერთჯერადი განაცემი (მათ შორის, ოლიმპიურ თამაშებში, მსოფლიოს ან/და ევროპის ჩემპიონატებში გამარჯვებისათვის ან/და საპრიზო ადგილების დაკავებისათვის სპორტსმენების და მათი მწვრთნელების მიერ მიღებული ფულადი და სხვა სახის ჯილდოები);**

**გ) ოლიმპიურ თამაშებში, მსოფლიოს ან/და ევროპის ჩემპიონატებში გამარჯვებისათვის ან/და საპრიზო ადგილების დაკავებისათვის სპორტსმენების და მათი მწვრთნელების მიერ მიღებული ფულადი და სხვა სახის ჯილდოები;**

**დ) ალიმენტი;**

**ე) განქორწინების საფუძველზე ფიზიკური პირის მიერ მიღებული ქონების ღირებულება (შემოსავალი);**

**ვ) ფიზიკური პირის მიერ 2 წელზე მეტი ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივების რეალიზაციით მიღებული ნამეტი, გარდა ამ პირის მიერ სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში მატერიალური აქტივების რეალიზაციით მიღებული ნამეტისა;**

გვსურს, თქვენი ყურადღება განსაკუთრებით შევაჩეროთ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის პირველი პუნქტის ზემოაღნიშნულ "ვ" ქვეპუნქტზე, რადგან ამ ნორმამ საზოგადოებაში დიდი ინტერესი და, ხშირ შემთხვევაში, გაუგებრობა გამოიწვია. იმისათვის, რომ მკითხველისთვის უფრო ცხადი გახდეს, თუ ვინ არიან ზემოაღნიშნული "ვ" ქვეპუნქტით გადასახადისაგან გათავისუფლებული პირები, მოვიშველიოთ შემდეგი მაგალითები:

**მაგალითად,** თუკი უკვე 2 წელზე მეტია, რაც საკუთრებაში გაგაჩნიათ უძრავი ქონება, მაგალითად, ბინა და მისი გაყიდვა გსურთ, თქვენს მიერ ბინის გაყიდვით მიღებული შემოსავალი არ დაიბეგრება საშემოსავლო გადასახადით.

თუკი ბინა, რომელიც იყიდეთ 30 000 ლარად, მხოლოდ ერთი წელია, რაც თქვენს საკუთრებაშია და გსურთ მისი გაყიდვა 35 000 ლარად, თქვენ გადაიხდით საშემოსავლო გადასახადს, რომელიც გამოიანგარიშება არა 35 000 ლარიდან, არამედ თქვენს მიერ ბინის რეალიზაციით მიღებული ნამეტიდან, ანუ 5 000 ლარიდან (35 000 - 30 000) და თქვენს მიერ საშემოსავლო გადასახადის სახით გადასახდელი თანხა იქნება მიღებული ნამეტის, ანუ 5 000 ლარის 12 პროცენტი.

თუკი თქვენ ორ წელზე მეტია, რაც ბინას ფლობთ საკუთრებაში, მაგრამ მის რეალიზაციას, გაყიდვას სამეწარმეო საქმიანობის სახით ახორციელებთ, საშემოსავლო გადასახადისაგან არ გათავისუფლდებით და დაიბეგრებით ისე, როგორც ზემოთ ვისაუბრეთ, კერძოდ, ბინის რეალიზაციით მიღებული ნამეტის 12 პროცენტის ოდენობით.

**ზ) საგადასახადო წლის განმავლობაში I და II რიგის მემკვიდრეების მიერ ქონების ჩუქებით ან მემკვიდრეობით მიღება.**

სანამ ჩამონათვალს გავაგრძელებდეთ, გვინდა, მოვახდინოთ I და II რიგის მემკვიდრეების განმარტება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლით, პირველი რიგის მემკვიდრეებია: გარდაცვლილის შვილები, მეუღლე და მშობლები (მშვილებლები). შვილიშვილები და შვილიშვილის შვილები იმ შემთხვევაში ჩაითვლებიან პირველი რიგის მემკვიდრეებად, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის მათი მშობლები ცოცხლები აღარ არიან.

II რიგის მემკვიდრეებია: გარდაცვლილის დები და ძმები, ასევე, გარდაცვლილის დისშვილები, ძმისშვილები, თუკი მათი მშობლები სამკვიდროს გახსნის დროისათვის ცოცხლები აღარ არიან.

**თ) საგადასახადო წლის განმავლობაში ფიზიკური პირისაგან 1 000 ლარამდე ღირებულების ქონების ჩუქებით მიღება.**

**ი) საგადასახადო წლის განმავლობაში III და IV რიგის მემკვიდრეების მიერ 150 000 ლარამდე ღირებულების ქონების ჩუქებით ან მემკვიდრეობით მიღება.**

III რიგის მემკვიდრეებად ითვლებიან გარდაცვლილის ბებია და პაპა, ბებიის დედ-მამა და პაპის დედ-მამა, როგორც დედის, ისე მამის მხრიდან. Eეს უკანასკნელნი მემკვიდრეებად ითვლებიან, თუკი სამკვიდროს გახსნის დღისათვის ბებია და პაპა ცოცხლები აღარ არიან.

IV რიგის მემკვიდრეებად ითვლებიან გარდაცვლილის ბიძები (დედის ძმა და მამის ძმა), დეიდები, მამიდები.

**კ) ფიზიკური პირისათვის (დონორისათვის) გაღებული სისხლის საკომპენსაციო კვებისათვის გაცემული თანხა.**

**ლ) იმ მეწარმე ფიზიკურ პირთა შემოსავალი, რომლებიც არ იყენებენ დაქირავებულ პირთა შრომას და დამოუკიდებლად ახორციელებენ მხოლოდ "ეკონომიკური საქმიანობის სახეების ეროვნული კლასიფიკატორის" (NACE) შესაბამისად განსაზღვრული ცალკეული კატეგორიის ეკონომიკური საქმიანობიდან ერთ-ერთს.**

სანამ იმ მეწარმე ფიზიკურ პირთა ჩამონათვალს გაეცნობოდეთ, რომლებიც გათავისუფლებულნი არიან საშემოსავლო გადასახადის გადახდისაგან ზემოაღნიშნული პუნქტის შესაბამისად (ახალი საგადასახადო კოდექსის ამ ცვლილებამ დიდი გამოხმაურება გამოიწვია), გვინდა, თქვენი ყურადღება შევაჩეროთ იმაზე, თუ საგადასახადო კოდექსის თანახმად, ვინ მიიჩნევიან მეწარმე ფიზიკურ პირებად და, შესაბამისად, საშემოსავლო გადასახადის გადამხდელებად.

მეწარმე ფიზიკური პირი, უპირველეს ყოვლისა, არის ინდივიდუალური მეწარმე - ინდივიდუალური საწარმოს მფლობელი ფიზიკური პირი, რომლის სამეწარმეო საქმიანობისათვის აუცილებელია სამეწარმეო წესით მოწყობილი ორგანიზაცია, მოწესრიგებული საკასო და საბუღალტრო საქმე. სამართლებრივ ურთიერთობებში ინდივიდუალური მეწარმე თავისი სახელით გამოდის.

მეწარმე ფიზიკურ პირებად კოდექსი ასევე მიიჩნევს ფიზიკურ პირებს, რომლებიც ახორციელებენ ხელოვნებასთან დაკავშირებულ, სამეცნიერო, არქიტექტურულ, საადვოკატო ან სანოტარო, საკონსულტაციო (მათ შორის, საგადასახადო კონსულტანტთა), სასოფლო-სამეურნეო და სატყეო-სამეურნეო საქმიანობას.

საგადასახადო კოდექსი მეწარმე ფიზიკურ პირებად და, შესაბამისად, საშემოსავლო გადასახადის გადამხდელად მიიჩნევს ასევე იმ ფიზიკურ პირებს, რომლებიც ეკონომიკურ საქმიანობას ახორციელებენ რეგისტრაციის, ლიცენზიის ან ნებართვის აღების დადგენილი წესის დარღვევით.

ახალი საგადასახადო კოდექსი საშემოსავლო გადასახადისაგან ათავისუფლებს არა ყველა მეწარმე ფიზიკურ პირს, არამედ მხოლოდ იმ მეწარმე ფიზიკურ პირებს, რომლებიც არ იყენებენ დაქირავებულ პირთა შრომას და კოდექსით განსაზღვრულ ფართზე ახორციელებენ მხოლოდ "ეკონომიკური საქმიანობის სახეების ეროვნული კლასიფიკატორის" (NASE) შესაბამისად განსაზღვრული ცალკეული კატეგორიის ეკონომიკური საქმიანობიდან ერთ-ერთს.

**მ) 2007 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული ფიზიკური პირის მიერ საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის სამრეწველო გადამუშავებამდე (სასაქონლო კოდის შეცვლამდე) პირველადი მიწოდებით მიღებული შემოსავალი, თუ კალენდარული წლის განმავლობაში ამ ფიზიკური პირის მიერ მიწოდებით მიღებული ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 100 000 ლარს.**

**2) საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება შემდეგ ფიზიკურ პირთა მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული დასაბეგრი შემოსავალი 3 000 ლარამდე:**

**ა) ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის, აგრეთვე, მხედველობის გამო I და II ჯგუფის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის;**

**ბ) მეორე მსოფლიო ომისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლების მონაწილე საქართველოს მოქალაქის;**

**გ) პირის, რომელსაც მინიჭებული აქვს "ქართვლის დედის" საპატიო წოდება;**

**დ) მარტოხელა დედის;**

**ე) პირის, რომელმაც იშვილა ბავშვი (შვილად აყვანიდან 1 წლის განმავლობაში);**

**ვ) პირის, რომელმაც აღსაზრდელად (შვილობილად) აიყვანა ბავშვი;**

**3) საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება:**

**ა) I და II ჯგუფის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიერ (მხედველობის გამო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების გარდა) კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული დასაბეგრი შემოსავალი 1 500 ლარამდე;**

**ბ) მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები მრავალშვილიანი (სამი და მეტი შვილი) პირის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული დასაბეგრი შემოსავალი 3 000 ლარამდე, ხოლო მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ ერთ ან ორ შვილიან პირს კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული 3 000 ლარამდე დასაბეგრ შემოსავალზე გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი უმცირდება 50%-ით.**

| | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|
| 1 | 2 | 3 |
| | [illegible] A | |
| 1. | 01.41.1 [illegible] | [illegible] |
| | [illegible] D | |
| 2. | 17.51.1 [illegible] | [illegible] |
| 3. | 17.72.1 [illegible] | [illegible] |
| 4. | 18.22.1 [illegible] | [illegible] |
| 5. | 18.23.1 [illegible] | [illegible] |
| 6. | 18.24.1 [illegible] | [illegible] |
| 7. | 18.24.9 [illegible] | [illegible] |
| 8. | 28.51.1 [illegible] | [illegible] |
| 9. | 28.21.1 [illegible] | [illegible] |
| 10. | 28.75.2 [illegible] | [illegible] |
| 11. | 36.30 [illegible] | [illegible] |
| 12. | 36.62 [illegible] | [illegible] |
| | [illegible] G | |
| 13. | 50.20 [illegible] | [illegible] |
| 14. | [illegible] | [illegible] |
| 15. | [illegible] | [illegible] |
| 16. | [illegible] | [illegible] |
| 17. | [illegible] | [illegible] |
| 18. | [illegible] | [illegible] |
| 19. | [illegible] | [illegible] |
| | [illegible] | |
| 20. | [illegible] | [illegible] |
| | [illegible] | |
| 21. | [illegible] | [illegible] |
| 22. | [illegible] | 28 |
| 23. | [illegible] | 28 |
| 24. | [illegible] | |

დამატებითი ინფორმაციისათვის შეგიძლიათ მიმართოთ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას:

თბილისი
კრილოვის ქ. N15, 0102
ტელ: (+995 32) 93 61 01, 95 23 53
ფაქსი: (+995 32) 92 32 11

## ფორუმის დღის წესრიგი

**2 აპრილი, 2005**
**12:00 - 12:30 - გახნა,** 12:00 - 18:00 - გამოფენა, 12:45 - 17:45 - ფორუმი

[illegible]

| დრო | თემა | ორგანიზატორი |
|---|---|---|
| 12:45 - 13:30 | [illegible] | [illegible] |
| 13:45 - 14:30 | [illegible] | [illegible] |
| 14:45 - 15:30 | [illegible] | [illegible] |
| 15:45 - 16:30 | [illegible] | [illegible] |
| 16:45 - 17:30 | [illegible] | [illegible] |

[illegible]

| დრო | თემა | ორგანიზატორი |
|---|---|---|
| 12:45 - 13:30 | [illegible] | [illegible] XXI |
| 13:45 - 14:30 | [illegible] | [illegible] |
| 14:45 - 15:30 | [illegible] | [illegible] |
| 15:45 - 16:30 | [illegible] | [illegible] |
| 16:45 - 17:30 | [illegible] | [illegible] |

[illegible]

| დრო | თემა | ორგანიზატორი |
|---|---|---|
| 13:00 - 14:00 | [illegible] | [illegible] N42 |
| 14:15 - 15:15 | [illegible] | [illegible] |
| 15:30 - 16:30 | [illegible] | [illegible] |
| 16:45 - 17:45 | [illegible] | [illegible] |

[illegible]

| დრო | თემა | ორგანიზატორი |
|---|---|---|
| 13:00 - 14:00 | [illegible] | [illegible] |
| 14:15 - 15:15 | [illegible] | [illegible] |
| 15:30 - 16:30 | [illegible] | [illegible] |




**3 აპრილი, 2005**

[illegible]

| დრო | თემა | ორგანიზატორი |
|---|---|---|
| 13:00 - 13:45 | [illegible] | [illegible] |
| 14:00 - 14:45 | [illegible] | [illegible] |
| 15:00 - 15:45 | [illegible] | [illegible] |
| 16:00 - 16:45 | [illegible] | [illegible] |

[illegible]

| დრო | თემა | ორგანიზატორი |
|---|---|---|
| 12:00 - 13:00 | [illegible] | [illegible] |
| 13:15 - 14:15 | [illegible] | [illegible] CENN |
| 14:30 - 15:30 | [illegible] | GRID- [illegible] |
| 16:30 - 17:00 | [illegible] | [illegible] |

[illegible]

| დრო | თემა | ორგანიზატორი |
|---|---|---|
| [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] |

ჰარი პოტერი მეექვსედ



B3

პლატინიც კმაყოფილი გავისტუმრეთ



B4

საბედისწერო კოცნა



B8

# მუდმივად საჭირო სამოქალაქო საზოგადოება

A1 გვერდიდან

**- ამბობენ, სამოქალაქო სექტორს დაფინანსება შეუჩერდაო, მართალია?**

- ალბათ, ეს ხმები აშშ-ს განვითარების სააგენტოზე (USAID) ითქვა და ამ ხმებს რაღაც საფუძველი გააჩნია. ამ სტრუქტურის ზოგიერთი მოხელე ფიქრობს, რომ რადგან რევოლუცია მოხდა, რადგან ასეთი აჟიოტაჟია მსოფლიოში და საქართველო კონსოლიდირებული, განვითარებული დემოკრატიისაკენ გიგანტურ ნაბიჯებს დგამს, არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებამ თავისი ფუნქცია შეასრულა და დანარჩენი, ისე როგორც ნებისმიერ დემოკრატიულ ქვეყანაში, შიდა რესურსებით გაკეთდება. ეს ხელისუფლებაში მყოფმა ზოგიერთმა ადამიანმა ისე გაიგო, რომ სამოქალაქო სექტორი საჭირო აღარ არის. ეს აბსურდია, მთელი ამერიკა ამ სექტორზე დგას. უბრალოდ, საუბარია იმაზე, რომ თუ ქვეყანა განვითარებული და დემოკრატიულია, შიგნითვე მოიძებნება არასამთავრობო ორგანიზაციების საარსებო რესურსი.

**- კონკრეტულად რა მოიძებნება?**

- ეს არის სამთავრობო გრანტებიც, ადგილობრივი ბიზნესის დახმარებაც და არასამთავრობოთა შემოსავალიც.

**- და ეს ჩვენთან რეალურია?**

- რა თქმა უნდა, ამის საფუძველი არ არის და საქართველოში ჯერ არც კონსოლიდირებულ დემოკრატიაზე შეიძლება ლაპარაკი.

**- ეს იმის ბრალი ხომ არ არის, რომ ხელისუფლებამ, სადაც სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები გადაბარგდნენ, კარგად იცის ამ სეგმენტის შესაძლებლობები?**

- არ ვიცი, მაგრამ 90-იანი წლების პირველ ნახევარში, როდესაც არასამთავრობო სექტორზე დახმარება მოდიოდა, ექსპერტები ამბობდნენ, რომ ეს არის წვიმა, რომელიც სოკოებს ამოსვლაში ეხმარება. მერე წვიმა გადაიღებს, სოკოები კი რჩებიან და იზრდებიან. ეს ასე მოხდა უნგრეთში, ჩეხეთში, მეტ-ნაკლებად პოლონეთშიც. პოსტსაბჭოთა ქვეყნებში დონორული ორგანიზაციები მოღვაწეობას ამთავრებდნენ და საქმეში სხვა ტიპის საერთაშორისო დახმარებები ერთვებოდა. USAID-იც დსთ-ს ქვეყნებს ეხმარებოდა. ეს პროგრამა თავს ამოწურავს, თუ საქართველო სხვა ტიპის სახელმწიფოდ, საზოგადოებად ჩამოყალიბდება. ჰოდა, USAID-ის მოხელემ ჩათვალა, რომ საქართველოში სხვა ტიპის ხელისუფლება ჰყავთ. ჩვენ კი ვიცით, რომ ეს ასე არ არის.

**- ხელისუფლების ნაბიჯები კონსოლიდირებულ დემოკრატიამდე სვლას ჰგავს?**

- შეიძლება მიდის, მაგრამ ბორძიკით - ნაბიჯი წინ არის გადადგმული და ნაბიჯი - გვერდზე. ამავე დროს, გზის დასასრულამდე ძალიან შორია. ამდენად, სამოლქალაქო სექტორის დახმარება სასიცოცხლოდ აუცილებელია, რათა ქვეყენამ არ გადაუხვიოს კონსოლიდირებული დემოკრატიის გზიდან.

**- რა ახალი ამოცანების წინაშე დგას სამოქალაქო სექტორი?**

- არ მგონია, რომ არასამთავრობოთა მისია და სტრატეგია თვისობრივად უნდა გადაიხედოს. სხვადასხვანაირად შეიძლება ამის თქმა, მაგრამ კლიშე რომ გამოვიყენოთ, დღევანდელი მისია ქვეყანაში ეფექტური მმართველობის, გამჭვირვალობის, ანგარიშგების ხელშეწყობას გულისხმობს. ამის უკან კი დემოკრატიის, ადამიანის უფლებების დაცვის და კანონის უზენაესობის ფუნდამენტური პრინციპი დგას.

ცოტა ხნის წინ ესტონელი სტუმრები გვყავდა. ამ ქვეყანას დემოკრატიის მშენებლობის და ამ სფეროში სამოქალაქო საზოგადოების როლის დიდი გამოცდილება აქვს. ივორ ტალო ელექტრონული მმართველობის აკადემიას ხელმძღვანელობს, რაც ქაღალდების ბიუროკრატიიდან ელექტრომმართველობაზე გადასვლას ნიშნავს. ეს ძალიან უწყობს ხელს გამჭვირვალობას და კორუფციის წინააღმდეგაც სერიოზული ბერკეტია - ინტერნეტის საშუალებით მთავრობის გადაწყვეტილებების მონიტორინგი ხდება. ამ სფეროში ესტონეთი ბელგიასაც უსწრებს. ტალომ თქვა ის, რაც ყველასთვის კარგად არის ცნობილი - ძალაუფლება რყვნის და დიდი ძალაუფლება კი განსაკუთრებით. ხელისუფლებაში ყველაზე კარგი ადამიანებიც რომ იყვნენ, გადაწყვეტილების ვიწრო წრეში მიღების ტენდენცია მაინც ჩნდება. გამჭვირვალობის, ხელისუფლების ეფექტური მმართველობის პირველი ნიშანი არის ის, თუ რამდენად და რა საშუალებებით მონაწილეობს საზოგადოება გადაწყვეტილებების მიღებაში. ამისთვის მუდმივად საჭიროა სამოქალაქო საზოგადოება. ჯორჯ სოროსმა, რომლის დაფუძნებული ქსელის ერთ-ერთ ეროვნულ ფონდს ჩვენ წარმოვადგენთ და რომელსაც ყველა ბრუნვაში ახსენებენ, ბოლო დროს დაიწყო საუბარი იმის შესახებ, რომ ღია საზოგადოებას პრობლემები ამერიკაში აქვს და მთელი რიგი აქტივობები იქით არის მისამართი.

**- რადგანაც სოროსი ახსენეთ - თქვენი წინამორბედი ლომაიასადმი ანტაგონისტური დამოკიდებულება იყო. თქვენ ისე არ გლანძღავენ...**

- უარყოფით განწყობებს მეც ვაწყდები. ლომაიასადმი ეს დამოკიდებულება მხოლოდ იმიტომ არ იყო, რომ ფონდს ხელმძღვანელობდა - ის უფრო პოლიტიკურ პროცესებში პიროვნული აქტივობის გამო აღმოჩნდა ყურადღების ცენტრში.

**- მიგაჩნიათ, რომ ამგვარი აქტიურობის დრო აღარ არის?**

- როგორ არ არის, მაგრამ მინდა, რომ იმ რევოლუციური ეტაპიდან გამოსულები ვიყოთ. ფონდს აქვს ყოველდღიური საქმე, რასაც ამ ათი წლის მანძილზე აკეთებდა და ის არის გასაკეთებელი.

**- რეფორმები ზემოდან მოდის და საზოგადოება ამაში აქტიურ მონაწილეობას არ იღებს. ხელისუფლებისგან შეიძლება არ წამოვიდეს ხალხის გადაწყვეტილებებში ჩართვის ინიციატივა. რა უნდა მოიმოქმედოს ამ დროს არასამთავრობო სექტორმა, რომელიც დღეს ჩრდილშია გადასული?**

- სამოქალაქო სექტორზე სერიოზული პასუხისმგებლობაა. ვერ ვიტყვი, რომ 100-პროცენტიანი ეფექტურობით, მაგრამ გაცნობიერებულად ვმუშაობთ, რომ ინიციატივები და ზეწოლა ქვემოდან მომდინარეობდეს და საზოგადოებაც ავიყოლიოთ.

ლეგიტიმურობა - ეს კიდევ ერთი მოუხელთებელი ცნებაა, ის ხან არის და ხან - არა და ის ძალიან მალე შეიძლება დაკარგოს არჩეულმა ადამიანმა, თუკი საზოგადოებაში არ არის განცდა, რომ თვითონაც რაღაცნაირად მონაწილეობს გადაწყვეტილებების მიღებაში, მიმდინარე პროცესებში. დიახ, რეფორმები ყოველთვის ზემოდან ხორციელდება, საამისო ბერკეტები ზემოთ არის ხოლმე. მონაწილეობის მომენტი თუ არ არის, ზემოდან გატარებული რეფორმები ხალხის მიერ არ გათავისდება. დისკუსიები კარგად ორგანიზებული უნდა იყოს და არა ფორმალური ხასიათისა.

მაგალითს გეტყვით - ირაკლი ოქრუაშვილის შს მინისტრობის დროს პერუს ყოფილი შს მინისტრი ჩამოვიყვანეთ. ის ხელისუფლებაში რეფორმატორულ ტალღაზე მივიდა და წელიწადნახევარში არასამთავრობო სექტორს დაუბრუნდა. იგი ხალხს შეხვდა სამინისტროში, პოლიციის განყოფილებებში. ვაკის პოლიციის განყოფილებაში მას ვერ უპასუხეს, რამდენი მანქანა და რამდენი თანამშრომელი ჰყავთ და თან რომელიღაც საკნიდან ყვირილის ხმა ისმოდა. ის უცბად მიხვდა სიტუაციის სირთულეს. ამ კაცმა თქვა, რეფორმების ჩატარებისას რაღაცნაირად ვცდილობდით, საზოგადოებას, მაღალჩინოსან თუ რიგით პოლიციელებს დავკითხოდითო. ტელევიზიით სპეციალური ყოველკვირეული გადაცემა იყო, სადაც ჩნდებოდნენ რეფორმატორები, რეფორმის პოტენციური მომხმარებლები საზოგადოებიდან და საპოლიციო სტრუქტურიდან და ცდილობდნენ, რომ ყველა რეფორმატორული იდეა ამ საცერში გავლილიყო.

ჩემი ძველი პროფესიიდან სხვა მაგალითსაც მოვიყვან - როდესაც ბრიტანეთში თავდაცვის სტრატეგიულ მიმოხილვას აკეთებდნენ (რომლის ვალდებულებაც ჩვენ ნატო-ს წინაშე ავიღეთ და ეს გასაკეთებელი გვაქვს) - 6 000 ოფიცერი გამოიკითხა. ყველა სიმაღლიდან, ყველა სამრეკლოდან უნდა შეხედო მოვლენებს. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება გადაწყვეტილება ეფექტური იყოს და რაც მთავარია, საზოგადოების თვალში ლეგიტიმურად ჩაითვალოს.

ჩვენთან, განათლების სფეროში, შეიძლება, თავიდან იყო ელიტური მიდგომა. მერე, ნებსით თუ უნებლიეთ,



ხელისუფლებაში ყველაზე კარგი ადამიანებიც რომ იყვნენ, გადაწყვეტილების ვიწრო წრეში მიღების ტენდენცია მაინც ჩნდება. გამჭვირვალობის, ხელისუფლების ეფექტური მმართველობის პირველი ნიშანი არის ის, თუ რამდენად და რა საშუალებებით მონაწილეობს საზოგადოება გადაწყვეტილებების მიღებაში. ამისთვის მუდმივად საჭიროა სამოქალაქო საზოგადოება.

რეზერვის შექმნა-არშექმნის საკითხი უნდა გადაწყვიტონ პროფესიონალმა სამხედროებმა, ექსპერტებმა. მეც ასე ვიცი, რომ ბევრი სამხედრო ექსპერტი უარყოფითი მისაზრებისაა ასეთი რეზერვის შექმნაზე. ამიტომ ამ სფეროში დებატები უნდა შემდგარიყო და ემსჯელათ. სამწუხაროდ, გადაწყვეტილება სწრაფად მიიღეს.

ამ იდეამ მართლა გაიარა გაცხრილვა, საზოგადოებაც ფეხზე დადგა და ბევრმა აღიქვა, რომ ეს კონკრეტულად მას ეხება. ბევრია პოპულიზმიც, რეფორმისადმი უსამართლო ბრალდებებიც, მაგრამ მთლიანობაში შედგა პროცესი და ის, რაც მიღებულია, ბევრად უფრო ლეგიტიმურია.

ჩვენს ამჟამინდელ ხელისუფლებას ჰქონდა ლოგიკური შიში და დისკუსიების მიუღებლობა, რაც შევარდნაძის დროიდან ჩამოუყალიბდა. მაშინ უამრავი კომისია იქმნებოდა, ამ თვალსაზრისით საკმაოდ თავისუფალი იყო პრესა, მაგრამ არანაირი შედეგი არ მოჰყვებოდა.

**- ეს პროცესი ახლა რამ ჩაანაცვლა?**

- ახლა ძალიან სწრაფად და ვიწრო წრეში მიიღება გადაწყვეტილებები. ეს ნაბან წყალს ბავშვის გადაყოლებას ნიშნავს. აქ საჭიროა შუალედი, რომელიც განათლების რეფორმის დროს მოიძებნა, მაგრამ სხვა სფერო, სადაც ეს შუალედი მოიძებნა, აღარ მაგონდება.

**- რა ენაზე უნდა ილაპარაკოს ახალმა ოპოზიციამ ახალ ხელისუფლებასთან? იმ მოტივით, რომ პარტიებმა რესურსი ამოწურეს, საზოგადოებრივი ოპოზიციური მოძრაობაც შეიქმნა. ეთანხმებით?**

- პარტიებმა არათუ ამოწურეს თავისი შესაძლებლობები, არამედ, არც დაუწყიათ თავისი როლის შესრულება. საქართველოში არსებობდა პარტიების სახელი, მაგრამ არ არსებობდა შინაარსი. ეს იყო ან ახლობელმეგობრების ჯგუფი, ან პატარა ინტელექტუალთა კლუბი, ან ბიუროკრატიული დანამატი, სახელისუფლებო სტრუქტურა, რომელიც იმიტომ არის მრავალრიცხოვანი, რომ ყველას პატარა ლუკმა და ხელისუფლებასთან ახლოს ყოფნა სურს. ასე დაემართა "მრგვალ მაგიდასაც", "მოქალაქეთა კავშირსაც" და რაც მე ძალიან არ მინდა, მაგრამ ამგვარი ტენდენციები "ნაციონალურ მოძრაობაშიც" არის. ისევ და ისევ პარტიების ზრდასრულობაზეა დამოკიდებული, თუ როგორ წავა პროცესები ჩვენს ქვეყანაში. იმის გამო, რომ ბევრია თვითმიზნური გაერთიანებები, ან შედარებით მცირერიცხოვანი, ინტელექტუალური ჯგუფები, რომელსაც პარტიული სტრუქტურა სათანადო დონეზე არ აქვს...

**- მშობლიურ "რესპუბლიკურ პარტიას" გულისხმობთ?**

- თუნდაც. ეს თუ არ გამოსწორდა, არაფერი გამოვა. ამის გამოა, რომ ხან ჟურნალისტების, ხან არასამთავრობოთა და ათასნაირი მოძრაობები ქრებიან და ჩნდებიან. უნდა არსებობდნენ მრავალრიცხოვანი პარტიები შიდა დემოკრატიით, რომლებიც ლეგიტიმური წესებით იბრძოლებენ ხელისუფლებისთვის. პარტიისთვის ეს ბრძოლა ბუნებრივი თვისებაა, რაც არ აქვს და არც უნდა ჰქონდეს სამოქალაქო საზოგადოებას.

**- დღევანდელი ოპოზიციური სპექტრიც, ალბათ, ამიტომ არის ჭრელი...**

- ზოგადად პარტიული მშენებლობა დემოკრატიული, ცივილიზებული სტანდარტებით, საქართველოში ძალიან სუსტად არის განვითარებული. ის, რაც უკანასკნელ დრომდე საქართველოში ხდებოდა, ძალიან ჰგავდა მე-19 საუკუნის ესპანეთს, როდესაც იყო 2 პარტია, რომლებიც პირდაპირ იყვნენ გარიგებული, რომ გარკვეული ხანი ერთი მართავდა ქვეყანას და ის მიიღებდა ეკონომიკურ სარგებელს და გარკვეული ხანი - მეორე. ასეთი ტიპის სტაბილურობასა და მშვიდობას აღწევდნენ ხოლმე, მაგრამ, ეს იმდენად თვითმიზნური იყო, რომ რევოლუციებამდე მიდიოდნენ.

რაღაცნაირად ვერ მოხერხდა ტენდენციების გადალახვა, თორემ ყველა პარტიაში შეიძლება მოიძებნოს ჭკვიანი ადამიანი. "ახლები" იმდენად თვითმიზნური ორგანიზაციაა, რომ იდეოლოგია და ქმედებები ძალიან ცვალებადი აქვთ. მათში კოკა გუნცაძეს გამოვყოფდი, რომელსაც სემინარებზე შევხვედრივარ. "რესპუბლიკელებში" ხომ არიან და არიან ჭკვიანი ადამიანები. ბუნებრივია, არიან "ნაციონალურ მოძრაობაშიც" (თუმცა, ვერ გაიგებ, ვინ წევრია და ვინ - არა) - გიგა ბოკერიას, დავით ზურაბიშვილს სამოქალაქო განათლების და ღირებულებების ცოდნის თვალსაზრისით სხვა სკოლა აქვთ გავლილი. მათ სხვა სახეები ვერ შეედრებიან. მაგრამ, ცალკეული ადამიანები მთლიანობაში პროცესების გარდატეხას, ჯერჯერობით, ვერ ახერხებენ.

**- წელიწადია, გვესმის, რომ ჯარის აღმშენებლობაზე დიდი თანხები მიდის. ამგვარ გამალებულ დაფინანსებას არაერთგვაროვნად აღიქვამენ საქართველოში, რუსეთსა და დასავლეთში. რას გამოიწვევს ეს?**

- ნებსით თუ უნებლიეთ, დემოკრატიის გზიდან გადახვევა თუ არ მოგვიხდა, ეს პროცესები დარეგულირდება. სამხედრო აღმშენებლობის მიმდინარე პროცესი სამოქალაქო კონტროლის, გამჭვირვალობის, მიზანშეწონილობის თვალსაზრისით ბევრ კითხვას ბადებს. ამ კითხვებს დასვამს საერთაშორისო თანამეგობრობაც და საზოგადოებაც. ჯარი, ისე როგორც განათლება, თითოეულ ადამიანს ეხება. პატრიოტული იმპერატივი იქითკენ გვიბიძგებს, რომ ჯარი უკეთ იყოს მოვლილი, პოპულარული იყოს სამხედრო ფორმა და ამაზე ყველა თანხმდება. მაგრამ, არსებობს ძალზე მყიფე ზღვარი, რომ ეს ყველაფერი ზედმეტობაში არ გადავიდეს და მილიტარიზაციის სახე არ მიიღოს. ამ ზღვარის დარღვევის შემთხვევაში მეეჭვება, მილიტარიზებული, ავტორიტარული რეჟიმი მივიღოთ, რადგან ამის ტრადიცია საქართველოში არ არის (თუ არ გავიხსენებთ სტალინის ეპოქას, როდესაც საქართველო სხვა რაღაცის ნაწილი იყო). ამიტომ, სავსებით შესაძლებელია, ამან პაროდიის სახე მიიღოს. უნდა ჩაიდოს სერიოზული ბერკეტები, შეკავების მექანიზმები, რათა ზედმეტი არ მოგვივიდეს. უნდა ჩავეტიოთ იმაში, რაც არის დემოკრატიული სტანდარტი, უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკა დემოკრატიულ საზოგადოებებში. ჯერჯერობით, ნათლად არ ჩანს, რომ ამ სტანდარტებში ვეტევით.

დღეს ქვეყანას არ უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, თავდაცვაზე 300 მილიონამდე გაიღოს. 18 თუ 36 მილიონი იყო თევზაძის დროს და იმასაც ვერ უხდიდნენ. ცხადია, ეს რამდენჯერმე უნდა გაზრდილიყო, მაგრამ არა აქამდე.

**- არის ეს სოციალურ და სხვა მწვავე პრობლემებს მოკლებული ფული?**

- რა თქმა უნდა. ასეც რომ არ იყოს და ყველაფრის ფული გვქონდეს, სამხედრო ბიუჯეტის ერთბაშად ათმაგად გაზრდა ბადებს კითხვას - არის თუ არა მზად თავდაცვის სტრუქტურა, ეფექტურად გამოიყენოს ეს თანხები?

**- არის მზად?**

- არ ვიცი. უფრო ძველ დროს ვიცოდი, როდესაც ბედოვლათობისა თუ საზოგადოებრივი აზრის იგნორირების გამო ბევრი ინფორმაცია იდო ზედაპირზე. დღეს ეს სფერო ბევრად უფრო დახურულია.

**- ეს იმის ბრალიც ხომ არ არის, რომ ამ ხელისუფლებამ კარგად იცის საზოგადოებრივი აქტივობისა და გამჭვირვალობის ფასი?**

- შეიძლება. საზოგადოებრივი აქტივობების ფასიც ბევრად უკეთ იცის და სიტყვის, დაწერილი და დაუწერელი კანონების ფასიც. შევარდნაძის დროს იყო კანონი და კანონქვემდებარე აქტი, რომელიც ამ სფეროს ასაიდუმლოებდა. უტრირებულად რომ ვთქვა, ლამის სამხედრო ნაწილის ისტორიაც საიდუმლო ინფორმაცია იყო... მაგრამ, ამ აქტებს არავინ ასრულებდა, დღეს კი ვეჭვობ, ასრულებენ.

**- როგორც სამხედრო პოლიტიკისა და სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობების ექსპერტი, რას იტყვით რეზერვისტებზე? ჩემთვის ცნობილია, რომ პროფესიონალი სამხედროები ვერ ხედავენ ამ ბატალიონის ფუნქციას.**

- რეზერვის შექმნა-არშექმნის საკითხი უნდა გადაწყვიტონ პროფესიონალმა სამხედროებმა, ექსპერტებმა. მეც ასე ვიცი, რომ ბევრი სამხედრო ექსპერტი უარყოფითი მოსაზრებისაა ასეთი რეზერვის შექმნაზე. ამიტომ ამ სფეროში დებატები უნდა შემდგარიყო და ემსჯელათ. სამწუხაროდ, გადაწყვეტილება სწრაფად მიიღეს. შეიძლება იმიტომ, რომ ხელისუფლებაში მყოფმა ადამიანებმა ზოგადად იციან, რომ ქვეყანას უნდა ჰყავდეს რეზერვისტი, რომელიც სოციალური ფუნქციის მატარებელიც არის; მაგრამ როგორ უნდა გააკეთო, რომ ჯარი იყოს ეფექტური და პროფესიონალური, ამის ცოდნა, მომიტევონ, მაგრამ არც პრეზიდენტს აქვს, არც თავდაცვის მინისტრს და არც პარლამენტის თავდაცვის კომიტეტშია. სამხედრო ექსპერტების ცოდნა აუცილებლად უნდა გამოეყენებინათ. როგორც ვიცი, ასეთი ექსპერტიზის გამოყენება არ მომხდარა.

**- თითქოს საქმე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ჩარჩო ხელშეკრულების კონკრეტულ განხილვამდე მივიდა. ითქვა ბაზების გაყვანის 3-4 წლიანი ვადაც. რა მახეები შეიძლება დააგოს რუსეთმა და დააღწევს თუ არა ამას თავს ჩვენი ხელისუფლება?**

- ხელისუფლებას ძალიან ბევრი გამოწვევა ელის. ამიტომაც, ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში ჩართვა სამოქალაქო სექტორის აკვიატებული სურვილი არ არის. ეს ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარეობას - იყოს მეტი დიალოგი კონფლიქტებზე, რუსეთთან ურთიერთობებზე და ალტერნატიული აზრების მოსმენა სამხედრო რეფორმებზე. რა თქმა უნდა, არც ერთი ადამიანი და არც რომელიმე სექტორი ჭეშმარიტების მატარებელი არ არის. შესაძლოა, ხელისუფლების წარმომადგენლებმა დაგვიმტკიცონ, რომ ვცდებით, მაგრამ საჭიროა დიალოგი. რაც ახლაა, ის ზედაპირულ ხასიათს ატარებს და არ ჰგავს საექსპერტო მუდმივმოქმედ მუშაობას.

რაც შეეხება რუსეთს. რა თქმა უნდა, ეს პროცესი მარტივი არ იქნება. ჩანს, რომ რუსეთი მიდის დათმობებზე, როდესაც 4 წელზეა ლაპარაკი. თუმცა, 6 წელი კი გავიდა ამ ეტაპამდე. ღმერთმა ქნას, რუსეთს მეტი არაფერი უნდოდეს, ვიდრე ნიშნის მოგება - 1999 წლიდან მაინც ხომ 10 წელი ვიდექიო... არ გამოვრიცხავ, რომ რუსეთიდან ინიცირება თუ არა, სამხრეთ საქართველოში უარყოფითი პროცესების ხელშეწყობა წამოვიდეს, ან გამწვავდეს ენერგეტიკული პრობლემები, ან დიპლომატიურ არენაზეც შეეცადონ გართულებას - ეუთო-ს მისიის მონიტორონგის შეწყვეტას, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხის გადაწყვეტაში ეუთო-ს მისიის საქმიანობის დაბლოკვას, არაკონსტრუქციული როლის თამაშს და სხვა. გარდა ამისა, ღმერთმა იცის, რას წარმოშობს საქართველოში ინვესტიციების სახით რუსული ფულის შემოდინება.

**- თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ, ვინმე ამოწმებს, რა ფულს აბანდებენ საქართველოში?**

- საზოგადოებამ ჭორის დონეზე კი იცის, მაგრამ ჭორის უკან ჩანს საფუძველიც, რომ ერთი მხრივ, რუსული ბიზნესი იყო და რჩება კრიმინალიზებულად და მეორე მხრივ - უსაფრთხოების სტრუქტრებიდან გაკონტროლებულად. ასეთი ტიპის კაპიტალის შემოსვლა სერიოზული რისკია.

**- ხომ არ იქცევა საქართველო სხვადასხვა ქვეყნის სპეცსამსახურების ბრძოლის პოლიგონად?**

- ჩვენი ტერიტორია ბევრს აინტერესებს - ზოგს მხოლოდ მსოფლიოში სტაბილურობა და დემოკრატია სურს, ზოგს იმპერიული ნოსტლაგიები აქვს, ზოგს ნავთობის გამო და სხვა. ჩვენ კი ვართ სუსტები, მაგრამ ჩვენი ძალა იქნება გახსნილი თამაში და იმის მტკიცება, რომ ვაშენებთ დემოკრატიულ, ცივილიზებულ საზოგადოებას, სადაც ადამიანის უფლებები დაცულია. მაშინ ჩვენ გავიმარჯვებთ, რადგან არსებული ძალები ამ ტენდენციების წინააღმდეგ ბევრად სუსტები არიან და ღიად არ დაუპირისპირდებიან პროცესს.

**- აფხაზეთის ახალი ხელისუფლება ნიშნავს ახალ ხედვას?**

- ვფიქრობ, რომ კი, მაგრამ შეიძლება ყველაფერი ახალი კარგად დავიწყებული ძველი აღმოჩნდეს - ეს ისე, ფილოსოფიურად... რეალურად კი, ვინც სოხუმში დღეს ხელისუფლებაშია, უფრო გახსნილი გონების არის და ბევრად მეტი შანსია მათთან დიალოგისა, ვიდრე არძინბას დროს.

**- ათ წელზე მეტი გავიდა. აქაც და სოხუმშიც მოდის თაობა, რომელიც კონფლიქტში არ იყო ჩართული, მაგრამ მეორე მხრივ, არც საქართველოსთან ცხოვრების სიკეთეები უგრძვნია. ეს დიალოგს წაადგება თუ პირიქით?**

- ამას წინ კავკასიური სახლის გაზეთმა Кавказский Акцент გამოსცა აფხაზეთთან დაკავშირებული სტატიების კრებული. იქ არის ქართველი ეროვნულ-დემოკრატის მოგონებები, თუ რა ხდებოდა აფხაზეთში 1917-1921 წლებში, რომელიც ძალიან ჰგავს 1990-1991 წლებს.

მეორე მხრივ, ბაგაფში დიდხანს მუშაობდა თბილისში. მას ყოფით დონეზე მეგობრობის, ურთიერთობების ბევრი სიკეთე ახსოვს. ანუ ხალხი, ვინც ხელისუფლებაშია, სულაც არ არის საქართველოს არმცოდნე.

**- მაგრამ, ეს თაობა საქართველოს სიძულვილით გაიზარდა...**

- სიძულვილი იყო. ბევრ ქართველსაც აქვს პრეტენზია რუსეთის მიმართ, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ზოგადად რუსის მიმართ არის ეს დამოკიდებულება. ახალი თაობის აფხაზებიც მინახავს. მათ ბევრი რამ არ იციან საქართველოს შესახებ, მაგრამ აინტერესებთ საქართველო. ასე რომ, იქ დიალოგის საშუალებები არის.

**- ერთგვარი ტრადიციასავით არის - შევარდნაძის მმართველობის პირველ ხანებში ქვეყანა სწორედ მისმა საგარეო ურთიერთობებმა იხსნა. სამაგიეროდ, მაშინაც და ახლაც შიდა სოციალური, საკადრო და სხვა პრობლემები უმწვავესად დგას. როგორ აისახება შიდა ვითარება საგარეო იმიჯზე?**

- ეს ორი რამ შეიძლება, დროებით დასცილდეს ერთმანეთს, თორემ საბოლოოდ ერთმანეთზე აუცილებლად მოახდენენ გავლენას. ბოლო წლებში შევარდნაძე დილემის წინაშე აღმოჩნდა - შეენარჩუნებინა ურთიერთობა საგარეო მეგობრებთან, თუ - ქვეყნის შიგნით გართულებული ვითარებისთვის გადაეყოლებინა ეს მეგობრობა. მან ეს დილემა ვერ გადაწყვიტა. ეს ამოცანა ისევ დაგვიდგება, თუ სერიოზული ხელშესახები პროგრესი არ იქნა (რისი იმედიც არის) სასამართლო რეფორმაში, გამჭვირვალობა თავდაცვის სფეროში, მედიის დამოუკიდებლობის განმტკიცებაში. თუ ეს საკითხები დროში გაიჭიმა, აუცილებლად მოახდენს ზეგავლენას საგარეო ურთიერთობებზე - თუ შიგნით ყველაფერი კარგად არ არის, საგარეო ურთიერთობებს აზრი არ აქვს. მაგრამ, უნდა ვთქვათ, რომ მოგვარების მცდელობები არის. სოციალური ფონი რთულია, მაგრამ ნებისმიერი რეფორმა სოციალურად მტკივნეულია. ეს გაუარესება ყველა შემთხვევაში მოხდებოდა, რადგან ეფექტური მმართველობა სამუშაო ადგილების შემცირებას ითხოვს, ქალაქის იერსახის მოწესრიგებაც მტკივნეულია, პოლიციის გაუმჯობესებაც დანაშაულების ზრდას იწვევს, რადგან წყდება პოლიციასა და კრიმინალებს შორის წლობით დამყარებული ურთიერთობები. საზოგადოების წარმომადგენლები უნდა დავეხმაროთ ხელისუფლებას და განვუმარტოთ ხალხს ეს სირთულეები. ეს პროცესი მალე უნდა დაიძრას. სხვაგვარად, ერთი-ორი წელი და ისევ დადგება საკითხი, უნდა თუ არა სავალუტო ფონდს ჩვენთან თანამშრომლობა, უნდა თუ არა ნატო-ს წევრ ქვეყნებს უსაფრთხოების სფეროში ჩვენი დახმარება. იქიდან ცალსახა მესიჯია წამოსული, რომ საქართველოსგან ასობით ტანკი კი არ უნდათ, არამედ დემოკრატიული მართვის სისტემა, სადაც ჯარისკაცის უფლებაც დაცულია, საზოგადოებასაც არ აწევს ტვირთად და მით უმეტეს, მმართველად არ ევლინება ფორმიანი ადამიანი.




## კონცერტები

**რესტორანი "სითი"**
(ლეონიძის 8)
ჯგუფები: "მარგო" და "ტელესკოპი"
დას: 21:00 სთ.

## თეატრები

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
კიტა ბუაჩიძე
"მკაცრი ქალიშვილები"
რეჟისორი: გოგი ქავთარაძე
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
ლევან წულაძე
"სხვა მთვარე"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

**მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი**
დარიო ფო
"თავისუფალი წყვილი"
დამდგმელი რეჟისორი: ქეთი დოლიძე
დას: 19:00 სთ.

**სამეფო უბნის თეატრი**
ეჟენი იონესკო
"გაკვეთილი"
რეჟისორი: ლელა ჭინჭარაული
დას: 19:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
ფედერიკო გარსია ლორკა
"ბერნარდა ალბას სახლი"
რეჟისორი: გოჩა კაპანაძე
დას: 19:00 სთ.

**ქართული ფოლკლორის თეატრი "ნაბადი"**
სპექტაკლი-ისტორია "ნაბადი"
დას: 20:00 სთ.

## კინოთეატრები

**ამირანი**
"გარეკილები"
დას: 14:00; 14:00; 18:00; 20:00; 22:00 სთ.

**რუსთაველი**
"გარეკილები"
დას: 13:00; 17:30; 19:30; 21:30 სთ.

"ჰიჩი"
დას: 15:00 სთ.

## გალერეები

**ჯანაშიას სახელობის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმი**
"ოქრომრავალი კოლხეთი - მითი და რეალობა"
(ვანის გათხრების დროს აღმოჩენილი ნივთების ექსპოზიცია)

**TMS**
გოგა ჩანადირის ფოტონამუშევრები - "შრი-ლანკა - უბედურების ზონა"

**ქარვასლა**
გამოფენა "მიირთვით გემრიელად"

**ეროვნული გალერეა**
ვალერი მარგიანის ფერწერული ნამუშევრების გამოფენა

**ჰობი**
ზაალ სულაკაურის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**თანამედროვე ქართული ტექსტილის გალერეა "ათინათი"**
"მეტამორფოზები"
(თინა კლდიაშვილი და დავით მონავარდაშვილი)

**ორნამენტი**
მუდმივმოქმედი ექსპოზიცია "ტიხრული მინანქარი"

**კოპალა**
ირაკლი ცაბაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**ცენტრ-პოინტის გალერეა**
ლია ბაგრატიონის ნამუშევრების გამოფენა "ფორმის ფორმა"

**სემინარი**
"კავკასიური სახლი"
სემინარი "პოეტი ქალი და საზოგადოება: ქართული და ამერიკული გამოცდილება"
მომხსენებელი - პოეტი და მთარგმნელი
ლელა სამნიაშვილი
დას: 16:30 სთ.

## კლუბები

**ბერლინი**
ბრიტანეთის საბჭო წარმოადგენს:
ლონდონური ელექტროფანკის საღამო
Warp Records-ის დი-ჯეი ნედ ბეკეტი და ვი-ჯეები Flat-დან.
დას: 22:00 სთ.

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

# თეთრი ბაირაღები ბნელი სარდაფიდან

## ციხის საკანი და თბილი მოგონებები

სოფო კილასონია

*როცა დავფიქრდი, თუ რატომ არის ეს სპექტაკლი ყოველთვის აქტუალური და მაყურებლისთვის საინტერესო, ძია ისიდორემ ცნობილი მონოლოგის კითხვა დაიწყო და მივხვდი - ჩვენ ხომ ყოველთვის თეთრი ბაირაღების ფრიალზე ვოცნებობთ და ამიტომაც გვესმის ნოდარ დუმბაძის გმირებისა, სულ ერთია, როდის ცოცხლდებიან ისინი და რომელ სცენაზე. თეატრალური სარდაფის რეპერტუარს გოგი ქავთარაძის მიერ განხორციელებული ნოდარ დუმბაძის "თეთრი ბაირაღები" შეემატა.*


გოგიტა ბუხაიძის ფოტო

29 და 30 მარტს სარდაფში ციხის საკანი მოაწყვეს და ყველა დროის საყვარელი პატიმრები: ტიგრანა და მოშიაშვილი, შოშია და ლიმონა, სხვა დანარჩენი და, რაღა თქმა უნდა, ნაკაშიძე, სულ სხვა სახეებმა და ხმებმა აალაპარაკეს. "თეთრი ბაირაღები" - სპექტაკლი, რომელიც უკვე მრავალი ათეული წელია, ქართულ თეატრს ვერ ელევა, სარდაფის ახალგაზრდა მაყურებელსაც ძალიან ჰყვარებია. მისი მრავალი თეატრალური ვერსიისა და დაუვიწყარი კინოფილმის მიუხედავად, ნოდარ დუმბაძის ეს ნაწარმოები თანამედროვე რეჟისორის ყურადღებას ისევ იპყრობს და გოგი ქავთარაძე, წარსულში ნაკაშიძე, რეტროსპექტაკლს დგამს.

რუსთავის თეატრიდან წამოსვლის შემდეგ გოგი ქავთარაძეს არ ჰქონია სცენა, რომელზეც საკუთარ 18 მსახიობთან ერთად არ იმუშავებდა და იმ სპექტაკლებს არ გადმოიტანდა, რომლებიც თავის დროზე რუსთავში დადგა. სარდაფის ხელმძღვანელობის გულმხურვალე მასპინძლობა რომ არა, გოგი ქავთარაძის მსახიობებს საკუთარი პროფესია დაავიწყდებოდათ, ხოლო რეჟისორი მხოლოდ პედაგოგიურ მოღვაწეობას დასჯერდებოდა. "მკაცრი ქალიშვილების" შემდეგ "თეთრი ბაირაღები" მეორე სპექტალია, რომელსაც რუსთავის თეატრის ყოფილი მსახიობები სარდაფში (რუსთაველზე) თამაშობენ და საკმაო წარმატებითაც.

სარდაფში ფარდა არ არის. ასე რომ, არც არაფერი იწევა. მხოლოდ მკრთალი შუქი და პირველი ფრაზებია ის, რის შემდეგაც მაყურებელი შედარებასა და მოგონებას იწყებს. სწორედაც რომ ადარებს და კრიტიკულ მზერას არ აკლებს ახალგაზრდა მსახიობებს. "ჰბაძავს თუ სხვანაირია?" - პირველი ბუნებრივი კითხვაა მათთვის, ვისაც "თეთრი ბაირაღები" სცენაზე ან ეკრანზე მაინც უნახავს. თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ ეს პროცესი მალე მთავრდება, რადგან ჯერ სრულიად ახლებურად დანახული ქურდი ლიმონა გვხიბლავს (რომელსაც რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის ახალგაზრდა მსახიობი ზურა ინგოროყვა ასრულებს), შემდეგ - ზაზა ნაკაშიძე (სოსო ელიზბარაშვილი) საკუთარი დამაჯერებლობით და ნელ-ნელა სხვებსაც ვენდობით. ბოლოს კი ძია ისიდორეს ტიპაჟი აგვაღელვებს, რომელსაც ახალგაზრდა მსახიობი ზვიად დოლიძე ასრულებს, თუმცა წარმოდგენის დროს მის ხნოვანებაში ეჭვი არავის შეუტანია.

ციხე რის ციხე იქნებოდა, მეორე მოქმედების ბოლოს სინათლე რომ არ ჩამქრალიყო და სარდაფი სიბნელეს არ მოეცვა. ამ შემთხვევისთვის თეატრზე უკეთ მაყურებელი ყოფილა მომზადებული. მსახიობებს მაყურებელთა დარბაზიდან მინათებული სანთებელებისა და ფარნების შუქზე კარგა ხანს მოუხდათ თამაში, თუმცა, ოდნავ დაბნეულთ ჩვენი ტაში და ჩუმი შეძახილები ამხნევებდათ. ბოლოს სცენა მაინც განათდა, ბნელი საკანი გაიღო და ნაკაშიძეს თავისუფლებამ დაუძახა. წარმოდგენა დასრულდა, ოღონდ ოდნავ შეცვლილი აქცენტით. უფრო სწორად, იმის ხაზგასმით, რომ ქურდებისა და მკვლელების საკნიდან უდანაშაულო პატიმარმა მხოლოდ სიკეთე და თბილი მოგონებები წაიღო.

სპექტაკლის შემდეგ, რომელმაც თითქმის სამ საათს გასტანა, დარბაზში კიდევ ცოტა ხანს დავიცადეთ და რეჟისორსა და საგულდაგულოდ გაშავებულ ტიგრანას გავესაუბრეთ: **"მას შემდეგ, რაც რუსთავის თეატრიდან წამოვედით მე და ჩემი თვრამეტი მსახიობი, ისე მოხდა, რომ სრულიად უპატრონოდ დავრჩით. მსახიობები სხვადასხვა საქმით დაკავდნენ, მე კი მხოლოდ თეატრალურ ინსტიტუტში ვმუშაობდი. ამ დროს თეატრალური სარდაფის ხელმძღვანელობამ ძალიან კარგი ჟესტი გააკეთა - კარი გაგვიღო და სპექტაკლების ამ სცენაზე გადმოტანა შემოგვთავაზა. რუსთავში ჩვენ საკმაოდ სერიოზული რეპერტუარი გვქონდა: "ჰამლეტი", "აღმაშენებელი", "მკაცრი ქალიშვილები" და სხვა. "თეთრი ბაირაღებიც" გადმოტანილი სპექტაკლია, თუმცა ისე მოხდა, რომ თითქმის მთლიანად ახალი შემადგენლობაა. ჩემთვის ყველაზე სასიხარულო ის არის, რომ ყველა ჩემი ყოფილი სტუდენტია."** - თუმცა, ყველაფერ ამით როდი შემოიფარგლება ის, რაც ბატონმა გოგიმ გვითხრა და რასაც იგი თბილისელ თეატრალებს უმზადებს: ყაზბეგის გამზირზე არსებულ საშენ მასალათა კომბინატის ყოფილი კინოთეატრის შენობას, რომელსაც დღემდე "შანხაის" ვეძახით, სულ მალე ახალი სახელი დაერქმევა - "ახალი თეატრი", რომელსაც რეჟისორი გოგი ქავთარაძე უხელმძღვანელებს.

# მიირთვით ახალი ხელოვნება

თეონა ჯაფარიძე

თუ ვწერთ ხელოვნებაზე, ვწეროთ ხელოვნებზე, ყოველგვარი სოციალურ-პოლიტიკური ფონის წინაშე ვალის მოხდისა და პირადი სიმპათია-ანტიპათიების დემონსტრირების გარეშე, როგორც ეს დღეს მოდაშია. ზედმეტი "იწილობიწილო" არ დაგვჭირდება იმიტომ, რომ ნამდვილი თანამედროვე ხელოვნება თავისთავად ისედაც გულისხმობს სოციალურ-პოლიტიკურ ფონში პროვოკაციულ შეჭრას. ჩვენ საკმარისია, ვნახოთ და აღვწეროთ ნანახი, მკითხველის რეაქცია თავისთავად მოვა.

გუშინ ქარვასლაში - "თბილისის ისტორიის მუზეუმის საგამოფენო დარბაზში სამი არც ისე ცნობილი მხატვრის საკმაოდ პროვოკაციული გამოფენა გაიხსნა. იმდენად პროვოკაციული, რომ საგამოფენო დარბაზში უცებ დაცვის თანამშრომლებსაც კი მოვკარი თვალი. ახალგაზდები, რომლებიც გამოფენის დარბევით იმუქრებოდნენ და რომლებიც დაცვამ გააძევა, საპატრიარქოს სახელით მოქმედებდნენ. მათი აგრესიის მიზეზი თორნიკე ჭაფოძის ინსტალაცია, უფრო კონკრეტულად კი, პერფორმანსი აღმოჩნდა: - მხატვარმა ყველას თვალწინ, არც მეტი არც ნაკლები, ბიბლია შეჭამა. თავად ნამუშევარი კი ასე გამოიყურებოდა - უნიტაზი, ტუალეტის ქაღალდები, ბიბლია და ვიდეომონიტორზე მოცურავე თევზები ზღვის ფსკერის ასოციაციით. **"დავჯექი და სახარება შევჭამე. პრინციპულად ახსნა-განმარტებებს არ ვიძლევი. შემეძლო, ეს ქუჩაში გამეკეთებინა, მაგრამ ეს გალერეაში გავაკეთე. ფაქტობრივად, ნამუშევარი შევჭამე."** - ამბობს მხატვარი და დიდი ახსნა-განმარტება ნამდვიალად არ სჭირდება ჩვენში მომძლავრებული რელიგიური ფუნდამენტალიზმისადმი მხატვრის ასეთი ფორმის პასუხს. თუმცა, ჩვენი რეალობიდან გამომდინარე, მოსალოდნელია გამოფენის დარბევის მცდელობას გაგრძელებაც მოჰყვეს...


გოგიტა ბუხაიძის ფოტო

ზურა აფხაზაშვილის "იდეალური სახლი" ვიდეოარტია ორმაგი გამოსახულების ეფექტითა და ნაღმებით ანუ ცელოფნის პარკებში სათუთად ჩაწყობილი ნაკელით. "ჩვენ მონიტორებიდან ყოველდღიურად გარემომცველი მოვლენების მზამზარეულ ხედვას გვაწოდებენ. იმდენად გავზარმაცდით, რომ აღარ გვსურს, წამოვდგეთ, პულტი მოვიმარჯვოთ და სხვა სამყაროც დავინახოთ, რადგან გვეშინია, რომ ყოველი ჩვენი წამოდგომა და ქმედება ასეთი ტიპის "ნაღმების" აფეთქებას გამოიწვევს. და ჩვენც მხართეძოზე წამოწოლილები განვაგრძობთ შემოთავაზებული სამყაროს შემოთავაზებულ ხედვას."

გიორგი ტაბატაძის ნამუშევარს "მარილის ობიექტები" ჰქვია. ეს მარილის სქელი ფენით დაფარული ყოველდღიური ნივთებია: - მაგიდა, ქოთნის ყვავილი თუ ვენტილატორი. დარბაზის შესასვლელში მარილის ცარიელი ყუთები ყრია. ესეც მხატვრის რეაქციაა უკვე დამარილებული, დაკონსერვებული ტრადიციებისადმი ჩვენი საზოგადოების დაუსრულებელი ლტოლვის საპასუხოდ.

მათი გამოსახვის ენა თანამედროვეა, ანუ ვიდეოარტი, ობიექტები და ინსტალაციებია. ერთი სიტყვით, ქარვასლაში მისული დამთვალიერებელი, ანუ საზოგადოება უფრო საკუთარ თავს იხილავს, ვიდრე ტრადიციულად მოვარაყებულ ჩარჩოში ჩასმულ ფერწერულ ნახატს. ბევრის რეაქცია, შესაძლოა, ზემოთ ხსენებული რწმენისა და მორალის სახელით მომქმედთა იდენტურიც კი იქნას, მაგრამ ეს ბუნებრივია. ყოველ შემთხვევაში ყველას შეგიძლიათ გემო გაუსინჯოთ ახალ ხელოვნებას. გამოფენასაც ხომ ასე ქვია - "სადილი ყველასათვის". ასე რომ მიირთვით.

# ნატიფი და კეთილშობილი

## თამაშში გარდასახული თიხა

ვერა ნეფარიძე

*"ცენტრ-პოინტის გალერეა" ლია ბაგრატიონის უჩვეულო კერამიკული კომბინაციებით შექმნილი ნამუშევრების გამოფენას მასპინძლობს. გამოფენა "ფორმის ფორმა" აქ გუშინ გაიხსნა და პრესტიჟულად ცნობილი გალერეის დამთვალიერებლებს მისი ნახვის შესაძლებლობა ერთი თვის განმავლობაში ექნებათ.*

აქ წარმოდგენილი კერამიკული ნივთები თუ კომპოზიციები სიახლის თვალსაზრისით საინტერესო იქნება თბილისური გალერეების მუდმივი სტუმრებისთვის; მით უმეტეს, თუ ისინი არ დასწრებიან ექვსი თვის წინათ "ქარვასლაში" ლია ბაგრატიონის ნამუშევრების რიგით პირველ გამოფენას თბილისში. მაშინდელ ექსპოზიციას ავტორმა რამდენიმე ახალიც შემატა და შედარებით პატარა სივრცეში (რის საშუალებასაც იძლევა "ცენტრ-პოინტის გალერეის" პირველი დარბაზი) გამოფინა.

"აბსოლუტურად ნატიფი, ხაზგასმული ზომიერება და კეთილშობილება - ეს არის ის მთავარი, რის გამოც ლია ბაგრატიონი მოხვდა ამ გალერეაში", - ამგვარად ახსნეს მესვეურებმა გუშინდელი სტუმრის მიწვევა გალერეაში, რომელიც როგორც თავად ამბობენ, გადაწყვეტილი ჰქონდათ, რომ გახსნის დღიდანვე (სამი თვის წინათ) პრესტიჟული იქნებოდა. პრესტიჟულობას, მოგეხსენებათ, თბილისში (და ალბათ არა მარტო ჩვენთან) სხვადასხვა რამ განსაზღვრავს. ამიტომ, გალერეაში აზუსტებენ, რომ მთავარი მათთვის ხარისხია და პრესტიჟულ ტიტულს გამოფენა თუ ავტორიც სწორედ ხარისხის ნიშნის მიხედვით იმსახურებს.


ვახო ბ... ფოტო

რით იმსახურებს ლია ბაგრატიონის ექსპოზიცია ხარისხის მაღალ ნიშანს? ისევ და ისევ გალერეის მესვეურების (კონკრეტულად კი ქალბატონ ირინე გუნცაძეხოშტარიას) მოსაზრებას გაგიმხელთ: "მასალიდან, რომელსაც იყენებს ლია ბაგრატიონი, ანუ თიხიდან, ხელოვანი შემოქმედებით პროცესში აღწევს სრულიად ახალ ფორმას; ხდება გარდასახვა ახალ ფორმად, ახალ რეალობად და ასევე მაქსიმალურადაც გამოვლინდება მასალის შესაძლებლობები. ამიტომაც ჰქვია ამ გამოფენას "ფორმის ფორმა".

ლია ბაგრატიონმა თბილისში თავისი პირველი გამოფენა სექტემბერში "ქარვასლაში" მოაწყო; თუმცა, მანამდე, 2001 წელს, ჰქონდა შეერთებულ შტატებში, ერთ-ერთ კერამიკულ სტუდიაში. თიხაზე მუშაობა 2000 წელს დაიწყო. "კერამიკის ფაკულტეტი მაქვს დამთავრებული, მაგრამ თიხაზე პირობების გამო არ მიმუშავია - უშუქობა, ომები, ათასი სხვა რამ, ალბათ, ცოტა მეზარებოდა კიდეც. მოგვიანებით დავიწყე და ჯერჯერობით ვაგრძელებ", - ამბობს თავად ლია ბაგრატიონი. პირობებს რაც შეეხება, არც ამჟამად აქვს საკუთარი სახელოსნო. ნამუშევრებს მხატვართა კავშირთან არსებულ კერამიკულ კომბინატში ქმნის.

გალერეაში წარმოდგენილი ნამუშევრები, ძირითადად, წითელი თიხითა (ყველაზე იაფი კერამიკული მასალა) და შამოტისგან (მაღალი გამოწვის თიხა) არის დამზადებული; არის როგორც კომპოზიციები, ისე სხვადასხვა დანიშნულების ნივთები. ერთ-ერთია კომპოზიცია სახელწოდებით "ფული", რომლის შესახებაც ავტორი მეუბნება: "ამ კომპოზიციის შექმნისას პირველ რიგში მაინტერესებდა, როგორი გამოვიდოდა წითელი თიხისა და ოქროსგან უჩვეულო კომბინაცია; როგორც წესი, ოქროს იყენებენ ფაიფურზე. თანაც, მინდოდა მეჩვენებინა საკუთარი დამოკიდებულება, რომ ფული სხვა არაფერია, თუ არა ქაღალდი, რომელიც ოქროთი უზრუნველყოფს სახელმწიფოს. მეც აი, ყველაზე იაფი კერამიკული მასალა წითელი თიხა ამ რაოდენობის ოქროთი უზრუნველვყავი"; აქვე ნახავთ პენელოპეს ჩხირებს, პატარა კაცუნებსა და ათასგვარ რამეს. თავად ავტორი კი ამ ყველაფერს, რომელსაც უფრო მაღალფარდოვნად შემოქმედებით პროცესს უწოდებენ ხოლმე, თამაშად აღიქვამს.

# შოუ გრძელდება

## Queen-ი ევროტურნეს იწყებს



მას შემდეგ, რაც 1991 წელს ლეგენდარული ფრედი მერკური უკურნებელი სენისგან გარდაიცვალა, ჯგუფ Queen-ის წევრები მთლიანად ჩამოშორდნენ სასცენო მოღვაწეობას და მხოლოდ სოლო-პროექტების განხორციელებით იქცევდნენ თავს. თუმცა, მათი საქმიანობა უმეტესად შეუმჩნეველი რჩებოდა. ამიტომ ჯგუფის სამმა ლეგენდამ ჩრდილიდან გამოსვლა და თაყვანისმცემლებისთვის თავის შეხსენება გადაწყვიტა.

20 წლის განმავლობაში პირველად ბრაიან მეი, როჯერ ტეილორი და ჯონ დიკონი ევროპულ ტურნეს გამართავენ. ისინი იმედოვნებენ, რომ მერკურის გასაგები მიზეზებით არყოფნის გამო, ტურნე წარმატებით ჩაივლის და მელომანების მოთხოვნებს სრულად დააკმაყოფილებენ.

ჯგუფი კონცერტებს გამართავს პარიზში, მადრიდში, ბარსელონაში, ფლორენციაში, მილანში, ვენაში, ლაიპციგში, პრაღასა და ჰამბურგში. მუსიკოსები აგრეთვე ესტუმრებიან ბუდაპეშტს, სადაც 1986 წელს Queen-მა "მაგიური ტურნე" - Live in Budapest მოაწყო. პორტუგალიასა და ჰოლანდიაში გამგზავრებამდე ჯგუფი სამშობლოში დაბრუნდება და მაისში რამდენიმე კონცერტს ჩაატარებს.

ამჟამად Queen-ის თაყვანისმცემელთა შორის იმ ასაკის მსმენელიცაა, რომელსაც არასდროს მოუსმენია ფრედი მერკურის ცოცხალი შესრულება. თუმცა, ჯგუფის ახალი ალბომი მაინც იხილეს. 1995 წელს მუსიკოსებმა ჩაწერეს კომპიუტერული ალბომი Made in Heaven, რომელშიც მერკურის ცოცხალი ხმა ჟღერს. Queen-ის ბევრი თაყვანისმცემელი მიიჩნევს, რომ ალბომი ჯგუფის ერთ-ერთი საუკეთესო ნამუშევარია, რაც ჰიტ-აღლუმების მონაცემებშიც აისახა ("24 საათი" არ იზიარებს ამ მოსაზრებას).

შარშან Queen-ი ახალი წევრით შეივსო. ინგლისური ჯგუფების "ფრის" და "ბედ კომპანის" ყოფილი ვოკალისტი პოლ როჯერსი ჰარმონიულად შეერწყა "ბებერ კოლექტივს". ვეტერანი როკმენები არ აპირებენ შეჩერებას და უახლოეს მომავალში ახალ ალბომს ჩაწერენ.

# ჰარი პოტერი მეექვსედ



ზაფხულში რიგგარეშე ახალი წელი ბავშვებს კიდევ ერთხელ დაუდგებათ. "ჰარი პოტერის" ახალი წიგნი რამდენიმე თვეში გამოვა. მანამდე კი რამდენიმე ცნობა:

პირველი, ახლად დასტამბული წიგნების რაოდენობა ისეთი დიდია, რომ მთელ ჰოგვარტსს ეყოფა. გამომცემლობა "სქოლასტიკის" ინფორმაციით, პირველ ჯერზე გაყიდვაში 10.8 მილიონი ეგზემპლარი გამოვა. ასეთი რამ კი ამერიკას არ ახსოვს. "ჰარი პოტერი და ნახევარ-სისხლიანი პრინცი" პირველი სქელყდიანი წიგნია, რომელიც ასეთი დიდი ტირაჟით გამოვა. რეკორდებში მეორე ადგილზეც როულინგის ნაწარმოები დგას - "ჰარი პოტერი და ფენიქსის ორდენი". მისი პირველი გამოცემის ტირაჟი 2003 წელს 8.5 მილიონი ეგზემპლარი იყო.

"ზედმიწევნით საფუძვლიანი კვლევა ჩავატარეთ, "ჰარი პოტერზე" მოთხოვნის ხარისხი რომ დაგვედგინა. შედეგები მართლაც ფენომენურია", - აცხადებს "სქოლასტიკის" საბავშვო წიგნების ოფისის ხელმძღვანელი ბარბარა მარკუსი.

"ნახევარ-სისხლიანი პრინცი" უკვე "ამაზონის" და "ბარნს ენდ ნოუბლის" ვებ- გვერდზებზეც ბესტსელერია. წინასწარი აურზაურის ატეხვას გამომცემლობა "სქოლასტიკმა" დიდი ენერგია და ფული დაახარჯა. "ნიუ იორკ ტაიმსი" "ჰარი პოტერის" თემაზე კროსვორდს დაბეჭდავს, თაიმს სქვერზე დაიდგმება დიდი ბილბორდი, რეკლამები განთავსდება პოპულარულ საძიებელ ვებ-გვერდებზე, ისეთზე, როგორიც არის Google, და განთავსდება "ამერიქან ეარლაინსისა" და "კონტინენტალ ეარლაინსის" ყველა რეისის თვითმფრინავშიც.

ცხადია, საგანგებო ღონისძიებებს გეგმავენ წიგნის მაღაზიებშიც. 16 ივლისის შუაღამეს - წიგნის გამოსვლის დროს - თითქმის ყველა მაღაზია სტუმრებს დაუვიწყარ სანახაობას ჰპირდება.

"ჰარი პოტერი და ნახევარ-სისხლიანი პრინცი" შვიდი დაგეგმილი წიგნიდან მეექვსეა. უკვე გამოქვეყნებული ხუთი ტომიდან შესული საერთო მოგება კი 250 მილიონ დოლარს უდრის. "ჰარი პოტერი" 62 ენაზეა თარგმნილი.

# ჰიტლერი ისრაელში ჩადის

## მაგრამ შეიძლება არ შეუშვან




გამუდმებული ტერაქტებითა და საომარი მდგომარეობით შეწუხებული ისრაელი მელე, შესაძლოა, ახალი დაპირისპირების კერად გადაიქცეს. გერმანელი რეჟისორის ოლივერ ჰირშბიგელის ფილმი "დაცემა" წელს "ოსკარზეც" იყო წარდგენილი უცხოენოვანი ფილმის ნომინაციაში, თუმცა, ეს ვერ დაეხმარება მისი ნამუშევრის ისრაელის კინოგაქირავებაში ჩაშვებაში.

არ არის გამორიცხული, რომ ქვეყანაში სახალხო კენჭისყრაც ჩაატარონ იმის გასარკვევად, სურთ თუ არა ებრაელებს ამ ფილმის ნახვა. ასეთ გადაწყვეტილებამდე ხელისუფლება იმანაც მიიყვანა, რომ ე.წ. დახურული ჩვენებისას ადგილობრივ კინოკრიტიკოსებში "დაცემაში" შექმნილმა ჰიტლერის სახემ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია.

"დაცემა" ადოლფ ჰიტლერის ცხოვრების უკანასკნელი 12 დღის შესახებ მოგვითხრობს. სიუჟეტი ფიურერის მდივან ტრაუდლ იუნგეს მოგონებების მიხედვით შეიქმნა. მან მხოლოდ ჰიტლერის თვითმკვლელობის შემდეგ დატოვა ბუნკერი. ამიტომ კარგად მოეხსენებოდა, რით იყო დაკავებული მისი შეფი.

თითქმის სამსაათიან ფილმში არაფერია ნათქვამი "საპნისმწარმოებელი" ბუნკერების შესახებ. ჰიტლერი მხოლოდ ერთ ეპიზოდში ტრაბახობს იმით, რომ მსოფლიო ებრაელებისგან გაათავისუფლა, დანარჩენ დროს შოკოლადის ტორტის მირთმევასა და თანამებრძოლებთან უწყინარ ბაასს უთმობს.

ფილმმა არანაკლები პოლემიკა გამოიწვია გერმანიაში გამოსვლის შემდეგაც. საქმე ისაა, რომ ვერც ფაშიზმის დამღით გატანჯულმა გერმანელებმა აიტანეს ის, რომ ჰირშბიგელმა ფიურერის ყოფითი ცხოვრება აღწერა და ნაკლებად შეეხო ფაშიზმის პრობლემას. თუმცა, განსხვავებული აზრი აქვს ისტორიკოს იოაჰიმ ფესტს, რომელიც მიიჩნევს, რომ მსახიობმა ბრუნო ჰანცმა ჰიტლერი იმდენად საშიშ ადამიანად განასახიერა, რომ ფილმის ყურებისას სისხლი გეყინება.

როგორც გერმანელი კრიტიკოსები აცხადებენ, "დაცემის" გადაღებით ის ტაბუ მოიხსნა, რომელიც გერმანულ კინემატოგრაფში ჰიტლერის შესახებ ფილმის გადაღებას კრძალავდა. მსოფლიო კინოში კი პირველი შემთხვევაა, როდესაც ფიურერი ფილმის მთავარ გმირად გვევლინება, თანაც, არა როგორც მყვირალა დემაგოგი, არამედ როგორც წყნარი მეოცნებე.

ზოგი ებრაელი კრიტიკოსი მიიჩნევს, რომ სახალხო კენჭისყრა ფილმის რეკლამირებისთვის აგორებული კამპანიაა, რადგან მის შესახებ უკვე ძალიან ბევრი დაიწერა. ამას არ ეთანხმება ფილმის გამქირავებელი კომპანია, რომელიც მიიჩნევს, რომ "დაცემას" საუკეთესო პიარი "ოსკარზე" წარდგენით გაუკეთდა.

"დაცემა" გერმანული კინოს ყველაზე მსხვილბიუჯეტიანი ფილმია. მისი გადაღებები ბერლინში, მიუნხენსა და სანქტ-პეტერბურგში მიმდინარეობდა.

# შინედ ო`კონორი ბობ მარლის სტილში



ირლანდიელი მომღერალი მშობლიურ მუსიკალურ ფესვებს დაშორდა - მხოლოდ და მხოლოდ ასეთი დასკვნის გამოტანა შეიძლება ინფორმაციიდან, რომელსაც "ესოშიეიტიდ პრესი" ავრცელებს. ირკვევა, რომ შინედ ო`კონორი უკვე ერთი კვირაა, იამაიკაში, კინგსტონში იმყოფება, სადაც თავის ახალ ალბომს წერს რეგის სტილში. თანაპროდიუსერის სლაი დანბარის თქმით, კრებულის პრეზენტაცია ამ ზაფხულს შედგება. ალბომში შევა იამაიკელ მომღერლებთან ერთად ჩაწერილი დუეტები. შინედი იმღერებს რეგის ყველაზე ცნობილი საპროტესტო სიმღერების თავის ვერსიებს: ბობ მარლის War-ს, პიტერ ტოშის Downpressor Man-ს, ბუმინგ სპირსის Marcus Garvey-ს. ცხადია, ეს სიმღერები შინედ ო`კონორის სახელს ბევრს ვერაფერს შეჰმატებს. დღემდე ამ მომღერალს 1991 წელს გამოსულ ჰიტთან Nothing Compares 2 U-ს აიგივებენ და მის ხსენებაზე 1992 წელს გადაცემა Saturday Night Live-ში მომხდარი ახსენდებათ, როცა პირდაპირ ეთერში ო`კონორმა იოანე პავლე მეორეს ფოტო დახია. ვნახოთ, როგორი იქნება მისი ალბომი რეგის ჟანრში.

ნინია კაკაბაძის სვეტი

# რეკლამა და სინამდვილე



არცთუ ისე ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე, 2004 წლის 4 იანვარს პირველად, სრული თავდაჯერებით, დარწმუნებით და შეგნებით მივიღე მონაწილეობა საპრეზიდენტო არჩევნებში (ბუნებრივია, როგორც ამომრჩეველმა) და ხმა მივეცი საქართველოს პრეზიდენტს ბატონ მიხეილ სააკაშვილს. ამ შემთხვევაში მე გამონაკლისი არ ვყოფილვარ, დღეს რომ კიდევ ერთხელ ჩატარდეს არჩევნები, კიდევ ერთხელ მივეხმარები მას ჩემი ბიულეტენით. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ დღეს მე კმაყოფილებას ვერ ვმალავ ჩემი ქვეყნის პრეზიდენტის თუ მისი მთავრობის მიმართ. ეს უკანასკნელი (მთავრობა) სრულ აღშფოთებასაც იწვევს. ნოემბრის მოვლენების შემდეგ პატარა ილუზიაც კი შემექმნა იმასთან დაკავშირებით, თითქოს ქართველი ადამიანი (პოლიტიკოსი) სულიერად და მორალურად "გაიზარდა", თუმცა, ისიც სულ მალე დაიმსხვრა. ამიტომაც გასაგებია და ძალიან ქართულია ის, რომ ნაწილს დღევანდელი მინისტრებისა, პარლამენტარებისა, დიდი თუ პატარა ჩინის წარმომადგენლებისა - ზოგს გამდიდრება აქვს მიზნად დასახული, ზოგს - მეტი ძალაუფლების მოპოვება, ზოგს კი - იმ მინიმუმის შოვნა, რომ "ნაშებში" იგრიალოს და "კაი დრო გაატაროს".

აი, მაგალითად, უდიდეს პატივისცემას იმსახურებს ახალგაზრდა პარლამენტარი გიორგი არველაძე, რომელმაც თბილისური დისკოკლუბების დამკვირვებლად "დაიწყო" მუშაობა. გართობა და მუშაობა ხომ იდეალური ნაზავია, ეს ხომ თანამედროვე პოლიტიკოსის ახალი ქართული ხატია. ევროსაბჭოს ასამბლეიდან ხელფეხგაშლილი, ცეკვა-თამაშით მორბის და სამშობლოს სადარაჯოზე დგება. პრაქტიკულად, თანამედროვე პოლიტიკოსებში გიორგი არველაძე ნოვატორია, რომელსაც მაგალითს, შედარებით თავშეკავებული ფორმით, თავად პრეზიდენტი აძლევს. "სახალხო პირები" საზოგადოებასთან მუდმივად უშუალო კონტაქტში არიან - როგორც ჩანს, არველაძემ თინეიჯერობა და "სვეტსკი" დაჯგუფებები აილო საკუთარ თავზე. მაგალითად, გუდაურის სასტუმრო "მარკო პოლოსთან" მხოლოდ მანქანები და გვარები შეიცვალა, სასტუმრო ისევ მთავრობის წევრებით არის სავსე. ისვენებენ და გადაღლილებს ნამდვილად ეკუთვნით, მაგრამ საქმე ის არის, რომ მათი ოფიციალური ხელფასი არ ჰყოფნის მათ ფეშენებელურ დასვენებას, ამიტომ რიგ შემთხვევაში პრეტენზიებსაც კი გამოთქვამენ მაშინ, როდესაც სასტუმროს ხელმძღვანელობა მათ ფულს ართმევს. ასეა თუ ისე, გაჭირვებით და სპორტული შემართებით მაინც ახერხებენ მოზღვავებული ენერგიის გადახარჯვას. მაგალითად, როგორც ეტყობა, დავით კეზერაშვილს ნამდვილად არ ჰყოფნის ხელფასი ადამიანური დასვენებისთვის და, სასტუმროს ხელმძღვანელობაზე სხვადასხვა მიზეზით გულგატეხილი, როგორც შევიტყვე, ფინანსურ პოლიციას გზავნის და მოსამართლის ნებართვის გარეშე, სრულიად უკანონოდ, შავქურთუკიანი თანამშრომლების დახმარებით, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით თავდაყირა აყენებს მთელ სასტუმროს. აბა, რად უნდა ნებართვა, თავად არის საკუთარი თავის ნება. ყოველ შაბათ-კვირას, ბატონ დავითს მეგობრებთან, მეგობრის შვილებთან და მთავრობის სხვა წევრებთან თუ პარლამენტარებთან ერთად ძვირად ღირებულ სასტუმროში ნახავთ. ასე ისვენებდა შევარდნაძის მთავრობაც და ჩვენ რატომ უნდა ვიყოთ ნაკლებად სპორტულები.

ზოგადად, არ შემიძლია არ ვთქვა: წინა ხელისუფლებასთან განსხვავება ნამდვილად არის, ერთი წინ გადადგმული ნაბიჯიც არის - თუ შევარდნაძის ჩინოვნიკები ნაშოვნ ფულს სახლ-კარის აგებაში დებდნენ, სააკაშვილის მთავრობა საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ კაი დროსტარებაში დებს. გემრიელი ქართული, ევროპული თუ აღმოსავლური კერძებით თავის განებივრებაზე ვერც ერთი მათგანი ვერ ამბობდა და ამბობს უარს. ჩვენი ლეგენდად ქცეული პრეზიდენტი კი, შთაბეჭდილება იქმნება, რომ მთელ თავის პოტენციას მოგზაურობასა და დროს ტარებაში ათავსებს. ქართული სრიალით, სირბილით, ცეკვით, ღიმილით, ადამიანებთან ურთიერთობის კულტურით, ენების ცოდნით, სიტყვა-პასუხით (სამწუხაროა, ფორტეპიანოზე რომ ვერ უკრავს) მთელი სამყარო მონუსხა. შემდეგ მონუსხულთა შთაბეჭდილებებს თავად გვიამბობს ბრიფინგებზე, ვინ რა უთხრა, ვინ რას შეჰპირდა, ვის როგორ მოეწონა, მას ვინ მოეწონა და სხვა. მოკლედ, ჩემი ქვეყნის პრეზიდენტი კმაყოფილია და რა უფლება მაქვს, მე არ ვიყო კმაყოფილი, მეც მახარებს მისი პირადი წარმატება.

ამასობაში ქვეყანაში მისი რეიტინგი საგრძნობლად დაეცა. რამდენად სახალხოც არ უნდა იყოს სააკაშვილი და მისი მთვარობა თუ პარლამენტი, ჩვენ, უბრალო მოკვდავებს მაინც მეტად გვიწევს ხალხთან ურთიერთობა, სამარშრუტო ტაქსით მგზავრობა, მაღაზიაში თუ ქუჩაში გამვლელი ხალხის მოსმენა და უკვე აღარც ეს არის აუცილებელი, რადგან რამდენიც არ უნდა ეცადოს დღეს ხელისუფლება, მედიის დახმარებით წინა ხაზზე პოზიტივი წამოწიოს, მაინც ველარ იმალება უკმაყოფილო ხალხის არსებობა. რამდენიმე დღის წინ სააკაშვილი ბრიფინგზე აცხადებს, რომ ის არც შევარდნაძეა და, მით უმეტეს, არც აკაევი, და მას ვერსად გადააგდებენ. ეს არც მე მინდა და, ალბათ, ჯერ მაინც არ არსებობს ამის რეალური შანსი, მაგრამ საშიშროება რომ ჩნდება, ესეც ფაქტია. საკმაოდ ხშირად ისმის ფრაზა: "როგორც მოვიყვანეთ, ისე გავაგდებთ". და თუ ის არ გაამართლებს ხალხის მოლოდინს, ქვეყნის ხელმძღვანელის ადგილზე ყოფნის არავითარი მორალური უფლება აღარ ექნება. კიდევ ერთხელ გავიმეორებ: დღეს, არჩევნების ხელმეორედ ჩატარების შემთხვევაში, ჩემს ხმას კვლავ მიხეილ სააკაშვილს მივცემდი, რადგან ჯერ კიდევ მჯერა, რომ მას გულწრფელად სურს საქართველოსთვის უკეთესი მომავალი. მაგრამ სცენარი ისევ მეორდება. ხანდახან საკუთარ თავს იმ ადამიანების ამპლუაში ვხედავ, ვინც ამბობდა: რა ქნას შევარდნაძემ, ყველაფერს კი ვერ გააკონტროლებსო. თუ ნაკლებს ვისეირნებთ ჩარტერული რეისებით, ნაკლებს ვისაუბრებთ საკუთარ გენიალურობაზე და მეტად დავკავდებით ქვეყნის საშინაო პრობლემებით (ასევე მინისტრების საქმიანობის გაკონტროლებით), იქნებ მეტი საქმე გაკეთდეს და მოსახლეობისთვის იმის თქმა აღარ დაგვჭირდეს, "შეეგუეთ, ხალხო, სინათლე არ გექნებათ". დიდი მადლობა გულწრფელობისთვის. ხალხის ბუნტი კი რეალური იმიტომ მეჩვენება, რომ მათ ელექტროენერგია არა აქვთ და იმ "სარეკლამო" გამოსვლებს ვერ ისმენენ, რომლითაც სისტემატურად გვანებივრებს პრეზიდენტი. მიხეილ სააკაშვილის დეცენტრალისტური პათოსით გაჟღენთილი გამოსვლები, სამწუხაროდ, რეალობას არ შეესაბამება, საქართველო მხოლოდ თბილისის ცენტრი არ არის, თბილისის გარეუბნებსა და, მით უმეტეს, რაიონებში კი არა აქვთ არსებობისთვის აუცილებელი მინიმუმი: **წყალი, პური, ელექტრონი, გაზი და ა.შ.** ასე რომ, არც ისე კარგად არის საქმე, როგორც პრეზიდენტი გვარწმუნებს და არც სარეცხი ფხვნილი "არიელია" ისეთი კარგი, როგორც ამას რეკლამაში გვეუბნებიან.

ფეხბურთი

# პლატინიც კმაყოფილი გავისტუმრეთ




მიხეილ აბაიშვილი

ვისაც ფეხბურთთან ოდნავი შეხება მაინც აქვს, დამეთანხმება, რომ უახლოესი დღეების განმავლობაში ბურთის, სტადიონის, ფეხბურთელის და, საერთოდ, სპორტის ამ სახეობასთან დაკავშირებული არც ერთი სიტყვის გაგონებაც კი აღარ სურს. დარტყმა, რომელიც ქართული ფეხბურთის (თუ ასეთი არსებობს) სამყარომ მიიღო, იმდენად მძიმეა, რომ გონზე მოსასვლელად კარგა დიდი დრო იქნება საჭირო. სამსახურებრივი მოვალეობა რომ არა, თვით მიშელ პლატინის პრესკონფერენციასაც არ დავესწრებოდი, პლატინისა, რომლის თამაშმაც შემაყვარა ფეხბურთი და, 1982 წლიდან მოყოლებული, საფრანგეთის ნაკრების ერთგულ გულშემატკივრად მაქცია.

უეფას პრეზიდენტობის ალბათ ყველაზე რეალური კანდიდატი, 80-იანი წლების ფეხბურთის ლეგენდა, ზედიზედ სამჯერ (1983, 84, 85 წლებში) ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი, ალენ ჟირესის ახლო მეგობარი პლატინი 30 მარტს, გამთენიისას ესტუმრა საქართველოს და ამ ერთი დღის განმავლობაში ბევრი რამ მოასწრო. შეხვდა საქართველოს პრეზიდენტს, საგარეო საქმეთა მინისტრს, არაოფიციალურ ვითარებაში სტუმრად იყო მცხეთაში, ბიზნესმენ ელგუჯა ბუბუტეიშვილთან, საღამოს კი საქართველოს ნაკრების მორიგი სამარცხვინო მარცხის მომსწრეც გახდა.

გუშინ პლატინი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობასთან ერთად დიდ დიღომში მდებარე ბასა ღოღობერიძის სახელობის ეროვნული ნაკრები გუნდების ტექნიკურ ცენტრს ეწვია. ცენტრის დათვალიერების შემდეგ კი პრესკონფერენცია გამართა.

ფრანგებს ზრდილობა და ეტიკეტი არ ესწავლებათ. პლატინიმაც, რევერანსების სტილში, ბევრი სასიამოვნო და ალბათ დაუმსახურებელი ქათინაური გვითხრა როგორც საქართველოს, ისე ჩვენი ფეხბურთის მისამართით.

"ეს ჩემი პირველი ვიზიტია საქართველოში და ბედნიერი ვარ, რომ აქ ვიმყოფები. ჩემი მეგობრის ალენ ჟირესისა და სხვების მონათხრობით, ჩამოსვლამდეც ბევრი რამ ვიცოდი თქვენი ქვეყნის შესახებ. რომ ჩამოვედი, დავრწმუნდი ალენის სიტყვების სიმართლეში. ლამაზი ქვეყანა გაქვთ, კარგი ხალხი ცხოვრობს, რომელსაც სტუმარმასპინძლობა არ ეშლება და ფეხბურთიც ძალიან უყვარს", - კომპლიმენტები არ დაიშურა პლატინიმ.

გაგიკვირდებათ და, პლატინის საქართველოს ნაკრებიც მოსწონებია.

"ძლიერი მეტოქეები გყავდათ - ევროპის ჩემპიონი საბერძნეთი და მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორი - თურქეთი. გულწრფელად გეტყვით, დღეს საქართველოს ნაკრები ამ გუნდებზე სუსტია და მათთან მარცხიც ტრაგედიად არ უნდა აღიქვათ. საფრანგეთის ნაკრების მაგალითი ავიღოთ. მიუხედავად იმისა, რომ უმაღლესი კლასის ვარსკვლავებით არის დაკომპლექტებული, ძალიან უჭირს გოლების გატანა და მატჩების მოგება. საფრანგეთი გაცილებით სუსტ ქვეჯგუფში მოხვდა, ვიდრე საქართველო. თქვენს ქვეჯგუფში ოთხი უმაღლესი კლასის გუნდია - საბერძნეთი, თურქეთი, დანია და უკრაინა, საფრანგეთს კი შვეიცარია, ირლანდია და ისრაელი ჰყავს მეტოქეებად. ამის გათვალისწინებით, მოხიბლული ვარ საქართველოს ნაკრების თამაშით. მართალია, მტკივნეული მარცხი განიცადეთ, მაგრამ გუნდს ეტყობა, რომ ჩამოყალიბების სტადიაშია და მალე დიდ ფეხბურთს ითამაშებს", - აღნიშნა პლატინიმ.

საფრანგეთის ნაკრების ყველა დროის საუკეთესო მეათე ნომერმა საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის, მისი მეგობრის ღირსებებზეც ისაუბრა.

"ალენი ჩემი ახლო მეგობარია და ეს სიტყვები შეიძლება ვინმემ მიკერძოებაში ჩამითვალოს. ჟირესი არის ადამიანი, რომელსაც უსაზღვროდ უყვარს ფეხბურთი. მას მუშაობის კარგი სტილი აქვს. ამ საქმეში ხელს ისიც უწყობს, რომ თავისი ეპოქის გამორჩეული, დიდი ფეხბურთელია. ბოლო ოთხი დღის განმავლობაში მომხდარი ჩავარდნების მიუხედავად, იმედი მაქვს, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე მუშაობისას იგი სერიოზულ შედეგებს მიაღწევს და თქვენს ნაკრებს ძლიერ გუნდად, ნებისმიერი მეტოქისთვის ანგარიშგასაწევ ძალად აქცევს", - მხარი დაუჭირა მეგობარს პლატინიმ. შემდეგ სტუმარს ჰკითხეს, უეფას პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში პრეზიდენტის რანგში ერთ-ერთი პირველი ვიზიტით საქართველოს ეწვევა თუ არა.

"იმისგან დამოუკიდებლად, უეფას პრეზიდენტი გავხდები თუ არა, საქართველოში კიდევ არაერთხელ ჩამოვალ. გარდა იმისა, რომ ეს ქვეყანა მართლაც ძალიან მომეწონა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტთან მერაბ ჟორდანიასთან მეგობრობა მაკავშირებს. გუშინ შევხვდი საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს და დავინახე, რომ თქვენი ქვეყნის პირველ პირს ფეხბურთის ბედი ძალზე აღელვებს. ჩვენ კარგა ხანს ვისაუბრეთ საქართველოში ფეხბურთის განვითარების პერსპექტივაზე. მოხარული და ნასიამოვნები ვარ, რომ მის აღმატებულებას ბატონ პრეზიდენტს არც ჩემი მიზნები დავიწყებია - მან წარმატება მისურვა უეფას პრეზიდენტის არჩევნებში", - განაცხადა პლატინიმ, რომელსაც ხსენებულ არჩევნებში საქართველოს ხმა უკვე გარანტირებული აქვს.

პრესკონფერენციის შემდეგ სფფ-ს პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ კომენტარი გააკეთა იმ მოსალოდნელ სანქციებზე, რომელსაც ფიფა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წინააღმდეგ მიმართავს.

"საბერძნეთთან და თურქეთთან თამაშებამდე გაცილებით ადრე, მედიის ყველა საშუალებით დავიწყეთ იმის პროპაგანდა, რომ სტადიონიდან საგნების სროლის შემთხვევაში ფიფა უმკაცრეს სანქციებს მიმართავდა. სამწუხაროდ, ამ მუშაობამ შედეგი ვერ გამოიღო - ფიფა ძალიან მკაცრად აპირებს ჩვენს დასჯას. დღეს მიჭირს იმაზე საუბარი, თუ რა სანქციებს მიმართავს ეს ორგანიზაცია. თუმცა, ის კი შემიძლია განვაცხადო, რომ ამის თაობაზე ფიფადან უკვე მივიღეთ წერილობითი შეტყობინება. უახლოეს დღეებში ფიფა განიხილავს სტადიონზე მომხდარი უწესრიგობების საკითხს და გადაწყვეტილებასაც მიიღებს. ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ რამდენიმემატჩიან დისკვალიფიკაციას და ფულად ჯარიმას დაგვიწესებენ", - განაცხადა ჟორდანიამ.

პლატინიმ კი გუშინ ქართველ ვეტერან ფეხბურთელებთან ერთად მინიფეხბურთი ითამაშა, არაოფიციალურ გარემოში, წვეულებაზე ქართული ღვინო დააჭაშნიკა და დღეს, გამთენიისას დატოვა საქართველო.

# ვერის ბაღლები



# პლატინიმ ვერ გვიშველა

## "რა ფედერაციაცაა, ის ფეხბურთია და ის მაყურებელი"

რუბრიკას უძღვება
ნინო სვანიძე

*ჩვენი რუბრიკის რესპონდენტებს - გოგი დემეტრაძესა და ვერნი ალფაიძეს საქართველოსა და თურქეთის ნაკრებების მატჩის დამთავრებისთანავე სტადიონზე ვესაუბრეთ. გვინდოდა, გულშემატკივართა ცოცხალი ემოციები აგვესახა; მატჩის წინ, როგორც ბევრი ქართველი, ბუნდოვან, გულუბრყვილო და სრულიად უარგუმენტო იმედს ჩვენც ვიტოვებდით, რომ ზემოხსენებული ემოციები, ძალიან დადებითი თუ არა, იმედიანი მაინც იქნებოდა, მაგრამ... საქართველოს ნაკრების სამარცხვინო დამარცხების შემდეგ სტადიონზე გამეფებულმა აგრესიულმა ფონმა, რომელმაც მატჩის დამთავრებისთანავე კულმინაციას მიაღწია და ძნელად გასარკვევი გახდა, ბოთლებისა და ქვების მსროლელი მაყურებელი მეტოქის გუნდს ერჩოდა, ქართველ ფეხბურთელებს, ფედერაციას თუ საკუთარ თავს (ყოველ შემთხვევაში, ბოლოს უბანი უბანზეც კი იწევდა), ხოლო ჩვენი ინტერვიუ სპეცრაზმელების დამცავი ფარების გარემოცვაში შედგა, გასაგებია, რომ ერთადერთი ემოცია, რაც ჩვენმა რესპონდენტებმა გამოხატეს, აღშფოთება იყო...*

**გოგი დემეტრაძე:** "ესეც ჩვენი თეორიული შანსი! რა თეორიულ შანსზეა ლაპარაკი, როდესაც მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. თეორიულად მეც შეიძლება ოდესმე კოსმოსში გავფრინდე - ზუსტად ასეთივეა ჩვენი ნაკრების თეორიული შანსიც; და ასეც იქნება, ვიდრე თავის მოტყუებას არ მოვრჩებით; პლატინი ჩამოვიდა და ის გვიშველის, მსაჯები ჩვენ მოგვიდგებიანო, - ვიდრე ასეთი ლოგიკით დავიწყნარებთ თავს, აი, ასეთი ფეხბურთი გვექნება და მისივე შესაფერისი მაყურებელი"...

**ვერნი ალფაიძე:** "თან შეცდომები შეცდომებზე - მე, მაგალითად, ნაკრებში არ დავაყენებდი იმ ლეგიონერ ფეხბურთელს, რომელიც თავის გუნდში ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება. ამის ნათელი მაგალითია აშვეთია, რომელიც აშკარად მოუმზადებელი იყო. დაახლოებით ასეთ მდგომარეობაში არიან სხვებიც - ერთი გოგუა დარბის და ისიც ძალიან უხეში მოთამაშეა; თავისი უხეშობის მოთოკვა თუ ვერ ისწავლა, არაფერიც არ გამოუვა. ისე, გოგიმ იწინასწარმეტყველა, - მაგას დღეს გააგდებენო, - და ახდა კიდეც. დაცვას საერთოდ არ უთამაშია; კობიაშვილი რას ჰგავდა - გოლიც ხომ მაგის ბრალი იყო"...

**გოგი დემეტრაძე:** "ასეა - "ვარსკვლავები" გვყავსო, - რომ ამბობდნენ; ბერძნებს ვარსკვლავები არ ჰყავთ, მხოლოდ მწვრთნელი ჰყავთო; საინტერესოა, ჩვენ ვინღა გვყავს - მე, პირადად, ჟირესზე შექმნილი ლეგენდისაც არასოდეს მწამდა. ექსპერიმენტები აღარ გვეყო? - ამ კაცს, ფაქტობრივად, არსად არასოდეს მწვრთნელად არ უმუშავია; საქართველოს ნაკრები პირველი გუნდია, რომელთანაც ექსპერიმენტს ატრებს და, როგორც ჩანს, არ გაამართლა"...

**ვერნი ალფაიძე:** "არა, აშკარად კვალიფიკაცია არ ჰყოფნის - დაცვა ვერ დააყენა და, საერთოდ, შემადგენლობა; მოუმზადებელი ფეხბურთელის გუნდში დაყენება დიდი შეცდომაა. თან, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ყველა დაბნეულია - არ იციან, ვერ ხვდებიან, ვინ რომელ ამპლუაში უნდა ითამაშოს. მოკლედ, ძალიან ბევრი ყოფილი კარგი ფეხბურთელი მინახავს, მწვრთნელად რომ არ უვარგია. ჟირესი უცხოელიაო, - ეს რა არგუმენტია?! ჩივაძის გუნდს გაუჭირდებოდა 2:5-ის წაგება თუ რა"?!

**გოგი დემეტრაძე:** "მოკლედ, ჟირესი ღრმა აზროვნების მქონე მწვრთნელად არასოდეს მიმაჩნდა და ბოლო მოვლენებმა ჩემი ეს შეხედულება კიდევ უფრო გააღრმავა...

ფეხბურთელებს რაც შეეხებათ, დღეს მეტ-ნაკლებად რაციონალური თამაში აჩვენა იაშვილმა - არა მხოლოდ იმიტომ, რომ გოლი გაიტანა; ვფიქრობ, სხვებთან შედარებით ეს ერთი კაცი ჩანდა მოედანზე"...

**ვერნი ალფაიძე:** "აბა, კობიაშვილს საქარველოს ნაკრებში არც ერთი მატჩი ნორმალურად არ უთამაშია. გახსოვთ, ამას წინათ მახო ასათიანმა რა კარგად ითამაშა, იმის წინა - კიდევ უკეთ. ერთი სიტყვით, ეს ერთადერთი ფეხბურთელია, რომელიც, ასე თუ ისე, აწყობს გუნდის თამაშს; ჰოდა, ასათიანი თურქეთიდან წინასწარ ჩამოსულმა მზვერავებმაც ხომ ნახეს და, ხედავდით კიდეც, სამი კაცი იჭერდა; ჩვენი მცველები კიდევ, მიაღებინებენ ბურთს, თან წამრთმევებიც ვერ არიან და მეტოქე ყველა თავისუფლად მიღებულ ბურთს გოლად აქცევდა. როგორ შეიძლება, მცველმა მთელი ორი ტაიმი მეტოქეს ბურთი თავისუფლად მიაღებინო. წესით, მცველები მგლებივით უნდა იყვნენ...

ან არველაძის დაყენება რა იყო წინა თამაშზე - ის რუსი მწვრთნელი რომ ამბობს, მე არ დავაყენებ ისეთ ფეხბურთელს, რომელსაც თავის გუნდში ადგილი არა აქვსო, - სულელი ხომ არ არის?! ევროპის ჩემპიონს რომ ეთამაშები, უფრო სერიოზული მიდგომაა საჭირო"...

**გოგი დემეტრაძე:** "ბერძნებზე უკეთ თურქებმა ითამაშეს - მე ამათი თამაში უფრო მომეწონა"...

**ვერნი ალფაიძე:** "...თურქებმა წინასწარ დაგვზვერეს, გვნახეს და - იმიტომ; სხვათა შორის, ჩვენებმაც დაზვერეს თურქები, მაგრამ ისინი მიხვდნენ, ვინ დაეჭირათ, რა ტაქტიკით ეთამაშათ ჩვენთან, ჩვენ კი, სამწუხაროდ, ისევ ვერაფერს მივხვდით"...

**გოგი დემეტრაძე:** "ჩემი აზრით, თურქებმა ყველა თვალსაზრისით შესანიშნავად ითამაშეს, მიუხედავად იმისა, რომ ევროპის ჩემპიონები არ არიან; ოღონდ, ისიც უნდა ითქვას, რომ დღეს ჩვენი ნაკრები ყირგიზეთის ან ნიკარაგუის ნაკრებს რომ შეხვდეს, იმათთანაც წააგებს. სამწუხაროდ, ასეთია რეალობა. იძახონ ახლა, - პლატინი, გვიშველეეეე!!! პლატინის ჩამოყვანა უკანასკნელი რეკლამა იყო ფედერაციისთვისაც და სახელმწიფოს მეთაურისთვისაც"...

**ვერნი ალფაიძე:** "და კიდევ ერთი - ამაღამ რუსეთი გადასცემს ამ მატჩს და, იმედი მაქვს, საინტერესო კომენტარებს გააკეთებენ; ყოველ შემთხვევაში, ამ თამაშის სხვისი შეფასების მოსმენა ღირს; ვურჩევ ყველას, ვინც პასუხს აგებს დღევანდელ სამარცხვინო მდგომარეობაზე: კარგად მოისმინონ ის კომენტარები, გაითვალისწინონ და დაფიქრდნენ - ახლაც და საერთოდაც".

BRITISH AIRWAYS

მიიღეთ მონაწილეობა გაზეთ 24საათის და მისი პარტნიორი ავიაკომპანია ბრითიშ ეარვეისის ვიქტორინაში და მოიგეთ ორი ბილეთი ლონდონის მიმართულებით!

ქვემოთ მოყვანილი კითხვებისათვის ზუსტი სწორი პასუხი, ამოჭრილი გაზეთის კუპონთან ერთად დაუბრუნეთ ბრითიშ ეარვეისის თბილისის ოფისში (მისამართი: თავისუფლების მოედანი 4, ... ტელ: 94 07 19/20) 2005 წლის 12 აპრილის 17:00 საათამდე. სწორი პასუხები გათამაშებაში ... ბრითიშ ეარვეისის თბილისი-ლონდონი-თბილისის ორი ბილეთით.

გათამაშება ჩატარდება 2005 წლის 15 აპრილს, 17:30 საათზე ... გამარჯვებულები ... მიიღებენ ტელეფონით.

ინფორმაცია ვიქტორინის მონაწილის შესახებ:
სახელი, გვარი
ასაკი
ტელეფონი
სამსახურის ტელეფონი (აუცილებელი არ არის)
ელექტრონული ფოსტის მისამართი

* გაზეთ "24 საათის" და ბრითიშ ეარვეისის თანამშრომლებს ... ვიქტორინაში და ... მონაწილეობის მიღება არ შეუძლიათ.

1. კვირაში რამდენ რეისს განახორციელებს ბრითიშ ეარვეისი თბილისსა და ლონდონს შორის 2005 წლის 28 მარტიდან?
1. კვირაში ერთ რეისს
2. კვირაში სამ რეისს
3. ყოველდღიურ რეისებს

2. კვირის რომელ დღეებში განხორციელდება ბრითიშ ეარვეისის რეისები თბილისსა და ლონდონს შორის 2005 წლის 28 მარტიდან?
1. ყოველ სამშაბათს
2. ყოველ ორშაბათს, ოთხშაბათსა და შაბათს
3. ყოველდღე

3. დღის რომელ მონაკვეთში შესრულდება ბრითიშ ეარვეისის რეისები თბილისსა და ლონდონს შორის?
1. დილით
2. საღამოს
3. შუადღისას

4. ბრიტანეთის რომელ აეროპორტში მიფრინავს ბრითიშ ეარვეისი თბილისიდან?
1. ლონდონი-გატვიკი
2. ლონდონი-ჰითროუ
3. ლონდონი-ლუტონი

5. რომელი ტიპის თვითმფრინავით ხორციელდება თბილისი-ლონდონი - თბილისის რეისები?
1. აერობუსი 320
2. ბოინგ 747
3. კონკორდი

6. კვირაში რამდენი დღე განსახლდება(?) ღია ბრითიშ ეარვეისის თბილისის ოფისი?
1. ხუთი
2. ექვსი
3. შვიდი

7. სად მდებარეობს ბრითიშ ეარვეისის თბილისის ოფისი?
1. სასტუმრო შერატონ-მეტეხი-პალასში
2. ლესელიძის 44-ში
3. სასტუმრო ქორთიარდ-მარიოტის მიმდებარე ... კომპლექსში

8. დაასახელეთ რეისის ხანგრძლივობა თბილისსა და ლონდონის ... აეროპორტს შორის.
1. ხუთი საათი
2. ცხრა საათი
3. თორმეტი საათი

9. რამდენი სამგზავრო კლასია აერობუს 320-ის სალონში თბილისი-ლონდონი-თბილისის რეისებზე?
1. ერთი: ეკონომ-კლასი
2. ერთი: ბიზნეს-კლასი
3. ორი: ეკონომ-კლასი (World Traveller) და ბიზნეს-კლასი (Club World)

10. დაასახელეთ ბრითიშ ეარვეისის პარტნიორი ავიაკომპანია, რომელიც უშუალოდ ახორციელებს თბილისი-ლონდონი-თბილისის რეისებს.
1. BMED (რომელიც ადრე ... ბრითიშ მედიტერანიან ეარვეისი)
2. GB ეარვეისი
3. კომეარი

ფეხბურთი

# დიდმა ფრანგმა დაგვიბარა

გიგა გურასაშვილი

*ცოტა ხნის წინათ ფრანც ბეკენბაურმა თქვა: თუ გერმანიის საფეხბურთო სამყარო მხარში ამომიდგება, უეფას პრეზიდენტობისთვის ვიბრძოლებო. არ ვიცი, ახლა რა ხდება ოდესღაც დიდი გერმანელი ფეხბურთელის ბეკენბაუერის თავს, ის კი ვიცი, რომ მისი უშუალო კონკურენტი, ასევე ოდესღაც დიდი ფრანგი ფეხბურთელი მიშელ პლატინი იმავე სავარძლისთვის ბრძოლაში ევროპის საფეხბურთო ოჯახში, ამ შემთხვევაში, საქართველოში ეძებს მომხრეებს.*



ყოველგვარი აგიტაციისა და პროპაგანდის გარეშე დიდმა ფრანგმა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის თანადგომა უკვე მიიღო, რამაც პლატინის კმაყოფილი ღიმილი მოჰგვარა.

უეფასა და ფიფას აღმასკომის წევრი მიშელ პლატინი თბილისს ორი დღის წინ ეწვია. მოინახულა ყველაფერი, რაც უკავშირდება ქართულ ფეხბურთს და არა მარტო ფეხბურთს. გუშინ საღამოს კი ლეგენდარული ფრანგი ფეხბურთელი საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ბადრი პატარკაციშვილმა საკუთარ რეზიდენციაში მიიღო. ქართულ ოლიმპიურ ოჯახში პლატინის სტუმრობა იმით დაფასდა, რომ სტუმარს სეოკ-ის ოლიმპიური მედალი გადაეცა. თუმცა, ხელცარიელი არც თავად ბადრი პატარკაციშვილი დარჩენილა. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტისთვის განკუთვნილი ძღვენი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდანაა - საუბარია საქართველოს საფეხბურთო ნაკრების ფორმის სრულ კომპლექტზე, მათ შორის ბურთზეც, რომელიც საკუთარი ავტოგრაფებით დაამშვენეს მიშელ პლატინიმ, საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ალენ ჟირესმა და ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ.

მანამდე კი იყო სალამ-ქალამი, ერთმანეთისადმი პატივისცემის გამოხატვა და ასე შემდეგ.

და კიდევ, სახელოვანმა ფრანგმა სტუმარმა, რომელიც, შეიძლება ითქვას, ორი დღის განმავლობაში ხელიდან ხელში გადადიოდა, საქართველო-თურქეთის მატჩზე საკუთარი კომენტარი გააკეთა, უფრო სწორად, დაგვამშვიდა: "რომ წააგეთ, ამისგან ტრაგედიას ნუ შექმნით. ჩვენც არაერთხელ წაგვიგია... ასეთი რამ ყველას ემართება. მთავარია უკან არ დაიხიოთ".

პლატინის სტუმრობასთან ეს არაფერ კავშირშია, მაგრამ ის, რაც საქართველო-თურქეთის მატჩზე და მას მერე ხდებოდა, საფუძველს გვაძლევს ვთქვათ: ოთხშაბათს "მიხეილ მესხის" სახელობის სტადიონზე ქართველი "გულშემატკივრები" ველურებივით იქცეოდნენ. ყოველ შემთხვევაში, როდესაც საქართველოს ნაკრები სტუმრობდა თურქეთს, ჩვენი ქვეყნის ჰიმნზე სტვენა და თქვენი დედა... არავის დაუყოლებია.

ერთმა თურქმა მატჩის შემდგომი ცემა-ტყეპის შემდეგ თქვა კიდეც: თხუთმეტი წლის წინათ ჩვენც ეგეთები ვიყავითო.

ჰოდა, ამის მერე ზოგიერთები კიდევ ზევიდან უყურებენ თურქებს.

TV-სპორტი

## პარასკევი. 1 აპრილი

**НТВ+ФУТБОЛ**

12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 საუიკენდო მატჩების ანონსი
12:20 მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. სერბეთი და მონტენეგრო - ესპანეთი
14:00 "ფუტბოლისტიკა"
14:30 მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. საქართველო - თურქეთი
16:10 თავისუფალი დარტყმა
16:25 "საფეხბურთო უიკ-ენდი"
16:55 მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. უკრაინა - დანია
18:35 თავისუფალი დარტყმა
18:50 სახვალიო ტელეპროგრამა
18:55 მინიფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. "დინამო" - "არბატი". პირდაპირი ტრანსლაცია
20:25 "საფეხბურთო კლუბი"
21:10 "FUTBOL MUNDIAL"
21:40 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. "ინტერი" - "პორტუ". საპასუხო მატჩი. შესვენებისას (22:30) - თავისუფალი დარტყმა
23:45 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
00:15 "საფეხბურთო კლუბი"

**НТВ+ПЛЮС**

10:00, 16:15, 19:00 პრესცენტრი
10:20, 19:15 "ქრონიკა"
10:25 "ჰარმონიის ფორმულა"
11:25 ჩოგბურთი. "Masters Series" მაიამიში. მეოთხედფინალები. შესვენებისას (13:00) - პრესცენტრი
15:00 "მოტოვებული კვირა"
15:45 "ჩქაროსნული სამყარო". ტელეჟურნალი
16:30 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა
17:00 ATP-ს საჩოგბურთო მიმოხილვა
17:30 ჭადრაკი. "ამებრ-ტურნირი"
18:00 ტაილანდური კრივი
19:20 სახვალიო ტელეპროგრამა
19:30 "ჩვენი ჰოკეი პლუსზე"
20:00 ჩოგბურთი. "Masters Series" მაიამიში. მეოთხედფინალი
21:00 "ფარი და ბურთი" - ტელეჟურნალი
21:45 წყალში ხტომა. ჩინეთის დიდი პრიზი. ვაჟები. კოშკურა. სინქრონული ხტომები. ვაჟები. ტრამპლინი 3 მ. სინქრონული ხტომები. ქალები. კოშკურა. ფინალები
23:15 "სპორტული გლობუსი" - "Trans World Sport" წარმოგიდგენთ
23:45 ახალი ამბები
00:00 ჩოგბურთი. "Masters Series" მაიამიში. ნახევარფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**

10:30 სნუკერი. ჩინეთის ღია ტურნირი. პირდაპირი ტრანსლაცია
13:00 ფეხბურთი. მსოფლიო თასი გერმანიაში. საკვალიფიკაციო წრე
15:00 სნუკერი. ჩინეთის ღია ტურნირი. პირდაპირი ტრანსლაცია
18:00 მაგიდის ჩოგბურთი. ევროპის ჩემპიონატი დანიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
21:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი მაიამიში. ნახევარფინალები
22:00 სნუკერი. ჩინეთის ღია ტურნირი
23:00 ჭიდაობა. საერთაშორისო ასპარეზობა სამხრეთ აფრიკაში
00:00 პლანეტის უძლიერესი ადამიანები. ფინეთი
01:00 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
01:30 თავგადასავალი - გაქცევა
02:00 ახალი ამბები
02:15 ფეხბურთი. ევროპის 24 საუკეთესო კლუბი
02:45 სნუკერი. ჩინეთის ღია ტურნირი

# ზოგი რამ უკვე აღარ შეიძლება

აპოლონ სილაგაძე

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა წააგო.

ნაკრებმა სამარცხვინოდ წააგო ზედიზედ ორი მატჩი.

რასაკვირველია, ცუდ დღეშია ნაკრები, მისი ყოველი წევრი. ცუდად არის მაყურებელიც, ცუდად ვართ ყველა.

ერთი ან ორი მატჩის წაგება არც ერთი ნაკრებისთვის, არც ერთი ქვეყნისთვის არაა ექსტრაორდინარული მოვლენა. ყველაფერი ხდება და ეს ჩვეულებრივი ამბავია.

ოღონდ ჩვენს შემთხვევას, ისე როგორც ყველაფერს ჩვენში, თავისი სპეციფიკა აქვს.

სხვაგან ცუდად ყოფნა წაგების ან წაგებების დროს ყველასთვის თანაბარი მოვლენაა. ჩვენთან ეს ასე არ არის და ეს არ შეიძლება.

არ შეიძლება, ნაკრები აგებდეს, ყველა ცუდად იყოს და კარგად იყოს ის ან ისინი, ვინც ამ საქმესთან უშუალოდაა დაკავშირებული.

არ შეიძლება, ყველა ცუდად ვიყოთ და კარგად იყოს ის, ვინც მთელი წინასამატჩო, მატჩისდროინდელი და მატჩისშემდგომი მოვლენების იდეოლოგი იყო.

არ შეიძლება, ყველა ცუდად ვიყოთ და კარგად იყოს ის, ვინც მოისაზრა, რომ სტადიონზე ყველა ჰიმნი ჩვეულებრივად - ე.ი. ნორმალურად - უნდა შესრულდეს, ოღონდ საქართველოს ჰიმნის ("განათებული მთა-ბარი წილნაყარია ღმერთთანა") შესრულებისთვის ძვირად ღირებულ ჩოხებში გამოწყობილი ბავშვებია საჭირო.

არ შეიძლება, ყველა ცუდად ვიყოთ და კარგად იყოს ჟირესი.

არ შეიძლება, ყველა ცუდად ვიყოთ და კარგად იყოს ჟორდანია.

არ შეიძლება, ყველა ცუდად ვიყოთ და კარგად იყოს პლატინი.

ყველაფერი ეს არ შეიძლება იმიტომ, რომ არ შეიძლება. საქართველომ ყველას საქმე მოაგვაროს თავისი საქმის ხარჯზე. არ შეიძლება, ყველა პრეზიდენტი - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტიც და მსოფლიო ფედერაციის მომავალი პრეზიდენტიც - იყოს კარგად და ჩვენი ნაკრები ამის გამო იყოს ცუდად. არ შეიძლება, ჩვენი ნაკრები - მთელ მსოფლიოში მაინცდამაინც ჩვენი ნაკრები - დამოკიდებული იყოს არა ჩვენი ნაკრების, არამედ მესვეურების ინტერესებზე. არ შეიძლება, ის ყოველდღე აგებდეს საკუთარ მატჩებს, ხოლო ჩვენი ფედერაცია არა საკუთარი, არამედ მსოფლიო ფეხბურთის გლობალური ამოცანების (წაიკითხე: გლობალური ფეხბურთის მესვეურების პირადი ამოცანების) გადაწყვეტის ავანგარდში იყოს.

არ შეიძლება, ამის გამო ნაკრების მწვრთნელი იყოს პლატინის მეგობარი - ჟირესი. არც ფედერაციის პრეზიდენტი - მეგობარი ჟორდანია.

კარატე

## წაგებულის გამარჯვება მეტოქის მწვრთნელმა დაინახა

ამა წლის 12-13 მარტს დიდ ბრიტანეთში, ბირმინგემი, მსოფლიო კარატეს ორგანიზაციის ეგიდით საერთაშორისო ტურნირი, - BIRMINGHEM INTERNATIONAL KARATE CHAMPIONSHIP გაიმართა, რომელიც თავისი მნიშვნელობით ევროპის ჩემპიონატის ტოლფასია.

შეჯიბრებაში 12 ქვეყნის 400-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა, მათ შორის, ინგლისის, ირლანდიის, იტალიის, ბულგარეთის, უნგრეთის, ჰოლანდიის და სხვა. საქართველოს ნაკრებიდან წარმატებით იასპარეზა გიორგი ჭელიძემ, რომელმაც მიყოლებით დაამარცხა ირლანდიელი, ინგლისელი და იტალიელი მეტოქეები და ფინალში ინგლისის ჩემპიონს ბრაინ სმიტს დაუპირისპირდა. მართალია, ორთაბრძოლა ქართველის უპირატესობით წარიმართა, მაგრამ მსაჯებმა გამარჯვება ინგლისელ სპორტსმენს მიაკუთვნეს.

ფინალური ორთაბრძოლის შემდეგ აღნიშავდნენ, რომ გიორგი ჭელიძემ ფინალური ორთაბრძოლა მოიგო.

შეჯიბრების ორგანიზატორმა ინგლისის ნაკრების მწვრთნელმა მურეინ კლეიტონმა სპეციალურ პრიზად ქართველ სპორტსმენს თავისი სახელობის კარატეს საბრძოლო აღჭურვილობა გადასცა.


სახელი ____ მისამართი
გვარი ____
ასაკი ____ საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ____
სიმაღლე ____

1 ოჯახური მდგომარეობა :
დაქორწინებული
დაუქორწინებელი
გაყრილი
ქვრივი

2 შვილები: (თუ გყავთ)

3 პროფესია :

4 სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

5 ადრე სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

6 სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის?

7 სხვა რომელ არასატელევიზიო კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის?

8 თქვენი ინტერესები

9 თქვენი ჰობი

10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ?

11 როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დავხარჯავ არ მიიღება)

12 როგორ გრძნობთ თავს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი)

13 როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი)

ჩემი ხელმოწერით ვადასტურებ, რომ მოწოდებული ინფორმაცია არის ზუსტი და რომ არც მე და არც ჩემი ოჯახის წევრი არ მუშაობს სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ში.

ხელმოწერა____ თარიღი____

ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება !



გადაცემა
სუსტი რგოლი

მოთამაშის ანკეტა

გეხერხებათ კროსვორდების ამოხსნა?

გიყვართ ინტელექტუალური თამაშები?

არ გეშინიათ, გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაში?

დაგვიკავშირდით, "რუსთავი 2" ეძებს ერუდირებულ, თამამ, გონებამახვილ კონკურსანტებს.

გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა გქონდეთ მხოლოდ ზოგადი განათლება, იუმორის გრძნობა და მოგების სურვილი.

გთხოვთ შეავსოთ გარკვევით
ბლანკი უფასოა

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

თქვენი ფოტოსურათი

გთხოვთ, დაამაგრეთ წარმოდგენილ ზომის ფოტოსურათი, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გამოსახული, მკაფიო სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათის უკან მიაწერეთ თქვენი სახელი და გვარი. ფოტოსურათი გადაღებული უნდა იყოს ბოლო ორი წლის განმავლობაში.

# კუპე "პეჟო 407" - "პინინფარინას" გარეშე და დიზელის ძრავით

ფრანგულმა კომპანია "პეჟომ" წელს უკვე მესამედ ჩაატარა სადიზაინერო კონკურსი, რომელიც სულ უფრო პოპულარული ხდება მთელს მსოფლიოში და სულ უფრო მეტ მონაწილეს იზიდავს. ასე განსაჯეთ, თუ 2003 წელს კონკურსში სულ რამდენიმე ათეულმა მონაწილემ წარადგინა თავისი ნამუშევარი, ამჯერად მონაწილეთა რაოდენობამ 3800-ს მიაღწია.

კონკურსის მთავარ მიზანს წარმოადგენს იმის წარმოჩენა, თუ როგორ ესახებათ დიზაინერებს კომპანიის და საერთოდ, ავტოინდუსტრიის დიზაინის განვითარება. ჟიური შეფასებისას პირველ რიგში ყურადღებას აქცევს იმას, თუ რამდენად შეესაბამება ნამუშევარი კონკურსის დევიზს, რომელიც ყოველწლიურად იცვლება. ამჯერად დევიზი იყო "თქვენი ოცნების "პეჟოს" შექმნა, რომლის საჭესთან მიჯდომასაც ყველაზე მეტად ისურვებდით ახლო მომავალში".





"პეჟო 407 პროლოგი" და მისი ინტერიერი

კონკურსის შედეგების შეჯამების შემდეგ, გამარჯვებულად გამოცხადდა 23 წლის პორტუგალიელი ანდრე კოშტას ნამუშევარი სახელად "მუვი". კოშტამ კონკურსზე წარადგინა უჩვეულო გარეგნობის და კონსტრუქციის, ორადგილიანი ავტომობილი, რომლის ძარა მთლიანად ორგანული მინისგანაა დამზადებული.

ძნელია ამ ნამუშევრის ავტომობილად წარმოდგენა, რადგან მას სულ ორი ბორბალი აქვს, თუმცა ის არც მოტოციკლია და თანაც, კონკურსი მასში მონაწილეებს ამ მხრივ სულაც არ ზღუდავს. ორივე ბორბალი "მუვის" უკანაა მოთავსებული, წონასწორობის შესანარჩუნებლად კი წინიდან ის ორ სფეროს ეყრდნობა.

ჯერ ორი სიტყვით სახელის განმარტებას მოგცემთ. პროექტის ავტორის იდეით, Moovie უსასრულო მოძრაობას ნიშნავს. ამაზე პირველ რიგში მიანიშნებს ის, თუ როგორ წერს კოშტა ორ o-ს. მათი კომბინაცია ფაქტობრივად, უსასრულობის აღმნიშვნელია. მერე რა, რომ ინგლისურად მოძრაობა Move-ა, Movie კი ფილმს ნიშნავს. მთავარი აქ ნამუშევრის ავტორის იდეაა, ის კი უსასრულო მოძრაობას ნიშნავს.

კიდევ ერთი, უფრო მნიშვნელოვანი უცნაურობა ისაა, რომ ავტომობილს არ აქვს საჭის ჩვეულებრივი მექანიზმი - ის ტრაქტორის სტილში უხვევს, რისთვისაც, მოხვევის დროს ბორბლები სხვადასხვა სიჩქარით ბრუნავენ. ეს კი იმის საშუალებას იძლევა, რომ "მუვი" ადგილზევე მობრუნდეს 360 გრადუსით. მოკლედ, ავტომობილის მსგავსი ეს "არსება" მისწრება იქნებოდა ავტომობილებით გადატვირთული მეგაპოლისების ქუჩებში სასიარლოდ...

კონკურსში მეორე ადგილი დაიკავა ინგლისელი დევიდ კარლ დიუიტის ნამუშევარმა სახელწოდებით "607 არაბესკ". ეს უკვე რეალობასთან ახლოს მყოფი სპორტული კუპეა, რომელიც ავტორის განმარტებით, "ცოცხალი სკულპტურის" ასოციაციას ქმნის და იმისთვისაა შექმნილი, რომ თავისი შესანიშნავი მანევრულობით და დინამიკური მონაცემებით, სიამოვნება მიანიჭოს მოჭარბებული ადრენალინის მოყვარულ მძღოლებს.

მესამე ადგილი ერგო ჩინელ დიზაინერ ჭონ ჰუაის უჩვეულო სტილის ნამუშევარ ZCC-ს. ერთი შეხედვით, ეს პიკაპი უნდა იყოს, რომელსაც მძღოლის გარდა, კიდევ ორი მგზავრის გადაყვანა შეუძლია. თუმცა, მთავარი ისაა, რომ ამ ავტომობილს წყალბადის ფიჭურ ელემენტებზე მომუშავე ძრავი აქვს, მისი მართვა კი მავთულებით (ჯოისტიკით) ხორციელდება. მას არ აქვს ტრადიციული პიკაპებისთვის დამახასიათებელი საბარგული. უფრო მეტიც, უკანა ნაწილი მთლიანად გახსნილია, რაც იმის საშუალებას იძლევა, რომ სურვილისამებრ, იქ დამონტაჟდეს ან საბარგული, ან დამატებითი სავარძლები. არაა გამორიცხული, რომ ჩინელი კონკურსანტის ნამუშევრით "ჯენერალ მოტორსი" დაინტერესდეს, რომელიც თითქმის ყოველწლიურად ავითარებს თავის "საავტომობილო რევოლუციას", რომლის დანიშნულება 2010 წლისთვის სრულიად ახლებური ტიპის ავტომობილის წარმოების დაწყებაა.

კონკურსში გამარჯვებულისთვის განკუთვნილია ჯილდო 6000 ევროს ოდენობით. თუმცა, უფრო მთავარი ისაა, რომ პირველ ათეულში მოხვედრილ დიზაინერებს დიდი შანსი აქვთ, მსოფლიოს სხვადასხვა ავტომწარმოებლების დიზაინის განყოფილებებში მუშაობის საშუალება მიეცეთ. გამარჯვებულის ნამუშევარი კი კონცეპტუალური მოდელის სახით შეიმქნება და ფრანგული კომპანია მას ფრანკფურტის ავტოსალონზე წარადგენს, რომელიც სექტემბერში ჩატარდება.

საკონკურსო ნამუშევრების გარდა, "პალექსპოს" საგამოფენო კომპლექსის "პეჟოს" პავილიონში ორი ახალი ავტომობილიც იყო გამოფენილი. ერთ მათგანს ჩვენი რუბრიკის მკითხველი უკვე იცნობს - ესაა "სიტროენ C1-ის" ტყუპისცალი "პეჟო 107", რომლის წარმოება მალე დაიწყება ჩეხეთის ქალაქ კოლინში.

მეორე ავტომობილია სერია 407-ის კუპე-ვარიანტი, რომელიც ჟენევაში "პეჟო 407 პროლოგის" სახელით წარდგა. მიუხედავად იმისა, რომ სპორტული კუპეების დიზაინის შექმნაში "ფრანგულ ლომებს" ხშირად პარტნიორობას უწევს იტალიური ატელიე "პინინფარინა", ამჯერად "პეჟომ" დამოუკიდებლად იმუშავა. "407 პროლოგი" ჟენევაში კონცეპტუალური მოდელის რანგში წარდგა, თუმცა კომპანია აცხადებს, რომ შემოდგომაზე, კერძოდ კი ფრანკფურტის ავტოსალონზე, ის უკვე საწარმოო მოდელის სტატუსს მიიღებს.

კუპეს გარეგნობა ექსტრავაგანტურობით არ გამოირჩევა, თუმცა საკმაოდ დახვეწილი და ფუნქციონალურია. ისევე როგორც სედან 407-ს, წინიდან მასაც სხვა "პეჟოებისგან" რადიატორის უზარმაზარი ჰაერის ამღები გამოარჩევს, რომლის გამოც მწარე ენის პატრონებმა "პროლოგს" მეტსახელად "მინდა ვიყო ფერარი" შეარქვეს.

ავტომობილის სახურავს თითქმის არ აქვს ჰორიზონტალური სეგმენტი - წინიდან საქარე მინა ძლიერ დახრილია, რითაც ნაკლებ წინააღმდეგობას უქმნის ჰაერის შემხვედრ ნაკადს და ავტომობილს გარსშემოდენილ ფორმას სძენს. შუა საყრდენის არეში ის ოდნავ სწორდება და იქვე იწყება მისი საწინააღმდეგო მიმართულებით დახრა. ჰაერი აქაც სახურავს გაჰყვება, ბოლოს კი აპრეხილ კუდს "აწყდება", რითაც მაღალი სიჩქარით მოძრაობისას, ავტომობილის მდგრადობის გაუმჯობესებას უზრუნველყოფს.

ავტომობილის სერიოზულ აეროდინამიკურ აღჭურვაზე თუნდაც ის ფაქტიც მეტყველებს, რომ მას უკანა ქვედა ნაწილში აქვს აეროდინამიკურ მილში უზადოდ დამუშავებული დიფუზორი, რომელიც ავტომობილის ამ ნაწილში ჰაერის გაუხშოებაზე მუშაობს და ამით აუმჯობესებს უკანა თვლების გზასთან ჩაჭიდულობას.

სალონში მძღოლის გარდა, თავისუფლად თავსდება კიდევ სამი მგზავრი. სხვა მხრივ, აქ "სპორტული ატმოსფეროა" შექმნილი, რომელსაც ქმნის წითელი სპორტული სავარძლები, ტყავისა და ალუმინის დეტალების შეხამება, ასევე მაჩვენებლების პანელი, რომელთა მეშვეობითაც მხოლოდ ძირითადი პარამეტრებისთვის თვალყურის დევნებაა შესაძლებელი.

რაოდენ საოცარიც უნდა იყოს, "407 პროლოგის" კაპოტქვეშ განლაგებულია V6 კონფიგურაციის მქონე, 2.7-ლიტრიანი დიზელის აგრეგატი, რომლის სიმძლავრეა 204 ცხენის ძალა, მაბრუნი მომენტი კი - 440 ნ.მ. ძრავთან შეწყვილებულია 6-საფეხურიანი გადაცემათა კოლოფი "ტიპტრონიკ", რომელიც ფრანგულ კომპანიას "პორშემ" მიაწოდა. სხვათა შორის, აგრეგატების იგივე კომბინაციას "ლომები" უკვე იყენებენ თავიანთ ფლაგმანზე, სედან 607-ზე.

კუპე 407-ის სერიული ვარიანტის დებიუტი შემოდგომაზე შედგება ფრანკფურტის ავტოსალონზე, რის შემდეგაც დაიწყება მისი გაყიდვები. ადრე თუ კუპე 406-ის ძარებს აწარმოებდა "პინინფარინა", 407-ის წარმოება დაევალება ბრეტონის პროვინციაში მდებარე "პეჟოს" ქარხანას.




"პეჟო მუვი"




"პეჟო 607 არაბესკი"



"პეჟო ZCC"

# C6 - "სიტროენის" ახალი ფლაგმანი

ჟენევის ავტოსალონის პრესის დღეს, "სიტროენის" საზოგადოებასთან ურთიერთობის (PR - პაბლიკ რილეიშნ) განყოფილების თანამშრომლები სიამაყით აცხადებდნენ, რომ მათი კომპანია მნახველს სთავაზობდა ისეთ რაღაცას, რაც აქამდე არცერთ ავტომწარმოებელს არ შეუთავაზებია - ფრანგული კომპანია საპრემიეროდ ამზადებდა ორ, სრულიად ახალ და რაც ყველაზე მთავარია, სამოდელო გამის ორ, რადიკალურად განსხვავებულ ადგილზე მდგარ ავტომობილს - სუბკომპაქტურ (სუპერმინი კლასის) სიტიკარ C1-სა და ლუქსის კლასის C6-ს.

ჩვენი რუბრიკის ერთგული მკითხველი უკვე იცნობს C1-ს, რომელსაც "სიტროენი" თავის პარტნიორ "პეჟოსთან" და იაპონურ "ტოიოტასთან" ერთად უშვებს ჩეხეთის ქალაქ კოლინში. საერთოდ, "სიტროენის" ბიზნესში კომპაქტურ ავტომობილებს განსაკუთრებული ადგილი უკავია - კომპანიის მიერ შარშან ევროპაში გაყიდული ავტომობილების თითქმის მესამედი მოდის მცირეგაბარიტიან ავტომობილებზე, როგორებიცაა C2, C3 და C3 პლურიელი. ამიერიდან, მათ დაემატება C1, რომელიც "სიტროენის" მარკეტოლოგებს ახალგაზრდა ევროპელი მყიდველის პირველ ავტომობილად ესახებათ.





C6 სიტროენის ახალი ფლაგმანია

რაც შეეხება მოდელ C6-ს, ის "სიტროენის" სამოდელო გამის ფლაგმანი ხდება. C4-ის და C5-ის შემდეგ ის მესამე ავტომობილია, რომელშიც გამოყენებულია კომპანიის ლეგენდარული მოდელების - DS-ის, CX-ისა და XM-ის დიზაინის ელემენტები. რაც მთავარია, ამ ავტომობილის ბაზარზე გამოჩენას "სიტროენის" პროდუქციის ბევრი თაყვანისმცემელი თითქმის 3 წელი ელოდა.

"სიტროენმა" ინდექსი C6 პირველად გასული საუკუნის 20-იან წლებში გამოიყენა თავისი სამოდელო გამის ფლაგმანის აღსანიშნად. ის ავტომობილი საფრანგეთში დიდი პოპულარობით სარგებლობდა და ალბათ სიმბოლურია, რომ კომპანიის მარკეტოლოგებმა ამჯერადაც ეს ინდექსი აირჩიეს თავიანთი ფლაგმანის სახელწოდებისთვის. სხვა მხრივ კი ახალი C6 თითქმის მთლიანად იმეორებს 1999 წელს ნაჩვენებ კონცეპტუალურ პროტოტიპ "C6 ლინალის" დიზაინს.

კომპანიის კონსტრუქტორებმა ამ ახალი ავტომობილის შესაქმნელად გამოიყენეს მოდელ C5-ის დაგრძელებული პლატფორმა. შედეგად, ავტომობილი საკმაოდ გრძელი (4.9 მეტრი) და ელეგანტური გამოვიდა. კლასის შესაფერისად, მას ოთხი კარი აქვს, თუმცა ერთი შეხედვით, ჰეჩბეკს მოგვაგონებს. და მაინც, ეს არის სედანი, რომელსაც საკმაოდ მოკლე, ჰეჩბეკის შესაფერისი საბარგული გააჩნია. ავტომობილს წინა საქარე და უკანა შუშები მეტად დახრილად აქვს განლაგებული, მათგან უკანა შუშა სალონის მხარეს შებურცული ფორმითაც გამოირჩევა.

C6-ს გამოარჩევს დიდი ზომის საფირმო ლოგო - ქრომირებული შევრონი, რომლის დაგრძელებული ბოლოები თითქმის მაშუქებამდე აღწევს. ეს მაშუქებიც დიდი ზომებით გამოირჩევა და წინა ფრთებს საკმაო ნაწილს "ართმევს".

მწარმოებელი ამ ახალ ავტომობილში მძღოლის სამუშაო ადგილის ახლებურ კონცეპციას გვთავაზობს. კერძოდ, ცენტრალურ ეკრანზე ხდება ავტომობილის მდგომარეობის შესახებ ნებისმიერი ინფორმაციის გამოტანა. ეკრანი ისეთ ადგილზეა განლაგებული, რომ მძღოლს მასზე გამოტანილი ინფორმაციის წაკითხვა ისე შეუძლია, რომ პერიფერიული ხედვით გზასაც აკონტროლებს. ყველა სიკეთესთან ერთად, ეს ეკრანი ავტომობილის აქტიური უსაფრთხოების სისტემის ნაწილიცაა.

მგზავრებისთვის განკუთვნილია ფართე სალონი, რომელშიც რეგულირდება ნებისმიერი სავარძელი. უკანა სავარძლებიც კი ელექტრორეგულირების სისტემითაა აღჭურვილი. C6 იმითაცაა გამორჩეული, რომ მისი დაყოფილი კლიმატკონტროლის სისტემა სხვადასხვა კლიმატ-გარემოს ქმნის აბსოლუტურად ყველა სავარძლის მგზავრისთვის.

წარმოების დაწყებიდან პირველ ხანებში, ამ ახალი ავტომობილისთვის მხოლოდ ორი ძრავია გათვალისწინებული და ორივეს V6 კონფიგურაცია გააჩნია. ოღონდ, მათგან ერთი დიზელის საწვავზე მუშაობს, მეორე კი - ბენზინზე. ბენზინის აგრეგატის მუშა მოცულობა 3 ლიტრია და ის 215 ცხენის ძალას ავითარებს. რაც შეეხება დიზელის ძრავს (HDI), მისი მუშა მოცულობა 2.7 ლიტრია, სიმძლავრე კი - 208 ცხენის ძალა. ორივე ძრავს უწყვილდება 6-საფეხურიანი, ავტომატური გადაცემათა კოლოფი.

რა თქმა უნდა, "სიტროენმა" თავისი ფლაგმანისთვის სრულიად ახალი, აქტიური დაკიდების სისტემა შექმნა, რომელიც პარამეტრებს გზის საფარის და სიჩქარის მიხედვით იცვლის. მასვე შეუძლია დრეკადი ელემენტების სიხისტის ცვლა მოსახვევში მოძრაობისას, აჩქარების და დამუხრუჭების დროს. ამასთან, მისი საშუალებით შესაძლებელია, გარკვეულ დიაპაზონში ავტომობილის კლირენსის ცვლაც (ეს "სიტროენისთვის" ერთგვარი ტრადიციაა). პირველ რიგში, ასეთი საკიდარი მძღოლისა და მგზავრების კომფორტს ემსახურება და ავტომობილს უფრო ადვილად მართვადსა და მანევრულს ხდის.

C6-ის წარმოებისთვის განკუთვნილია ქალაქ რენეს ქარხანა, სადაც ხდება C5-ისა და "პეჟო 607-ის" წარმოება. ჟენევაში წარმოდგენილი ავტომობილი წინასერიული მოდელი კია, მაგრამ სავარაუდოდ, ქარხანა პირველ C6-ს მხოლოდ წლის ბოლოს თუ გამოუშვებს. სწორედ მაშინ გამოცხადდება მისი ფასიც, რომელიც ალბათ 30 ათასი ევროს ფარგლებში იქნება. "სიტროენი" ვარაუდობს, რომ წლიურად 30 ათასი ცალი C6-ის რეალიზებას შეძლებს. ავტომობილი კი უცვლელი სახით ბაზარზე 5-6 წელი დარჩება.

# "რენოს" სუბკომპაქტური კონცეფცია და ჯიშიანი სპორტსმენი

გასული წლის გაყიდვების შედეგების მიხედვით, ფრანგულ-იაპონურმა ალიანსმა სახელად "რენო-ნისანი", მსოფლიოში მეოთხე ადგილზე გადაინაცვლა. 2003 წელთან შედარებით, გაყიდვების მოცულობა 8 პროცენტით გაიზარდა და 5 785 231 რეალიზებული ავტომობილი შეადგინა.

ამ რაოდენობიდან 2 308 728 გაყიდული ავტომობილი "რენოზე" მოდის (წინა წელთან შედარებით მატება 4.5 პროცენტია), 85 046 ავტომობილის რეალიზება შეძლო "რენო-სამსუნგმა" (კლება 23.7 პროცენტი), 95 627 - "რენო-დაჩიამ" (მატება 39.1 პროცენტი), "ნისანმა" კი 3 295 830 ავტომობილი გაყიდა.

ცნობისათვის, "რენომ" და იმ დროს მძიმე კრიზისში მყოფმა "ნისანმა" ალიანსი 2001 წელს შექმნეს. მათ გაცვალეს აქციების პაკეტები, რის შედეგადაც, ფრანგები იაპონელი პარტნიორის აქციების 44 პროცენტს დაეუფლნენ, სანაცვლოდ კი "ნისანს" თავისი აქციების 15 პროცენტი გადასცეს.



"რენო ზოი"



"მეგან რენოსპორტ 225 ტროფი"

მას შემდეგ კი, რაც "ნისანის" საქმეები გამოსწორდა და კომპანია მოგებაზე გადავიდა, "რენოს" გადაწყვეტილი აქვს, იაპონური კომპანიდან ალიანსის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარედ გადმოიყვანოს ცნობილი მენეჯერი კარლოს გოსნი, ვინც სწორედ იმით გაითქვა სახელი, რომ კრახის პირას მყოფ კომპანიებს კონკურენტუნარიანობას უბრუნებს.

სხვათა შორის, "რენოს" ბოლო წლების წარმატებებს მეტწილად უზრუნველყოფს კომპაქტურ და სუბკომპაქტურ კლასებში აქტიურობა, სადაც კომპანია ორი პოპულარული მოდელით, "ტვინგოთი" და "კლიოთი" მოღვაწეობს. სწორედ ამ ორ მოდელს დაუდგა შეცვლის დრო და აი, ჟენევაში "რენომ" წარადგინა კონცეპტუალური მოდელი, რომლითაც მომავალ მყიდველს აჩვენა, თუ როგორი შეიძლება იყოს ახალი "ტვინგო" და "კლიო".

კონცეპტუალურ მოდელს ჰქვია "ზოი" (Zoe), შექმნის სტადიაში კი დიზაინერები მას Z17-ის სახელით მოიხსენიებდნენ. ეს არის სამადგილიანი ავტომობილი, რომლის სიგრძე მხოლოდ 3.45 მეტრი კია, მაგრამ ის ისეთივე კომფორტს სთავაზობს თავის მგზავრებსა და მძღოლს, როგორსაც მასზე გაცილებით დიდი ზომის ავტომობილები. ისე, კონსტრუქტორებს რომ მოესურვებინათ, ეს ჩვეულებრივი, ოთხადგილიანი ავტომობილი იქნებოდა - მძღოლის სავარძლის უკანა ადგილი ამჯერად საბარგულისთვისაა გამოყენებული. თუმცა, გამორიცხულია, რომ ასეთი შეთანწყობის ავტომობილმა კონვეიერამდე მიაღწიოს.

პერსპექტივაში, ამ ავტომობილმა კონკურენცია უნდა გაუწიოს "სმარტს" და მის მსგავს ლილიპუტებს. რეალურად კი "ზოი" მერმის "ტვინგოს" სახელით ეწვევა ევროპის ავტობაზარს.

ჟენევაში "რენოს" პავილიონის კიდევ ერთი საინტერესო ექსპონატი იყო სპორტული ავტომობილი "მეგან რენოსპორტ 225 ტროფი". ამ ავტომობილის სარბოლო ვარიანტის დებიუტი ჯერ კიდევ შარშან, პარიზის ავტოსალონზე შედგა. ახლა კი მისი გამოფენის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ამიერიდან ამ ავტომობილის ყიდვას შეზღუდული რაოდენობის მყიდველიც შეძლებს.

ავტომობილი აღჭურვილია 225-ცხენისძალიანი, ორლიტრიანი ძრავით, რომელიც კონსტრუქტორებმა ხელუხლებელი დატოვეს იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ საკმაოდ დიდი რესურსი გააჩნია. სამაგიეროდ, გადახალისდა დაკიდების სისტემა და ავტომობილი გაცილებით მძლავრი მუხრუჭებით აღიჭურვა.

"მეგან რენოსპორტ 225 ტროფი" თავისი სარბოლო ვარიანტისგან იმითაც განსხვავდება, რომ ის აღჭურვილია ახალი, 18-დუიმიანი ბორბლებით, რომლებიც თითოეული 1.5 კილოგრამით მსუბუქია "სტანდარტულ" ბორბლებზე.

"რენოს" სულ 200 ცალი "მეგან რენოსპორტ 225 ტროფის" დამზადება აქვს განზრახული. ავტომობილის ფასი ჯერ არ ცხადდება, თუმცა სავარაუდოდ, მისი ყიდვის მსურველს, დაახლოებით იმ თანხის გადახდა მოუწევს, რითაც ჯიშიანი იტალიური სუპერავტომობილის შეძენას შეძლებს.

## ორშაბათი 4.04

### რუსთავი - 2
07.30 დილა 08.00 ჯეტიქსი 10.00 სერიალი "ეკლები და ვარდები" 11.00 ღამის შოუ 12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 01.00 კურიერი 12.20 სერიალი "შეყვარებული ქალები" 13.30 მხ. ფილმი "წმინდა ინგლისური მკვლელობები" (გ) 15.25 სერიალი "ბევერლი ჰილზი" 16.30 სერიალი "ეკლები და ვარდები" 17.25 ჯეტიქსი 18.30 პატრული 19.00 ქართული ფეხბურთი 19.50 სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" 22.00 სუსტი რგოლი 23.00 დოკ. ფილმი "გახსნილია" 03.30 მხ. ფილმი "გაერთიანებული უსაფრთხოების ზონა" (18) 01.30 პატრული

### JSTI
09.00 პროგრამა "დილა" 11.00 "საბავშვო ხუთეული" 11.30, 16.45, 20.30 სტერეო-ნიუსი 11.54 პოპ-ათეული 12.30 სმს-ჩარტი 13.30 სტერეო-რეპი 14.00 ავტოპილოტი 15.00 სმს-ჩარტი 16.00 პოპ-ათეული 17.00 რეტრო 17.30 "საბავშვო ხუთეული" 18.00 სმს-ჩარტი 19.00 ლიტ. ვიქტორინა 20.00, 23.00 "ქალაქური" 21.00 რეტრო 21.15 პოპ-ათეული 22.00 სმს-ჩარტი 01.00 ავტოპილოტი

### პირველი არხი
08.00 "ადრე" 10.00 პროფილაქტიკა 17.30 "ვაკანსია" 18.00 "მთავარი" -რეგიონებიდან 18.30 სერ. "შირლი ჰოლმსი" 19.00 "მედიატორი" 19.30 "გზაჯვარედინი" 20.00 "მთავარი" 20.45 "ბაბილინა" 21.00 სერ. "მემკვიდრე ლუნა" 22.00 დოკ. ფილმი "დღეები, რომლებმაც მსოფლიო შეძრა" 23.00 მრწამსი - გალობა 23.30 მხ. ფილმი "ორმაგი მზერა" (12) 01.45 საინფ. გამოშვება

### კავკასია
11.00, 17.20, 21.00 ტუწ-ემ 11.30 ვარსკვლავები გვამცნობენ 13.30 ინდ. მხ. ფილმი "გათხოვილი ქალის ცდუნება" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 19.20 სპექტრი 22.30 საქმე და ეკონომიკა 00.45 მხ. ფილმი "რეკვიემი" (გ)

### 202
10.00 დებატები (განმ.) 12.00 მუსიკალურ-გასართობი გადაცემა "პროპაგანდა" 13.00 სერიალი "დიდი სახლი" (გან.) 14.00 მუს. გადაცემა "პროპაგანდა" 18.00 მუსიკა 22.00 სერიალი "დიდი სახლი" 23.00 დებატები 202-ზე

### მზე
08.30 მუსიკა მზეზე 09.00 ტელეჟურნალი "სცენა" 09.30 "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" 10.00 სერიალი "პოლიციელი ქალები" 11.00, 13.00, 14.00, 16.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 11.10 სერიალი "ჩენტო ვეტრინე" 12.05 "ავტოგრაფი". დავით ყიფიანი. 13.05 "ჯეოსტარი" 14.15 არჩევანის ზღვარზე 15.10 შემეცნებითი პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერი" 16.05 "ველური მთვარე" 17.00, 20.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 17.20 სერიალი "დიელი და პასკო" 18.20 "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" 18.50 მუსიკა 19.00 სერიალი "ჩენტო ვეტრინე" 20.45 მუსიკა მზეზე 21.00 ჯეოსტარი - ფილარმონია. 23.00 ბალეტი "ფასკუნჯი" 00.00 მხ. ფილმი "მაგარი პოლიციელი" (18) (სტივენ ბოლდუინი)

### მეორე არხი
19.00 სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" 19.50 "ბაბილინა" 20.05 სერიალი "გადაადგილების საშუალებები" 20.30 დოკ. სერიალი "ევროპის ახალი სახე" 20.55 დოკ. ფილმი "ცხოველთა ბედი" 21.45 კონცერტი 22.50 კინოსეანსი "ხაფანგი თანამდებობის სახით"

### იმედი
07.00 დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისთვის" 07.45 იმედის დილა 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00 ქრონიკა 08.05 იმედის დილა 09.15 "ნუცას სკოლა" 10.05 სერიალი "მოჯადოება" 11.15 დროება 11.30, 17.10, 02.10 იმედის მელოდიები 12.40, 16.25, 01.50 ტვ-მარკეტი 13.15 ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია 15.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 01.40 ქრონიკა 15.20 სერიალი "ოცნების სანაპირო" 16.40 დოკ. სერიალი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" 17.25 ვაკაფე-ნიუსი 18.05 სერიალი "მოჯადოება" 19.55 სერიალი "ოცნების სანაპირო" 20.55 ქართ. სერიალი "ცხელი ძაღლი-1" 22.55 "ნიკა ქავთარაძის შოუ" 23.55 სპ. პროგრამა "გოლი" 00.25 ნადიმი ჯანრი კაშიასთან ერთად

### აჭარა
08.00 მუსიკა 08.30 საინფორმაციო დაიჯესტი 09.00 სერიალი "ჩემი სამი და" (გან) 10.00 კომედია "შენილბვის ისტორია" 11.30 სათავგადასავლო ფილმი "რობინზონ კრუზო"1 სერია 13.15 დოკ. ფილმი 14.30, 17.30, 20.30, 00.00 საინფ. გამოშვება 14.50 ფანტასტიკა "მე-6 დღე" 17.00 მუსიკა 17.55 მულტფილმი 18.30 საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" 18.55 მუსიკა 19.30 სერიალი "ჩემი სამი და" 21.05 მხ. ფილმი "სიყვარულით შეპყრობილნი" 23.00 დოკ. ფილმი "ჰენრი მე-8" მე-2 ნაწ. 00.25 მხ. ფილმი "ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა"

### ОРТ
06.00 Доброе утро". 09.00, 12.00, 15.00, 18.00 Новости. 09.20 Сергей Маковецкий в фильме **"72 МЕТРА".** 11.30 "Кумиры". Ольга Волкова. 12.20 Лена Фаруджиа в комедии **"НАВЕРНОЕ, БОГИ СОШЛИ С УМА-2".** 14.10 "Сергей Юрский. В теле человека". 15.20 Валерий Николаев в боевике **"РОДИНА ЖДЕТ".** 16.20 "Пять вечеров". 17.30 Криминальная Россия. "Зомби". 1-2 с. 18.40 Сериал **"КЛОН".** 19.50 Жди меня. 21.00 Время. 21.30 Александр Балуев в фильме **"ГИБЕЛЬ ИМПЕРИИ".** 22.40 "Клара Лучко. Последнее интервью". 23.30 Ночное "Время". 23.50 Док. фильм "Космос. Обратный отсчет". 00.30 Док. фильм "Клара Лучко. Последнее интервью". 01.00 Ричард Дрейфусс в фильме **"ВСЕГДА".** Летчики Пит Сэндич и его закадычный приятель Ал Яки любят свою опасную и интересную работу. Они каждый день вступают в борьбу с лесными пожарами, заливая водой разбушевавшуюся стихию с предельно низкой высоты. Возлюбленная Пита Доринда - радиодиспетчер, руководящий их полетами. Будучи пилотом экстракласса, Пит верит в свое мастерство и в удачу, которая не может его покинуть. Но однажды случается беда: ситуация выходит из-под контроля и он не задумываясь отдает свою жизнь, спасая Ала. Но его душе нет покоя. Чтобы убедиться, что с двумя близкими ему людьми все в порядке, Пит спускается с небес как... призрак. 02.50 Анна Фриель в мелодраме **"С ТОБОЙ И БЕЗ ТЕБЯ".** 04.30 Док. фильм "Возвращение в Шаолинь".

### НТВ
06.00 "Сегодня утром". 09.05 Сериал **"СКОРАЯ ПОМОЩЬ". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** "Сегодня" 10.20 "Чрезвычайное происшествие". Обзор за неделю. 10.55 Кулинарный поединок. 11.55 Квартирный вопрос. 13.40 Сериал **"ОПЕРА. ХРОНИКИ УБОЙНОГО ОТДЕЛА: ИЩИ ДЕНЬГИ".** 15.35 Чрезвычайное происшествие. 16.20 Ток-шоу "Принцип домино". 17.30 Сериал **"МОСКВА. ЦЕНТРАЛЬНЫЙ ОКРУГ".** 18.35 Чрезвычайное происшествие. 19.35 Сериал **"ФАВОРСКИЙ".** 20.40 Сериал **"СЛЕПОЙ".** 21.50 Чрезвычайное происшествие. 22.40 Сериал **"МЕСТО ПОД СОЛНЦЕМ".** 23.45 Чрезвычайное происшествие. 00.15 Сериал **"ФАВОРСКИЙ".** 01.15 Журнал Лиги чемпионов. Внимание! 01.45 Лилли Карати в фильме **"СТРАСТЬ".** Роберто, после смерти супруги, женился на Марине, бывшей проститутке. Вот уже два года они вместе. У Роберто есть и взрослый сын, но он серьезно болен и не говорит ни одного слова уже много лет, хотя врачи не могут понять - в чем причина. А причина проясняется постепенно: Роберто находится в связи с женой, с сестрой бывшей жены, с прислугой... И все это на глазах у юноши... так что он не болен, а просто не желает ни с кем общаться. 03.15 Сериал **"СУПЕРШПИОНКИ".** 04.15 Сериал **"ЗА ГРАНЬЮ ВОЗМОЖНОГО".** 05.00 Сериал **"ЛЮБОВЬ ВДОВЦА-2".** 05.50 Чрезвычайное происшествие

## სამშაბათი 5.05

### რუსთავი - 2
07.30 დილა 08.00 ჯეტიქსი 10.00 სერიალი "ეკლები და ვარდები" 11.00 სუსტი რგოლი 12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 03.30 კურიერი 12.20 სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" 13.30 მხ. ფილმი "პლუმბუმი ანუ სახიფათო თამაში" (გ) 15.25 ქართული ფეხბურთი 16.30 სერიალი "ეკლები და ვარდები" 17.25 ჯეტიქსი 18.30 პატრული 18.55 ხალხის პირისპირ 19.50 სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" 22.00 საფეხბურთო მიმოხილვა 22.45 ჩემპიონთა ლიგა. "ლივერპული" - "იუვენტუსი" 02.00 ჩემპიონთა ლიგა. "ლიონი" -"ეინდჰოვენი" 03.45 პატრული

### JSTI
09.00 პროგრამა "დილა" 11.00 "საბავშვო ხუთეული" 11.30, 16.45, 20.30 სტერეო-ნიუსი 11.54 პოპ-ათეული 12.30 სმს-ჩარტი 13.30 სტერეო-რეპი 14.00 ავტოპილოტი 15.00 სმს-ჩარტი 16.00 პოპ-ათეული 17.00 რეტრო 17.30 "საბავშვო ხუთეული" 18.00 სმს-ჩარტი 19.00 ლიტ. ვიქტორინა 20.00, 23.00 "ქალაქური" 21.00 რეტრო 21.15 პოპ-ათეული 22.00 სმს-ჩარტი 01.00 ავტოპილოტი

### პირველი არხი
08.00 "ადრე" 10.00 დოკ. ფილმი "დღეები, რომლებმაც მსოფლიო შეძრა" 11.00 სერ. "მემკვიდრე ლუნა" 12.00 "მთავარი" 12.20 ანიმაციური ფილმი "რედვოლი" 12.45 დოკ. ფილმი "პატარა კენგურუები" 13.00 "სარჩევი" 14.00 სერ. "მაქსიმო ჩემი სიყვარული" 15.00 "მთავარი" ოსურ ენაზე 15.20 "მთავარი" რუსულ ენაზე 15.30 დოკ. ფილმი "33 საუკუნის შემდეგ" 16.15 სიცილის ოთახი 16.30 დოკ. ფილმი "მოგზაურობა" (კვებეკი) 17.30 დოკ. ფილმი "მითხარი რატომ" 18.00 "მთავარი" -რეგიონებიდან 18.30 სერ. "შირლი ჰოლმსი" 19.00 "ჰოლმარკი" - "მოგზაურობა დედამიწის ცენტრისკენ" 1-ლი ს. 19.40 სასამართლო დარბაზებში 20.00 "მთავარი" 20.45 "ბაბილინა" 21.00 სერ. "მემკვიდრე ლუნა" 22.00 დოკ. ფილმი "კოსმოსური ოდისეა" 23.00 პროფესიონალი - ნავთობის მოპოვება 23.30 მხ. ფილმი "კოლხური ბალადა" (გ) 01.10 საინფ. გამოშვება

### კავკასია
11.00, 17.20, 00.30 ტუწ-ემ 15.45 საქმე და ეკონომიკა 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 19.20 სპექტრი 22.00 მხ. ფილმი "სამარხების მძარცველნი" (გ)

### 202
10.00 დებატები (განმ.) 12.00 მუსიკალურ-გასართობი გადაცემა "პროპაგანდა" 13.00 სერიალი "დიდი სახლი" (გან.) 14.00 მუს. გადაცემა "პროპაგანდა" 18.00 მუსიკა 22.00 სერიალი "დიდი სახლი" 23.00 დებატები 202-ზე

### მზე
08.30 მუსიკა მზეზე 09.00 ტელეჟურნალი "მოდა" 09.30 "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" 10.00 სერიალი "პოლიციელი ქალები" 11.00, 13.00, 14.00, 16.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 11.10 სერიალი "ჩენტო ვეტრინე" 12.05 დოკ. ფილმი "სამყაროს უთვალავი ფერი" 13.05 სერიალი "დიელი და პასკო" 14.15 ბალეტი "ფასკუნჯი" 15.10 შემეცნებითი პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერი" 16.05 "ველური მთვარე" 17.00, 20.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 17.20 სერიალი "დიელი და პასკო" 18.20 "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" 18.50 მუსიკა 19.00 სერიალი "ჩენტო ვეტრინე" 20.45 სერიალი "პოლიციელი ქალები" 21.45 არჩევანის ზღვარზე 22.45 საფესტივალო ჩვენება. "ცხოველთა დიალოგი", "უშვილო", "სტიპენდიანტები". 23.45 მხ. ფილმი "ყველა ადამიანი მოკვდავია" (გ) (ირენ ჟაკობი)

### მეორე არხი
19.00 სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" 19.25 დოკ. ფილმი "მუსიკის ქალაქი" 19.50 "ბაბილინა" 20.05 სერიალი "გადაადგილების საშუალებები" 20.30 დოკ. სერიალი "ევროპის ახალი სახე" 20.55 დოკ. ფილმი "ცხოველთა ბედი" 21.45 სპექტაკლი "საბა ტაბიძის ორშაბათები" 22.55 კინოსეანსი "თემო"

### იმედი
07.00 დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისთვის" 07.45 იმედის დილა 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00 ქრონიკა 08.05 იმედის დილა 09.15 "ნუცას სკოლა" 10.05 სერიალი "მოჯადოება" 11.15 სერიალი "ცხელი ძაღლი-1" 12.20, 17.10, 03.40 იმედის მელოდიები 12.40, 16.25, 03.10 ტვ-მარკეტი 13.15 მხ. ფილმი "ცეცხლოვანი უდაბნო" 1-2 ს. (ე. დელონი) 15.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 03.00 ქრონიკა 15.20 სერიალი "ოცნების სანაპირო" 16.40 დოკ. სერიალი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" 17.25 სპ. პროგრამა "გოლი" 18.05 სერიალი "მოჯადოება" 19.55 სერიალი "ოცნების სანაპირო" 20.55 სერიალი "ცხელი ძაღლი-1" 23.00 პირველები 00.05 მხ. ფილმი "მკვლელებად დაბადებულნი" (18) (ვ. ხარელსონი) 02.05 გოლი -სერია "ა" (იტალიის ჩემპიონატი)

### აჭარა
08.00 მუსიკა 08.30 საინფორმაციო დაიჯესტი 09.00 სერიალი "ჩემი სამი და" 10.00 მუსიკა 10.30 დოკ. ფილმი "ჰენრი მე-8" მე-2 ნაწ. (გან.) 11.30 სათავგადასავლო ფილმი "რობინზონ კრუზო" 2 ნ. 13.15 მუს. კომედია "ქალებს გაუფრთხილდით" 1 ნ. 14.30, 17.30, 20.30 საინფ. გამოშვება 14.50 მხ. ფილმი "მეფური წყალობა" 17.00 მუსიკა 17.55 მულტფილმი 18.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 18.55 მუსიკა 19.15 "წკიპურტები" 19.30 სერიალი "ჩემი სამი და" 21.05 ბოევიკი "სხვის რიგში" 22.50 "ქოვზაური" 23.30 "სტარტი" 00.00 საინფორმაციო დაიჯესტი 00.25 მხ. ფილმი "გახსოვდეს!"

### ОРТ
06.00 Доброе утро". 09.00, 12.00, 15.00, 18.00 Новости. 09.20, 21.30 Сериал **"ГИБЕЛЬ ИМПЕРИИ".** 10.30, 18.40 Сериал **"КЛОН".** 11.40 Дисней-клуб: "Чип и Дейл спешат на помощь". 12.20 Алла Ларионова в фильме **"ДИКИЙ МЕД".** 14.00 "Идолы". "Грейс Келли - принцесса Монако". 14.30 "Угадай мелодию" 15.20 Валерий Николаев в боевике **"РОДИНА ЖДЕТ".** Закл. с. 16.20 "Пять вечеров". 17.30 Криминальная Россия. "Тринадцатый дракон". 1-2 с. 19.50 Анатолий Лобоцкий в сериале **"НА УГЛУ, У ПАТРИАРШИХ".** 21.00 Время. 22.40 Спецрасследование. "Мир кожи и меха". 23.30 Ночное "Время". 23.50 "Неизвестный Олег Ефремов". 1-я с. 0.30 Док. сериал "Оружие Второй мировой войны". 1.00 Жерар Депардье в триллере **"ГОРОД ПРИЗРАКОВ".** После неудавшейся аферы, нью-йоркский мошенник Джимми Кремминг, скрываясь от американского правосудия, добирается до Бангкока. Там он узнает, что его компаньон Марвин, сбежавший в Юго-Восточную Азию в месте с его "законной долей", был замечен в Камбодже. Джимми решает отправиться на поиски Марвина, чтобы раз и навсегда уладить все дела... 03.10 Кристофер Мерни в боевике **"ПОСЛЕДНИЙ ДРАКОН"** 05.10 Искатели. "Свидетель великой осады".

### НТВ
06.00 "Сегодня утром". 09.05 Сериал **"СКОРАЯ ПОМОЩЬ". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.45** "Сегодня" 10.15 Профессия - репортер. 10.50 Сериал **"СЛЕПОЙ".** 11.55 Сериал **"ФАВОРСКИЙ".** 13.35 Чистосердечное признание. 14.05 Худ. фильм **"ГОСУДАРСТВЕННАЯ ГРАНИЦА".** Фильм 3-й. **"ВОСТОЧНЫЙ РУБЕЖ".** 1-я с. 15.35 Чрезвычайное происшествие. 16.20 Ток-шоу "Принцип домино". 17.30 Сериал **"МОСКВА. ЦЕНТРАЛЬНЫЙ ОКРУГ".** 18.35 Чрезвычайное происшествие. 19.35 Сериал **"ФАВОРСКИЙ".** 20.40 Сериал **"СЛЕПОЙ".** 6-я с. 21.50 Чрезвычайное происшествие. 22.35 Футбол. Лига чемпионов. "Ливерпуль" (Англия) - "Ювентус" (Италия). Прямая трансляция. 01.00 Сериал **"ФАВОРСКИЙ".** 02.05 "Футбольный клуб" с Василием Уткиным. 02.50 Бильярд. 03.10 Сериал **"СУПЕРШПИОНКИ".** 04.10 Сериал **"ЗА ГРАНЬЮ ВОЗМОЖНОГО".** 05.00 Сериал **"ЛЮБОВЬ ВДОВЦА-2".** 05.50 Чрезвычайное происшествие.

## ოთხშაბათი 6.04

### რუსთავი - 2
07.30 დილა 08.00 ჯეტიქსი 10.00 სერიალი "ეკლები და ვარდები" 11.00 სერიალი "ბევერლი ჰილზი" 12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 03.30 კურიერი 12.20 სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" 13.30 მხ. ფილმი "მეტროში მომხდარი ამბავი" (გ) 15.25 ჩემპიონთა ლიგა. 18.30 პატრული 18.55 უცნობი 19.50 სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" 22.00 საფეხბურთო მიმოხილვა 22.45 ჩემპიონთა ლიგა. "ჩელსი" -"ბაიერნი" 02.00 ჩემპიონთა ლიგა. "მილანი" -"ინტერი" 03.45 პატრული

### JSTI
09.00 პროგრამა "დილა" 11.00 "საბავშვო ხუთეული" 11.30, 16.45, 20.30 სტერეო-ნიუსი 11.54 პოპ-ათეული 12.30 სმს-ჩარტი 13.30 სტერეო-რეპი 14.00 ავტოპილოტი 15.00 სმს-ჩარტი 16.00 პოპ-ათეული 17.00 რეტრო 17.30 "საბავშვო ხუთეული" 18.00 სმს-ჩარტი 19.00 ლიტ. ვიქტორინა 20.00, 23.00 "ქალაქური" 21.00 რეტრო 21.15 პოპ-ათეული 22.00 სმს-ჩარტი 01.00 ავტოპილოტი

### პირველი არხი
